

ს. მ. ქირიძე

# ახალგაზრდობის შესახებ

საქ. აღკვ ტკ  
საბავშვო და ახალგაზრდობის  
ლიტერატურის გამომცემლობა  
თბილისი 1989



## უნდა ვიცოდეთ ის, რასაც გვასწავლიდა ვლადიმერ ილიჩი

1925 წლის 22 თებერვალს კომკავშირის შვიდი წლისთავისადმი  
მიძღვნილ კომკავშირის ბაქოს VII კონფერენციაზე  
წარმოთქმული სიტყვიდან

მე შევეცდები რამდენიმე სიტყვით შევაჯამო ჩვენი  
დღევანდელი დღესასწაული. უნდა ითქვას, რომ მუშა  
ახალგაზრდობის ორგანიზაციის საკითხი ჩვენთან, ბოლ-  
შევიკურ პარტიაში, ჩვენი პარტიის დაბადების მომენტი-  
დან იღვა. ჩვენ ჯერ კიდევ არ ჩამოვყალიბებულიყავით  
ნამდვილ გასალკლდევებულ ბოლშევიკებად, როდესაც  
ლენინი მოგვიწოდებდა მეტად სერიოზული, მეტად სა-  
თუთი ყურადღება მიგვექცია მუშათა მოზარდი თაობი-  
სათვის, ხოლო როდესაც პირისპირ პირველად შევხვდით  
ბურჟუაზიას, მემამულეებსა და მეფეს, 20 წლის წინათ,  
1905 წელს, ლენინის ყველაზე მგზნებარე სიტყვებს, ყვე-  
ლაზე მგზნებარე მომართვას ადგილი ჰქონდა მაშინ, რო-  
დესაც იგი მოგვიწოდებდა დაგვერახმა მუშა ახალგაზ-  
რდობა.

მე, ამხანაგებო, არა მაქვს განზრახვა ქება-დიდება შე-  
გასხათ. აქ უკვე ბევრი საინტერესო, სასიამოვნო და

კარგი რამ გითხრეს, და თუ თქვენ, მომავალ წელს, თუ-  
გინდ ნახევარს შეასრულებთ იმისას, რაც აქ საზეიმოდ  
აღკვეთქვით, ძალიან კარგი იქნება. მე ვამბობ, თუ მის  
ნახევარს, რაზედაც თქვენ აქ ფიცი დასდეთ, სინამდვი-  
ლეში გააკეთებთ, მაშინ ჩვენი საქმე, რევოლუციის საქ-  
მე, გაცილებით უფრო ხალისიანად წავა.

ძველი გვარდია გაიზარდა და აღიზარდა ძველი წყო-  
ბილების გარემოში, თქვენ კი ასცდით ამ გარემოს, რო-  
მელშიც ბევრი უარყოფითი იყო ბურჟუაზიული სახელ-  
მწიფოს დროს. თქვენ უკეთეს პირობებში იმყოფებით.  
როდესაც ოქტომბრის რევოლუციის მეხმა დაჰქუხა, ბევ-  
რი თქვენგანი, საწყენად არ დაგრჩეთ, მაგიდის ქვეშ  
ფეხით დადიოდა (ს ი ც ი ლ ი). ბევრ თქვენგანს მეტად  
ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა იმაზე, თუ სად მიგვიყვან-  
და ეს ოქტომბრის მეხი, რა მომავალს გვიქადდა ოქტომ-  
ბრის ქარიშხალი. ძველ დროზე თქვენ მხოლოდ ბუნდო-  
ვანი წარმოდგენა დაგრჩათ, თქვენ აღიზარდეთ საბჭოთა  
სახელმწიფოს პირობებში. რომელსაც კომუნისტური  
პარტია ხელმძღვანელობს, და ბევრ თქვენგანს, განსა-  
კუთრებით იმ პატარებს, რომელნიც თქვენ აქ მოგესალ-  
მებოდნენ, არავითარი წარმოდგენა არა აქვთ იმის შესა-  
ხებ, თუ რა იყო ოქტომბრამდე. თქვენ არ გამოგიცდიათ  
ექსპლოატაციის ის სულისამომხდელი პირობები, რომ-  
ლებიც წინ უსწრებდა ჩვენს დიდ ოქტომბრის ეპოქას.

აი რატომ ჩვენი პარტია და ვლადიმერ ილიჩი რო-  
გორც მძიმე, ისე ნათელ წუთებში თვალს აპყრობდნენ  
მოზარდ თაობას. წლითიწლობით ვკარგავთ ჩვენ ჩვენი  
საუკეთესო ამხანაგების ათეულებსა და ასეულებს. და  
რომ თქვენ ასე ფართო ტალღად არ მოდიოდეთ ძველი  
თაობის ადგილას, რევოლუციას აღსასრულნი დაუდგე-  
ბოდა.

ყვითელი<sup>ა</sup> სოციალისტები და ლიბერალები, — ყველანი, ვინც დარჩნენ ძველ ბურჟუაზიულ წყობას, — ყველთვის გვისაყვედურებდნენ იმას, რომ ჩვენ ვითომდა ვრყენიდეთ ახალგაზრდობას, ვსპობდეთ ყველაფერ იმას, რასაც მათ ენაზე კეთილშობილური ეწოდება. სინამდვილეში კი ჩვენ ვქედავთ მტკიცეს, პირდაპირს, შრომისა და მეცნიერების მოყვარულს, სიხარულის მოყვარულს ახალგაზრდა მებრძოლებს, რომლებსაც მწუხარებისაც არ ეშინიათ.

ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ თქვენს წრეში ისეთებიც არიან, რომლებიც, ახალგაზრდულ სწრაფვათა გამო, რომლებიც ჩვენ წესიერად ვერ წარვმართეთ, უხვევენ იმ პირდაპირ გზიდან, რომელზედაც თქვენ მიდინართ. მაგრამ ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ შემდგომ თქვენ შესძლებთ ჩაუდგათ ცოცხალი რევოლუციური სული იმ არსებებს, რომლებიც არ არიან გამსჭვალულნი მუშათა კლასის შეგნებით, გასწმენდთ მათ როგორც სარწმუნოებრივი, ისე ოჯახური ცრუმორწმუნეობებისაგან.

დასასრულ კიდევ ერთი სურვილი. მე არც ერთი წუთით არ მეპარება ეჭვი იმაში, რომ თქვენ უდიდესი სიამაყით ატარებთ ჩვენი დიდი კომუნისტური მასწავლებლის სახელს, მაგრამ, ამხანაგებო, დაიმახსოვრეთ, — ცოტაა პატივს სცემდეთ ამ დიდ მასწავლებელს, ცოტაა თაყვანს სცემდეთ დიდი ბელადის ხსოვნას. თქვენს წინაშე დგას უფრო ძნელი, უფრო სერიოზული, უფრო საპასუხისმგებლო ამოცანა. უნდა ვიცოდეთ ის, რასაც გვასწავლიდა ვლადიმერ ილიჩი. აი ეს, ამხანაგებო, უნდა ითქვას, ჯერ კიდევ გვაკლია. ამ მხრივ ჩვენ დაგვიკირდება უდიდესი მუშაობის ჩატარება, ამისათვის კი ისეთი წრთობა უნდა გაიარო, რომელსაც ყველა სამკედლოში ვერ მიიღებ. თქვენ დაგვიკირდებათ მოიქცეთ ისე, რომ თქვენ

ახალგაზრდული აღფრთოვანებით, თქვენი უნარიანობით ნამდვილად აითვისოთ მთელი რევოლუციური მოძრაობა და მისი გაკვეთილები ღრმად აღიბეჭდოთ კომუნისტურ თავში. თუ ჩვენ, ამხანაგებო, დავძლიეთ ეს ამოცანა, მაშინ შევძლებთ დამშვიდებულად ვთქვათ, რომ რევოლუციის საქმე საიმედო ხელშია, მაშინ თქვენ ნამდვილად შეგიძლიათ გამოხვიდეთ ასპარეზზე ჩვენი წვერქალაჩა ძველი გვარდიის გვერდით და თქვათ: შენ მოგიდის ცვლა, რომელსაც აქვს არა მარტო რევოლუციური სურვილები, არამედ რევოლუციური ცოდნაც; შენ შეგცვლის თაობა, რომელიც არ შებღალავს არც ერთ რევოლუციურ ანდერძს; რომელიც, რა პირობებშიც არ უნდა იყოს, არც ერთი გამოცდის წინ არ დაიხევს; რომელიც ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა ახალგაზრდული ხელებით კიდევ უფრო მაღლა ასწიოს ყველა მშრომელისა და დაჩაგრულთა განთავისუფლების დროშა.

ამხანაგებო, რევოლუციის პირველი აქტი მთავრდება, ვითარდება ნამდვილი დრამა, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ მთელ დედამიწის ზურგზე მოქმედმა პირებმა. მათ შორის პირველი როლი, როლი გმირებისა, თქვენ გეკისრებათ. იყავით მზად ამ უდიდესი ისტორიული გამოცდისათვის და გახსოვდეთ, რომ ძველი გვარდია მიდის; ცვლად, უკვე ჩვენთან კი არა, თქვენთან მოდის ახალი ახალგაზრდობა, ახალი ცვლა, რომელიც მთლიანად და სრულიად თქვენს ხელშია. ნუ დაელოდებით, რომ მათ მოგაგონონ, გააკეთეთ ყველაფერი იმისათვის, რომ გაზარდოთ ეს ახალგაზრდა ყვავილები, შესძელით მათი გაფურჩქვნა და გაშლა. აი, ამხანაგებო, თუ ეს ნამდვილად გაკეთდება, თქვენ შეასრულებთ ისტორიულ როლს, შეასრულებთ უდიდეს დავალებას, რომელიც გაწევთ მხრებზე.

მე ვფიქრობ, რომ ის შვიდი წელი, რომელშიც ცხოვრობდა და მუშაობდა თქვენი ორგანიზაცია, ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ თქვენ ამისათვის უნდა გეყოთ ძალა-საშუალებებიც, უნარიც და მოთმინებაც.

მაშ, ამხანაგებო, არსებობის მერვე წელს მოგვეცით ფიცი, რომ თქვენ ნამდვილად არა შიშის, არამედ სინიდისის გამო, არა მარტო თავბრუდახვეულნი რევოლუციური აღფრთოვანებით, არამედ კომუნისტური ცოდნით მტკიცედ შეიარაღებულნი, ბოლომდე მიიყვანთ მშრომელთა განთავისუფლების იმ დიად საქმეს, რომელზედაც მთელი ათასგული წელია ოცნებობს კაცობრიობა (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

„ბაქინსკი რაბოჩი“ № 43 (1365),  
24 თებერვალი, 1925 წ.

# დანიშნავის კომკავშირი დანიშნის პარტიის ხელმძღვანელობით გოდუშვიკუხარ დანიშნის დანიშნის ანდუხარ

მოსხენება და საბოლოო სიტყვა ვიბორგის რაიონის კომკავშირის  
აქტივის საერთო კრებაზე 1926 წლის \* 15 იანვარს

ამხანაგებო! მე დავალებული მუქეს მოსხენება გაგი-  
კეთოთ ჩვენი პარტიის XIV ყრილობის მუშაობის შესა-  
ხებ. წინასწარ მინდა გაგაფრთხილოთ, რომ თქვენს ყუ-  
რადღებას შევარჩერებ უმთავრესსა და ძირითადზე, რაც  
ჩვენს უკანასკნელ პარტიულ ყრილობაზე იყო.

თქვენ, რა თქმა უნდა, ეჭვი არ გეპარებათ იმაში.  
რომ ჩვენ ყრილობას განსაკუთრებული მნიშვნელობა  
ჰქონდა. თქვენ იცით, რომ ჩვენ პირველად მოგვეცა შე-  
საძლებლობა ხელი მოგვეკიდებინა ჩვენი სახელმწიფოს  
აღმშენებლობისათვის მტრების მხრივ პირდაპირი და  
უშუალო ხელშეშლის გარეშე, და ამიტომ ეს უკანასკნე-  
ლი წელიწადნახევარი, რომელმაც XIII ყრილობიდან გან-  
ვლო, მრავალ მხრივ საგამოცდო პერიოდს წარმოად-  
გენს ჩვენი პარტიისათვის. და როდესაც ვაჯამებთ ამ წე-  
ლიწადნახევრის მანძილზე ჩატარებულ მთელ ჩვენს მუ-

---

\*) იბეკდება შემოკლებული სტენოგრამით — რ ო დ.

შაობას, — ეს შეჯამება მოხდა კიდევ ყრილობაზე, — სრული რწმენით უნდა ვთქვათ, რომ ყოველივე იმის მკაცრი შეფასების შემთხვევაშიაც კი, რაც ჩვენი პარტიის მიერ არის გაკეთებული, — დაე, ეს შეფასება აწარმოონ არამცთუ ჩვენმა მეგობრებმა, თუგინდ ჩვენმა მტრებმაც, — მათაც უნდა აღიარონ, რომ ჩვენ უკან მოვიტოვეთ დროის პატარა ნაკვეთი, რომელიც მეტად დიდი შინაარსითაა აღვსილი.

მე ვფიქრობ, აუცილებლობას არ უნდა წარმოადგენდეს ქვეყნის და, უმთავრესად, ჩვენი მეურნეობის მდგომარეობის დაწვრილებითი დახასიათება. ჩვენი პარტიის ძირითადი სამუშაო, ყურადღების მთავარი ცენტრი ამ უკანასკნელ წელიწადნახევარში ხომ, სახელდობრ, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის აღდგენა იყო. და მე ვფიქრობ, რომ პარტიის ყოველმა წევრმა, ყოველმა კომკავშირელმა, ჩემის აზრით, ყოველმა ჯანსაღმა ადამიანმა, რომელსაც თავი უბრებზე აქვს და რომელსაც უნარი შესწევს გაერკვეს იმაში, რასაც იგი ხედავს, ყველა ამგვარმა ადამიანმა უნდა თქვას, რომ ჩვენ ამ უკანასკნელ ხანში ნამდვილად გარკვევით წინ წავიწიეთ.

ჩვენთან ახლა შემოღებულია, როდესაც ჩვენს სამრეწველო მეურნეობას აჯამებენ, თქვან: თითქმის ომის წინააღმდეგ დონეს მივალწიეთო. ციფრი — 95 პროცენტი ომის წინააღმდეგ დონისა — ახლა თითქო აღარავისთვისაა სადავო, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ჩვენი პარტიის XIV ყრილობისათვის დავასრულეთ მუშაობის აღდგენითი პერიოდი ჩვენი სამრეწველო მეურნეობის დარგში. ყველაფერი ის, რაც ჩვენ მივიღეთ მემკვიდრეობად, ყოველივე ის გაპარტახება და რღვევა, რასაც გარშემო ვუტრიალებდით და ზოგჯერ თითქმის სასოწარკვეთილებასაც კი ვეძლეოდით, — ჩვენ შევძელით

ყოველივე ამის მოშუშება, აღდგენა და ახლა, შევდივართ  
რა ახალ წელში, ჩვენს თავს სულ სხვა სახის ამოცანა  
უნდა დაუყენოთ — ამოცანა არა ომის წინააღმდეგ  
დონესთან გათანაბრებისა, არამედ ამოცანა ჩვენი მრეწვე-  
ლობის რეორგანიზაციისა და მისი შემდგომი განვითარე-  
ბისა იმისათვის, რათა ცოტად თუ ბევრად გადავაჭარბოთ  
ყველაფერ იმას, რაც დღემდე გაკეთებულა.

თუ გადავხედავთ ჩვენს სოფლის მეურნეობას, და-  
ვინახავთ, რომ ჩვენ უკვე აქაც დავიძარით მკვდარი წეო-  
ტილიდან, რომელზედაც ვიდექით. მართალია, ჯერ კი-  
დეც ბევრი დაბრკოლება გველობება, დაწყებული იქი-  
დან, რომ ჩვენი გლეხობის მრავალმილიონიანი მასა ჩა-  
მორჩენილია და კულტურის საკმაოდ დაბალ დონეზე  
იმყოფება; რომ ჯერ კიდევ განვიცდით სხვადასხვაგვარ  
სტიქიურ უბედურებებს; რომ ჩვენ სასოფლო მეურნე-  
ობის ტექნიკის გაუმჯობესების მხრივ ჩამორჩენილი ვართ.  
მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, არ შეიძლება იმის  
უარყოფა, რომ ჩვენმა პარტიამ, ჩვენმა ხელისუფლებამ,  
როგორც ვამბობდი, ამ დარგშიც შესძლო მიეღწია მეტი  
თვალსაჩინო და სრულიად რეალური წარმატებებისათ-  
ვის. მე ვფიქრობ, რომ ყოველი თქვენგანი — ამისათვის  
საჭირო არ არის მივმართო სტატისტიკურ და სხვა მოსაწ-  
ყენ გამორკვევებს — რომ ყოველი თქვენთაგანი უბრა-  
ლოდაც თუ თვალს ადევნებს ცხოვრების გარემოებას, ხე-  
დავს, რომ გარკვეული განსხვავებაა იმას შორის, რაც  
ორი წლის წინათ გეჭონდა და რაც ახლა გაგვაჩნია.

ყველაზე დახვეწებული ადამიანებიც კი, რომლებიც  
ფიქრობენ, მართალია, არც თუ სერიოზულად, უახლოეს  
წლებში მოვიდნენ ჩვენს დაკრძალვაზე, — ეს ხალხიც კი,  
მიუხედავად ჩვენდამი უდიდესი სიძულვილისა, მიუხე-  
დავად იმისა, რომ ბრალს გვდებენ ათას მომაკვდინებელ

ცოდვაში, მაინც აღიარებს, რომ ბოლშევიკურმა, კომუნისტურმა პარტიამ თავი გამოიჩინა არა მარტო ნგრევაში, არამედ შენებაშიაც, რომ ბოლშევიკებმა იციან არა მარტო შემუსვრა იმისა, რის წინააღმდეგაც ისინი იბრძვიან, არამედ მათ იციან შენებაც — ძალა შესწევთ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სათავეში უდგენ მრავალმილიონიან ქვეყანას, რომელსაც გარს ახვევიან მტრები, ყოველ წუთს მზადყოფნის ხელი შეუშალონ. წინ აღუდგენ ამ მრავალმილიონიანი ხალხის მშვიდობიან არსებობას.

აი, მაგალითად, ზოგადად რომ ვთქვათ, რა ბალანსით მივედით ჩვენი მუშაობის საანგარიშო პერიოდთან, ე. ი. ჩვენი პარტიის XIV ყრილობასთან. და აი, ყრილობის მუშაობის პირველი დღიდანვე, როგორც თქვენ უკვე იცით, ჩვენი პარტიის ცხოვრებაში გამოაშკარავდა ისეთი მოვლენები, რომლებმაც იძულებულპყო ჩვენი ყრილობა, მთელი პარტია მთლიანად განსაკუთრებული სერიოზულობით დაფიქრებულიყო იმაზე, თუ რა გაგვაჩნდა. ყველა ამხანაგისათვის, რომელიც ახლო იდგა ჩვენს პარტიულ ცხოვრებასთან, ცნობილი იყო, რომ ჯერ კიდევ ადრე. ყრილობამდე, ჩვენთან, პარტიაში, ისახებოდნენ ცალკეული მიმდინარეობანი, <sup>2</sup> რომლებიც საერთოდ და მთლიანად სცილდებოდნენ ჩვენი პარტიის მოქმედების ძირითად კალაპოტს; მაგრამ, რადგანაც ჩვენ დიდი ხანია შევეთანხმდით, რომ მაინცდამაინც არ გავნებივრებულიყავით უთანხმოების გაშლაში, იმაში, რომ განსაკუთრებული აუცილებლობის გარეშე არ გამოგვეტანა ფართო სადისკუსიო ასპარეზზე სადაო ხასიათის ცალკეული საკითხები, ამიტომ ცენტრალური კომიტეტი სრულიად მართებულად მოიქცა, როდესაც ყოველმხრივ ცდილობდა ეს ცალკეული უთანხმოებები, ცალკეული ნაკლ-

თქმულებანი ჩვენს პარტიაში აღმოეფხვრა, მოესპო პარტიის ცენტრალური კომიტეტის შიგნივ.

თქვენ გახსოვთ, რომ ვლადიმერ ილიჩი არაერთხელ გვაფრთხილებდა იმის შესახებ, რომ დისკუსიებით გატაცება ახლა ჩვენს პარტიას არ შეუძლია. ჩვენ გვესმის, რომ ყოველ დისკუსიას თავისი დადებითი მხარეები აქვს: პარტიის ყოველი წევრი ზედმეტად გადაშლის წიგნაკს. ყურადღებით აღევნებს. თვალყურს გაზეთებს. ყურადღებით უსმენს, თუ რას ლაპარაკობდნენ კრებებზე. ერთი სიტყვით, ყოველი დისკუსია ეხმარება პარტიის ყოველ წევრს უკეთ შეისწავლოს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძვლები. მაგრამ ამასთან ერთად დისკუსიას ბევრი რამ უარყოფითი აქვს. და აი, აქედან გამომდინარე, პარტიის ცენტრალური კომიტეტი, — ვფიქრობ, დამეთანხმებით, — სწორედ მოიქცა, როდესაც ცდილობდა აღმოეფხვრა ცენტრალური კომიტეტის — პარტიის უმაღლესი ორგანოს შიგნით აღმოცენებული უთანხმოებანი.

თქვენ იცით, რომ უთანხმოებანი იყო იმ საკითხზე, რომელიც თქვენთვის მეტად ახლოა. უთანხმოებები იყო კომკავშირის საკითხებზე და განსაკუთრებით კომკავშირის საკითხებზე სოფლად. მე არა მგონია თქვენ გკირდებოდეთ იმის განმარტება, თუ რა მნიშვნელობა აქვს კომკავშირს პარტიისათვის, სახელმწიფოსათვის და სხვ. ჩვენ უკვე კარგა ხანია შევეთანხმდით, რომ კომკავშირი ჩვენი პარტიის ერთგვარი „მოსამზადებელი კლასია“. თუ ამ „მოსამზადებელ კლასში“ საქმე კარგადაა, მაშინ პარტიაშიაც, არა თუ დღეს, არამედ ხვალაც, ასევე კარგად იქნება საქმე. მაგრამ თუ კომკავშირში საქმე ისე იქნება დაყენებული, როგორც აქ, ლენინგრადში, ზოგიერთ ფაბრიკასა და ქარხანაში (მაგალითად, გუშინ „სკოროხო-

დის“ ფაბრიკაში შენიშნეს ეს), მაშინ პარტიაშიც ვერ იქნება რიგიანად საქმე. თუ ჩვენ ამ „მოსამზადებელ კლასში“ ვერ ჩავატარეთ სათანადო მუშაობა: ჯერ ერთი, თუ ჩვენ არ დავეხმარებით თვით მოსწავლეებს: მეორე, თუ ჩვენ ვერ უზრუნველვყოფთ მათ კეთილსაიმედო პედაგოგიური პერსონალით, თუ ყოველგვარ ზომებს არ მივიღებთ იმისათვის, რომ ეს საქმე როგორც საჭიროა ისე დავაყენოთ,—ცხადია, რომ პარტიისათვის არასასურველ შედეგებს მივიღებთ.

რაც შეეხება სოფელს, თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რომ საქმე იქ კიდევ რთულადაა. ქალაქში ხომ ჩვენ გვაქვს ფაბრიკები, ქარხნები, პარტია, პროფკავშირები, საერთოდ, ჩვენი თქვენთან ერთად არსებობის ყოველგვარი ატრიბუტები, რომელთა საშუალებითაც სხვადასხვაგვარ გავლენას ვახდენთ სწორედ ამ მოზარდ თაობაზე და ზოგჯერ შეუმჩნეველად ვახერხებთ ახალგაზრდა თაობის მხურვალე თავების მსწრაფლ გაგრილებას და მათ ჩაყენებას გარკვეულ კალაპოტში. სოფელში სხვაა. სოფელში ყოველივე ეს გაფანტულია ათიათასეულ ვერსზე. გაბნეულია, ღმერთმა უწყის როგორ: სივრცე უზარმაზარია, ზოგან წარმოუდგენელი სიბნელეა. იქ ჩვენი სახელმწიფოს „უფროს კლასებშიც“ კი, შეიძლება ითქვას, ორივე ფეხით კოკლობენ; რალა ითქმის „მოსამზადებელ კლასზე“? აქაც ვიყავით ისეთი მოვლენების მოწმენი, — ამის შესახებ თქვენც გაგეგონებათ, — როცა ჩვენთან სტიქიურად იქმნებოდა სოფლის ახალი თაობის სხვადასხვაგვარი ორგანიზაციები, როცა ეს მოზარდი თაობა, გაუსხლტა რა ყველა ჩვენი ორგანოს — სახელმწიფოებრივის, პარტიული და სხვ. — გავლენას, თვითნებურად ჰქმნიდა თავის ორგანიზაციებს, რომელთაც ჩვენს პარტიასთან არაფერი საერთო არ ჰქონდათ

არც სულისკვეთებითა და არც ამოცანებით. და რომ ისინი სათანადოდ განვითარებულიყვნენ, გადაიქცეოდნენ ჩვენს მოპირდაპირე ორგანიზაციებად, რომლებიც წინ აღუდგებოდნენ ჩვენს სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას ადგილებზე. რას მოწმობს ყოველივე ეს? პირველყოვლისა მდგომარეობის იმ სირთულეს, რომელიც ჩვენ სოფლად გვაქვს.

თქვენ გახსოვთ, რომ ჩვენთან ერთ დროს მეტად ვრცლად იდგა საკითხი იმის შესახებ, როგორ უნდა მოვექცეულიყავით სოფლის კომკავშირთან, რა უნდა გავვეკეთებინა იმისათვის, რომ ისე არ გამოგვევლოდა, რომ შეძლებულ ფენას — უკეთ რომ ვთქვათ, ბავშვებს შეძლებული ფენიდან — ხელში არ ჩაეგდოთ მთელი გავლენა სოფლად და თან არ გაეყოლათ სოფლის ახალგაზრდობის ეს უზარმაზარი მასა. იდგა საკითხი კომკავშირში მიღებაზე სოფლად. ეს ყველა თქვენგანმა კარგად იცის. განსაკუთრებით ბევრი ლაპარაკი გამოიწვია ამგვარმა საკითხმა: ხომ არ აჯობებს შევექმნათ ისეთი ორგანიზაციები სოფლად<sup>2</sup>, თუნდაც ქალთა სადელეგატო კრებების მსგავსი, რომლებიც შეისისხლხორცებდნენ, შეამჭიდროებდნენ კომკავშირის გარეშე მყოფ ამ ახალგაზრდა, მოზარდ მასას. ერთი შეხედვით საკითხი არც თუ სავაივაგლახოა, სინამდვილეში კი, იმ პირობებში, რომლების შესახებაც მე თქვენ გელაპარაკეთ, სწორედ სოფლად მას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს. ცხადია, რომ შედარებით ახალგაზრდობის მეტად უმნიშვნელო ნაწილს ვაერთიანებთ ჩვენს კომკავშირში, უდიდესი რაოდენობა კი მის გარეთ არის. ისინი ყველაფერს აკვირდებიან, ზოგ რამეს ხედავენ, ზოგ რამეში ერკვევიან, ან ცდილობენ გაერკვნენ, ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, მათ უღვივდებათ სათანადო მოთხოვნები. სწორედ

აქ არის საჭირო უთუოდ კარგად დაფიქრება, სანამ დასახვედრე ამათუიმ ღონისძიებას. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობამ სწორედ ამიტომ გაბედულად გაილაშქრა ახალგაზრდობის ყოველგვარი დამატებითი ორგანიზაციების შექმნის წინააღმდეგ. გარდა იმისა, რაც გვაქვს სოფლად. ჩვენ რომ დავმდგარიყავით ასეთი დამატებითი ორგანიზაციების შექმნის გზაზე (საქმე, რა თქმა უნდა, იმაში კი არ არის, თუ რა ერქმევა), რომლებიც კომკავშირის გარშემო იქნებოდნენ, რომლებიც მიიღებდნენ თავისი არსებობის გარკვეულ ლეგალურ ფორმას, ლეგალურ გამოსაყვას, ჩვენი ხელით მივცემდით კულაკურ ახალგაზრდობას ჩვენი სოფლის კომკავშირთან ლეგალური ბრძოლის საშუალებას. ეს საკითხი ჩვენთან იდგა და გადაწყდა ისე, როგორც ჩვენი ცენტრალური კომიტეტის<sup>4</sup> უმრავლესობა მოითხოვდა.

ყრილობის წინ ჩვენ გვქონდა დისკუსია ამ საკითხის შესახებ, თუ როგორ შეგვევსო ჩვენი პარტია. ეს საკითხი წამოჭრილ იქნა, როგორც, ალბათ, გაგეგონებათ, ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი წევრის მიერ. სწორედ აქ, ლენინგრადში, წამოყენებულ იქნა პროექტი გაგვეფართოებინა პარტიის რიგები ისე, რომ ჩვენი პარტიის მომავალი XV ყრილობისათვის პარტიაში მიგველო დაზგის მუშების, მაგალითად, 90 პროცენტი. სანამ დავითვლიდით, ვეყრდნობოდით რა ლენინგრადის ფაბრიკა-ქარხნებს, ასე თუ ისე შესაფერისი დასკვნა გამოგვიდიოდა. აქ მართლაც არის ფაბრიკები, რომელთა კოლექტივებში უდიდეს პროცენტს დაზგის მუშები წარმოადგენენ, მაგრამ როდესაც ეს 90 პროცენტი მივათვალეთ, ისეთი ანგარიში გამოგვივიდა რომ მის მიხედვით პარტიაში, ახლანდელი მილიონის ნაცვლად ხუთი მილიონი კაცი მოდიოდა. ცხაწი. საქმის ამგვარად დაყენება

არ შეეძლო არც ცენტრალურ კომიტეტს, არც პარტიასა და არც ყრილობას. ყრილობა სრულიად გონივრულად მოიქცა, როდესაც მიუთითა: ამ მხრივ ჩვენი პოლიტიკის გადასინჯვას არავითარი საფუძველი არა აქვსო. XIII ყრილობაზე ჩვენ ასეც ჩაეწერეთ, რომ პარტიაში შემოვიკრიბოთ რაც შეიძლება ნაკლები ინტელიგენტური, ჩინოვნიკური, ბურჟუაზიული და სხვა ელემენტები სხვა ჯგუფებიდან და მივიღოთ რაც შეიძლება მეტი მუშები, უმთავრესად კვალიფიციური მუშები. ჩვენ მშვენივრად გვესმოდა ეს, და არ ვფიქრობ ჩვენი პარტიის გეზს რაიმე საყვედური დაემსახურებინოს. ჩვენს ორგანიზაციებში არამუშური ელემენტების შემოკრების მხრივ არასოდეს არ ჰქონია ადგილი ბოროტგამოყენებას. ერთგვარი სიმკაცრით, შეიძლება ითქვას, ზოგიერთი ღვარძლი ამოგდებულ უნდა იქნას ჩვენი პარტიიდან; ბევრი ამოგყარეთ, ამოგყარეთ, ბევრი გავცხრილეთ, გავცხრილეთ, მაგრამ ღვარძლი, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ დარჩა. თქმა იმისა, თითქოს ისინი დიდ პროცენტს შეადგენდნენ, რასაც შეეძლოს გავლენის მოხდენა ჩვენს პარტიაზე, წვრილბურჟუაზიული, ნეპმანური სულისკვეთებისა და სხვა ზიანის მომტანი დინების შემოტანა, — ამისათვის არა გვაქვს არავითარი საფუძველი, რადგანაც ჩვენი პარტიის ძირითადი ღერძი, ძირითადი კადრი, ძირითადი აქტივი, რა თქმა უნდა, უმთავრესად მუშებია.

აი, ყველა ამ საკითხით და მთელ რიგ საკითხებით, რომელთა შესახებაც შემდეგ მექნება ლაპარაკი, მივედით ჩვენი პარტიის ყრილობასთან.

ყრილობაზე ამ საკითხების გარშემო ისეთი კამათი გაიმართა, როგორც, მგონი, არასოდეს არ გამართულა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ კამათს ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ სრული ერთი კვირა დასჭირ-

და. ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე ისე, რომ მთელი ყრილობა ერთ კვირაში სრულდებოდა, აქ კი შვიდი დღე და შვიდი ღამე, ბიბლიურად რომ ვთქვათ, გარს ვუვლიდით ერთ ძირითად საკითხს — ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ანგარიშს. მარტო ეს ადასტურებს იმას, რომ მიუხედავად, ალბათ, იმგვარ მიჯნამდე, როცა დაგვიგროვდა ზოგიერთი არაჯანსაღი რამ. და ეს, ამხანაგებო, შემთხვევითი როდია.

მე თქვენ უკვე მიგითითებდით, რომ ამ უკანასკნელ წელიწადნახევარში ჩვენი მუშაობა მეტად გამდიდრდა შინაარსობრივად. ახლა თითქო მშვიდობიანი მდგომარეობაა, მაგრამ სამეურნეო და სხვაგვარი ხლართები იმგვარად გართულდა, რომ მტერმა შეიძლება აქ უფრო მოხერხებულად ისარგებლოს, ვიდრე ომის დროს. ჩვენ ახლა შევდივართ დიადი აღმშენებლობის ზოლში, ზოლში, რომელიც წარმატებებთან ერთად დიდ სირთულეებსაც ჰქმნის, დიდ საკითხებს აყენებს.

დიდი ადგილი ეჭირა ყრილობამდე და ახლაც საკითხს სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ ერთს ქვეყანაში. ამ საკითხმა შემთხვევით როდი მიიღო ამგვარი მწვავე ხასიათი. ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ეს უფრო თეორიული საკითხია და არა პრაქტიკული. მაგრამ ეს არ არის მართალი. ის გარემოება, რომ ამან მწვავე ხასიათი მიიღო, აიხსნება იმით, რომ სოციალიზმის მშენებლობა ერთ ქვეყანაში რეალურ სახეს ღებულობს. ეს უბრალო დავა კი არ არის, ისე, როგორც ჩვენ ვდაობდით ძველად — შეიძლება თუ არა მონაწილეობის მიღება სამინისტროებში, და ჩვენ კი იმ დროს სამინისტროს დერეფანიც არ გვენახა, იქ ჯერ არავის მივუბატიეებივართ, ჩვეულებრივ სადმე მოშორებით გვაგზავნიდნენ ხოლმე. იმ დროს ეს 70 პრო-

ცენტით თეორიული დავა იყო, ახლა კი საკითხი სოციალიზმის მშენებლობისა ერთ ქვეყანაში დღევანდელი ჩვენი მუშაობისათვის არსებით ინტერესს წარმოადგენს. ამ საკითხზე რომ სრული გარკვეულობით არ ვუპასუხოთ. მთელი ჩვენი მუშაობა საგრძნობლად გართულდება. და აი, სამწუხაროდ, ჩვენი პარტიის რიგებში აღმოჩნდნენ ამხანაგები, რომელთაც გარკვეული ეჭვი გამოთქვეს ამის შესახებ.

თქვენ, რა თქმა უნდა, გესმით, რომ შეუძლებელია ადგე და გამოხვიდე კათედრაზე და თქვა: „მე არ მჯერა სოციალიზმის მშენებლობა ერთ ქვეყანაში“. — ასე უბრალოდ ვერ იტყვი, ამგვარი ახირებულნი არ არიან. მაგრამ აი. ჩვენ მაგალითად, ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ვწყვეტთ საკითხს ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ. ამ საკითხს განვიხილავთ ყოველმხრივ, და აი, წარმოვიდგინოთ, მე შემომამქვს. წინადადება იმის შესახებ, რომ საჭიროა საგარეო ვაჭრობის მონოპოლია მოვხსნათ და საშუალება მივცეთ კერძო ბრუნვის შემოღებას საზღვარგარეთთან, როგორც აქ გვაქვს, შემოვიღოთ თავისებური ნები საგარეო ვაჭრობაში. ყოველი თქვენგანი მიხვდება, რომ ეს მარტო საგარეო ვაჭრობის საკითხი როდია, არამედ, საბოლოო ანგარიშში, ეს სწორედ ის საკითხია, რომლის შესახებაც ეხლახან გელაპარაკეთ, — ეს არის საკითხი სოციალიზმის მშენებლობისა ერთ ქვეყანაში, იმიტომ, რომ შეჯამებისას, პირველყოვლისა, შემდეგ საკითხებს უნდა ვუპასუხოთ: უნდა შევაჯამოთ თქვენთან ერთად, რა გავვაჩნია ჩვენს საბჭოთა სამშობლოში? სოციალიზმის აშენება ხომ მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მართლა რაღაც სოციალისტური გვაქვს, და თუ ოქტომბრის რევოლუციიდან რვა წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ, შევაჯამებთ რა

მთელს ჩვენს მუშაობას, ვიტყვით, რომ ჩვენთან სოციალიზმის ნიშანწყალიც კი არ არისო, საკითხი სოციალიზმის მშენებლობისა ერთ ქვეყანაში, რა თქმა უნდა, მოიხსნება.

აი, აქედან გამომდინარეობს მეორე საკითხი — საკითხი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენენ ჩვენი სახელმწიფოებრივი წარმოებები. ცენტრალური კომიტეტის უმეტესობა, ახლა კი მთელი ყრილობა და მთელი პარტია, როგორც თქვენ იცით, დგას იმ თვალსაზრისზე, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი წარმოებები თანმიმდევრული სოციალისტური ტიპის წარმოებებს წარმოადგენენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ მაინც გვყავდნენ ამხანაგები და, მგონი, დღემდე არიან ისეთები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩვენი წარმოებები, მგონი, სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური უფროა, ვიდრე თანმიმდევრული სოციალისტური ტიპის წარმოებებიო. აი, ახლა თქვენ ერთ წუთს წარმოადგინეთ, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი წარმოებები სინამდვილეში იყვნენ სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური, ე. ი. კაპიტალისტური საბოლოო ანგარიშით. და თუ ჩვენ ამ კუთხით შევხედავთ დანარჩენ ყველაფერს, რაც ჩვენს ქვეყანაში გაგვაჩნია, გამოვა: ჩვენ გვყავს კერძო მესაკუთრე გლეხი სოფლად, სახელმწიფოს ხელში ჩვენი წარმოებები სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური ხასითისაა, — მაშინ სადღა ვილაპარაკოთ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აღმშენებლობის შესაძლებლობაზე? თურმე, სოციალიზმი ჩვენთან მარტო კოლექტივებშია, უჯრედებშია, სხვა არავითარი რეალური სოციალიზმი ჩვენ არ გაგვაჩნია, რადგანაც რასაც არ უნდა მოჰკიდო ხელი, უკეთეს შემთხვევაში სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმია. თუ ეს ასეა. — ზოგიერთი ამხანაგი კი ამტკიცებდა, ვიმეორებ, რომ ჩვენი სამრეწველო წარმო-

ებები, რკინისგზები, ბანკები და სხვა — ეს სახელმწიფო-  
ებრივ-კაპიტალისტური ტიპის წარმოებებიაო, — თუ ეს  
ასეა, მაშინ, რა თქმა უნდა, ყოველგვარი საკითხი სო-  
ციალიზმის მშენებლობის შესახებ ერთს ქვეყანაში მოიხ-  
სნება. და თუ, ამხანაგებო, ეს მოიხსნა, ან, თუ გნებავთ,  
იგი არ მოიხსნა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ექვი შეგვეპარა  
იმაში, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი წარმოებები სო-  
ციალისტური ტიპისაა, მაშინ, ვთქვათ, თქვენ, ასეთ  
თვალსაზრისზე მყოფთ, წინადადება მოგეცათ წახვიდეთ  
ფაბრიკა-ქარხნებში და ჩაატაროთ აგიტაცია, ვთქვათ,  
შრომის ნაყოფიერების ამალღებაზე. ვთქვათ, მიხვედით  
„კრასნი ვიბორჯეცში“, მოიწვიეთ უპარტიოთა კრება და  
თქვენთვის, კომკავშირისათვის, ჩვეული სიცხარითა და  
დაუინებით დაიწყეთ მუშებს შორის „ქაქანი“ იმ თემაზე.  
რომ, ახალგაზრდებო, უნდა ავამაღლოთ, დავსცხოთ,  
დავაწვეთ და სხვა და სხვაო, ამასთანავე ელაპარაკებით:  
თქვენ მუშაობთ სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტურ წარ-  
მოებაშიო. ვთქვათ, მუშებსაც ასე ესმით, — რა გამოგი-  
ვიდოდათ ამგვარი მუშაობიდან? ტლანქად რომ ვთქვათ,  
ამ ფაბრიკიდან კინწისკვრით გამოგრეკავდნენ, რადგან  
არც ერთი მუშა, არც ერთი შესმენილი ადამიანი არ  
მიიღებდა თქვენს აგიტაციას. თუ მე სახელმწიფოებრივ-  
კაპიტალისტურ წარმოებაში ვმუშაობ, მაშასადამე, არის  
ვილაც კაპიტალისტი, რომელიც ამ ფაბრიკის მეპატრო-  
ნეს წარმოადგენს.

აბა, ერთი მითხარით, მე, მუშა, რილასთვის მივიღებ  
თქვენს რჩევას შრომის ნაყოფიერების ამალღების შესა-  
ხებ? რა თქმა უნდა, მუშის პროგრამაში ეს არ შედის.  
ეს იგივე იქნებოდა, რაც ჩვენ ძველად გვექონდა, როცა  
ჩვენ მივდიოდით მუშებთან, რომლებიც კაპიტალისტურ  
ფაბრიკებში მუშაობდნენ. იმ დროს არაფის მოუვიდოდა  
22

ფიქრად, რომ შრომის ნაყოფიერების ამალღებაზე ელაპარაკა; პირიქით, მაშინ ვლაპარაკობდით, რომ საჭიროა ჯანჯლობა, გაფიცვა, შფოთიანობა. სიტყვა „შფოთიანობა“ მაშინ არ იყო ცნობილი, თორემ ვეტყოდით, რომ საჭიროა შფოთიანობა ყოველ ოსტატთან, ინჟინერთან და სხვა, ე. ი. ჩვენ სწორედ მის საწინააღმდეგოს ვაკეთებდით, რასაც ახლა ვაკეთებთ.

მიუხედავად ამისა, არც ერთი ჩვენი უპარტიო მუშა, ჩამორჩენილი მუშაც კი, რომელიც ზოგჯერ ჩვენი ხელისუფლებისა და ჩვენი პარტიის მიმართ, ამათუიშ გაფლენით, მიუღებელ აზრს გამოთქვამს, მაინც არ იტყვის არასოდეს, რომ იგი მუშაობს ფაბრიკაში, რომელიც არაფრით არ განსხვავდება კაპიტალისტების ხელში მყოფ ფაბრიკიდან, — ეს მაინც ესმის მას. მართალია, შემოგჩივლებთ, რომ მას ცოტას აძლევენ, რომ ხელფასი დაბალია, რომ საერთოდ ესათუის ვერ არის რიგზე, რომ არსებობს ესათუის ხარვეზი, მაგრამ ძირითადი საკითხი მას ესმის: რა რიგ არ უნდა ჩიოდეს და ნაღვლობდეს, როგორი მაგარი სიტყვებიც არ უნდა თქვას ჩვენი მისამართით. მან იცის, რომ იგი კაპიტალისტისათვის არ მუშაობს, ეს ხომ ყველა ჩვენგანმაც იცის. ამგვარად, დიდ უმრავლესობას, თითქო, არ უნდა ჰქონდეს უთანხმოება ამ საკითხში.

მიუხედავად ამისა, პარტიის ყრილობის წინ, ისევე, როგორც ყრილობის შემდეგ, ამ საკითხის განხილვა ჩვენთან ძალზე ფართოდ გაიშალა. კერძოდ აქ, ლენინგრადში, მქონდა შემთხვევა მეტად პასუხისმგებელი ამხანაგებისაგან მომესმინა: „რა თქმა უნდა, ჩვენს წარმოებებს არ შეიძლება ეწოდოს კაპიტალისტური, მაგრამ ისინი არც თუ სოციალისტური არიანო. — რატომ? — იმიტომ, რომ შრომის ანაზღაურებაში განსხვავებაა, არის ფაბრი-

კის დირექტორი, არიან მუშები, არის სანარდო სისტემა და სხვა და სხვა“. ყველაფერი ეს არის, ამხანაგებო, ის, რომ ხელფასი ხშირ შემთხვევაში უფრო დაბალია, ვიდრე ომამდე იყო, არის მთელი რიგი სხვა ნაკლოვანებებისა ამ მხრივ, მაგრამ განა ამით განისაზღვრება სოციალისტური და კაპიტალისტური წარმოების არსი? უნდა გავიგოთ ერთი რამ. რომ ჩვენ მოვკიდეთ ხელი წარმოებებს, რამდენიმე წლის განმავლობაში ისინი გადავაქციეთ თანმიმდევრულ სოციალისტურად, წინასწარ კი დავანგრით ძველი. ნგრევა, უნდა ითქვას, კოლოსალური იყო. როდესაც ჩვენ მოვედით და შევექმენით ჩვენი სახელმწიფო, რვა წლის განმავლობაში ჩვენ ვერ შევძელით გარდაგვექმნა იგი ისე, რომ ყოველ მუშას, ყოველ მშრომელ ადამიანს გაცილებით უკეთ ეცხოვრა, ვიდრე კაპიტალიზმის დროს. მაგრამ საკითხი ახლა ამით კი არ გაიზომება, არამედ იმით, თუ ვისთვის მუშაობს მუშათა კლასი, — იგი თავისთავისათვის მუშაობს, სახელმწიფოსათვის, რომელსაც მუშათა კლასი მართავს, მუშაობს იგი ხალხთა მილიონებისათვის, რომელთაც მუშათა კლასი ხელმძღვანელობს. თუ იგი მუშაობს სხვა კლასისათვის, რომელიც სარგებლობს მუშათა კლასის შრომის ნაყოფით? ორი პასუხი ამ საკითხზე არ შეიძლება არსებობდეს.

შემდეგი საკითხი, რომელმაც დიდი ლაპარაკი გამოიწვია. — ეს არის საკითხი ნეპის შესახებ? ამ საკითხს სწორედ ისევე უშუალო დამოკიდებულება აქვს ყველაფერ იმასთან, რაც ჩვენთან ხდება.

თქვენ გესმით, რომ ჩვენი მეურნეობის დარგში, დადებით მიღწევებთან ერთად, ნეპის ნიადაგზე იზრდება უარყოფითი მომენტებიც. ჩვენ კარგად გვესმოდა ყველაფერი ეს, მაგრამ ჩვენ ასევე კარგად ვიცოდით, რომ

ნების საფუძველზე, მიუხედავად მისი უარყოფითი მხარეებისა, ჩვენს მეურნეობას მიეცემა საშუალება უფრო სრულად განავითაროს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალები, ვიდრე ეს იყო სამხედრო კომუნიზმის პერიოდში. აი აქ წამოიჭრება უკვე ახალი დავა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკა. იყვნენ ამხანაგები, რომლებიც ახალ ეკონომიურ პოლიტიკას განმარტავდნენ ერთი სიტყვით — „უკანდახევა“. სინამდვილეში რა გამოდის ნებისა, რა უფრო ვითარდება — სოციალიზმის ელემენტები, თუ კაპიტალიზმის ელემენტები? აქ უნდა ავიღოთ დროის დიდი მანძილი, რათა თვალი ვადევნოთ ნების სისტემას. დავაკვირდეთ. თუ რას გვაძლევს იგი. ჩვენ ხომ ოთხი წლის პრაქტიკა გვაქვს. თუ ნები უკანდახევას წარმოადგენს, უნდა დავუკვირდეთ, ნების ამ ოთხი წლის პრაქტიკიდან რა მოუვიდა ჩვენი ქვეყნის მეურნეობას.

არსებობს მეტად საინტერესო ციფრები, — თქვენ, უთუოდ, გინახავთ ისინი, — ციფრები ჩვენი სახელმწიფო გეგმისა, რომელიც პირველად აჯამებს იმას, რაც ამჟამად ჩვენს მეურნეობაში გვაქვს. მართალია, ჩვენმა სტატისტიკოსებმა ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს კარგად თვლა, ისე, რომ ზოგჯერ გვაქვს შეცდომები, ხანდახან მეტად სერიოზულიც, მაგრამ ეს ციფრები მაინც ამბობენ რაღაცას და რაგინდ მკაცრადაც არ უნდა მიუდგე ამ ციფრებს, რაგინდ არ უნდა შეამოწმო, პირდაპირ თუ ირიბულად, მაინც გამოდის, რომ ამ წლების მანძილზე სოციალიზმის ელემენტები უფრო სწრაფად იზრდებიან, ვიდრე კაპიტალიზმისა.

რის შესახებ მეტყველებს ეს? პირველ ყოვლისა. ეს ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე, მიუხედავად იმ უარყოფითი მხა-

რეებისა, რომლებიც მას თან ახლავს, ჩვენ მაინც შევძლებთ სრულიად ზუსტად და გარკვეულად დავიცვათ ჩვენი სოციალისტური მიღწევა, მაშასადამე, მიღწევა ჩვენს მხარეზეა. ამგვარად, ის ფორმულა, რომელიც თავის დროზე მოგვცა ამხანაგმა ლენინმა, გამოაცხადა რა ახალი ეკონომიური პოლიტიკა: „ვინ ვის“ — ჩვენ კაპიტალიზმს, თუ კაპიტალიზმი ჩვენ, „ვინ გაიტანს“. — ახლა წყდება სრულიად ზუსტად და გარკვეულად: ჩვენმა გაიმარჯვა. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა უარყოფითი მხარეები ვითარდება, ჩვენ სოციალისტური ელემენტების ზრდა მაინც გაცილებით მეტი გვაქვს, ვიდრე კაპიტალისტური ელემენტების ზრდა. რას ლაპარაკობს ეს? ეს ლაპარაკობს იმას, რომ ყოველად შეუძლებელია ნები განვსაზღვროთ როგორც მარტო უკანდახევა. ახალი ეკონომიური პოლიტიკა მეტად რთული სისტემაა, რომელსაც მისი შემოღების პირველ პერიოდში ვლადიმერ ილიჩი შემდეგნაირად განმარტავდა: ახლა, — ამბობდა ის, — ჩვენ იმ საზღვრამდე მივედით, რომ საჭიროა ცოტაოდენ დავიწიოთ, შევისვენოთ, რომ კვლავ გავსწიოთ წინ. აქსხედან ამხანაგი სამხედროები, რომლებმაც იციან, რომ, როდესაც ვინმეს ებრძვი, როგორც ჩვენ ვებრძვით კაპიტალიზმს, ყოველთვის როდია საჭირო შუბლში დარტყმა; ზოგჯერ შემოვლით უნდა აიღო, შემოუარო, პირდაპირ შუბლში დარტყმა კი ზოგჯერ მეტად სახიფათოა, მიუხედავად მეტად საპატიო და სერიოზული ძალებისა. თუ ამგვარი გარშემოვლითი მოძრაობა არ გააკეთე, შეიძლება ყველაფერი ერთიანად დაკარგო.

აი ამგვარი გეგმა — გეგმა არამარტო პირდაპირი მოძრაობისა, არამედ უფრო რთული გარშემოვლისა, რომელიც საშუალებას მისცემდა ზოგიერთ ნაწილებს შეესვენებინათ, ახალი გზა, ახალი ბილიკი აერჩიათ — განსაზ-

ღვრავს ახალი ეკონომიური პოლიტიკის რაობას. მაგრამ ბევრს ჩვენს ამხანაგს ეს სულ სხვაგვარად ესმის. ახალი ეკონომიური პოლიტიკა მათ მიერ წარმოდგენილია ისე, თითქო იზრდებოდეს მხოლოდ ნების უარყოფითი ელემენტები, კერძო ვაჭრობა. ნებმანი სივდება ისე, რომ დღეს თუ არა ხვალ გასრისავს ყველაფერს; ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი უარყოფითია, ამ ამხანაგების თვალში ჩრდილავს იმ საერთო მიღწევებს. რომლებიც ჩვენ ნების ამ სისტემის ნიადაგზე გვაქვს.

დაბოლოს, ამხანაგებო, უკანასკნელი არსებითი საკითხი, რომელიც იპყრობს ჩვენს პარტიას, უთუოდ არანაკლებ სერიოზულია, ვიდრე სხვა დანარჩენი საკითხები, — ეს არის საკითხი ჩვენი სოფლის შესახებ. თქვენ, რა თქმა უნდა, საკმაოდ იცით იმის შესახებ, რომ ჩვენა გვყავს ღარიბი, საშუალო და კულაკი. ეს ამჟამად თითქო სწორედ ის სამი ფიქვია, რომლებშიც, მე ფიქრობ, გზა აერია ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს. ახალი ეკონომიური პოლიტიკა — ეს ხომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის საფუძველია. მან უთუოდ შეასრულა თავისი როლი სოფლად. სოფელი გამოცოცხლდა. გამოჩნდა ის მიღწევები, რომელთა შესახებაც მე თქვენ გელაპარაკეთ, სოფელმა ფეხზე დააყენა თავისი მეურნეობა. რა თქმა უნდა, ამ ნიადაგზე გაძლიერდა ის სოციალური დუღილი, რომელსაც ადგილი აქვს სოფლად. და აი, ჩვენმა ოპოზიციამ ბრალი დასდო ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობას იმაში, ვითომდა ჩვენმა ცენტრალურმა კომიტეტმა ცოტაოდენ კულაკური გადახრა აიღო. ეს ასე გამოდიოდა. თუმცა ამას ხმამაღლა, მტკიცედ ვერ ამბობდნენ, ლაპარაკობდნენ მხოლოდ იმის შესახებ, რომ ბუნებაში გამოჩნდა ისეთი პოპულარული ადამიანი — ახლა იგი უკვე ევროპაშიც ცნობილია — „პროფესორი“ ბოგუ-

შევსკი, რომელმაც დაწერა რაღაც საშინელი სტატია, — ეს თქვენ, ალბათ, ყველას გაგეგონებათ, — და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ვითომდა ნება დართო ამაზე, რომ ეს დაწერილია ცენტრალურ ორგანოში და რომ ბოგუშევსკიმ, დახეთ, ახალი დირექტივა მისცა პარტიასო. ნელნელა ზოგიერთმა დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სინამდვილეში ჩვენ, ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა, გადახრას ვიწყებთ და არა მარტო ბოგუშევსკის შესახებ. არამედ მთელ რიგ ლონისძიებებში ცენტრალური კომიტეტი, ვითომდა, არასაკმაო გარკვეულობით ატარებს ლენინის ხაზს, რომ არასაკმაოდ ვიცავთ ღარიბებს, არასაკმაოდ ყურადღებით ვეპყრობით ღარიბი ფენების ინტერესებს და მეტისმეტად ფართოდ ვუღებთ კარებს აი ამ კულაკს გასაძლიერებლად. ამან, თითქო განგებ, წელს ზედ დაერთო ჩვენი ერთი მეტად სერიოზული ანგარიშის დანაკლისი პურის დამზადებაში. ესეც ბრალდებად წამოგვიყენეს ჩვენ, ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობას, და თქვეს: ხედავთ, თქვენ ვერ ამჩნევთ, როგორ აყვავდა და გაიფურჩქნა კულაკი სოფლად, რომ მან ხელთ იგდო ყველაფერი, რომ მას 60 პროცენტზე მეტი პური რჩებაო, მაგრამ ჩვენი წაყრუების გამო კულაკს არ სურს გაყიდოს პურიო. ერთი სიტყვით, ყველაფერი მოეწყო ისე, რომ ცენტრალური კომიტეტის წევრთა უმრავლესობა; თითქო კულაკისკენ მოგვივიდა გადახრა, ნელნელა დაიწყო — თუმცა ჯერ ჩურჩულით, ნაკლებ გასაგონად — გაფრთხილებები იმის შესახებ, რომ ჩვენთან, საერთოდ, იწყება პარტიის ცენტრალური კომიტეტის რაღაც გარდაქმნაო. ერთი სიტყვით, ძალზე ცუდი ბრალდებები იყო, და ყველაფერი ეს, უმთავრესად, ვითომდა ჩვენი არასწორი პოლიტიკის შედეგი იყო სოფლად.

ჩვენი პოლიტიკა სოფლად, როგორც თქვენთვის ცნობილია. განსაკუთრებული გარკვეულობითაა განმარტებული ჩვენი XIV პარტიული კონფერენციის" მიერ. ეს საკითხი ჩვენ იქ განვიხილეთ მეტისმეტად დაწვრილებით. სწორედ ამ კონფერენციაზე გაიჩნა მეტად გარკვეულად ის პროცესები, რომლებსაც, ამ უკანასკნელ ხანებში ადგილი აქვს სოფლად, აღნიშნული იყო, რომ ღარიბები ძალზე მძიმე მდგომარეობაში ვარდებიან სოფელში გარკვეული მიმდინარეობის განვითარების გამო, რომ კულაკი ისარგებლებს თავისუფალი საქონელბრუნვით, მითითებული იყო, რომ პარტიაში, ამგვარად, მოსალოდნელია შეიქმნეს ორი გადახრა: ერთი მხარე დაივიწყებს კულაკობის ზრდასა და მის გავლენას სოფლად, ხოლო მეორეს შეიძლება დაავიწყდეს ძირითადი რგოლი, რომელსაც ჩვენ ვეყრდნობით სოფლად,—ის საშუალო გლეხი, რომლის შესახებაც ამდენს ვდაობდით ოქტომბრის პლენუმზე; ჩვენ კიდევ უფრო გარკვევით გამოვკვეთეთ ჩვენი დამოკიდებულება ღარიბი გლეხობისადმი და მათდამი დახმარების გზები მთავრობის მხრივ, — და აი უცებ ამის შემდეგ, მოულოდნელად, მოგვართვეს ისეთი რამ, თითქო ჩვენმა ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო კულაკური გადახრა.

ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ყრილობამდე ზოგიერთ ჩვენს პასუხისმგებელ ამხანაგს შევამჩნიეთ ერთგვარი გულმავიწყობა იმ მთავარი რგოლის მიმართ, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია სოფლად საშუალო გლეხის მიმართ. ბევრი მეტად პასუხისმგებელ ამხანაგთაგანი, დიდ ყურადღებას აქცევდა რა კულაკს, მის ზრდას, ამ ზრდის საშიშროებას, სრულიად ივიწყებდა ძირითად რგოლს, რომელზედაც ამჟამად შენდება ჩვენი სასოფლო პოლიტიკა. სასაცილოა, რა თქმა უნდა, ლაპარაკი, რომ ჩვენმა კომუ-

ნისტურმა პარტიამ დაივიწყა ღარიბი გლეხი, — ეს ნამდვილი სისულელეა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს კიდევ მეორე: ჩვენ ისეთ ზოლში შევდივართ, როდესაც გვიხდება ვთქვათ, რომ თუ ჩვენს მხარეზე არ იქნა გლეხობის დიდი უმრავლესობა, რევოლუცია დაიღუპება.

მოვიყვან მეტად უბრალო, ჩემის აზრით, მეტად დამახასიათებელ მაგალითს. აიღეთ ახლა ჩვენი შეიარაღებული ძალების შემადგენლობა. მათი დიდი უმრავლესობა — ეს არის გლეხობა და უმეტეს შემთხვევაში საშუალო გლეხობა. აიღეთ ეკონომიური მხარე: სასოფლო პროდუქციის დიდი უმეტესობა საშუალო გლეხის ხელშია. ამგვარად, რა მხრივაც არ უნდა მივუღებთ — რიცხობრივი მხრივ, თუ ხარისხობრივად, — თქვენ დაინახავთ საშუალო გლეხობის ჯგუფის უდიდეს მნიშვნელობას. როდესაც ამხანაგების ნაწილმა ამის შესახებ მიივიწყეს, ამ საკითხის გარშემო დიდი ლაპარაკი ატყდა. ეს საკითხები ჩვენ ყრილობაზე გამოვიტანეთ და ყრილობაზე ამის გამო გაიშალა კამათი. თქვენ იცით, ეს სანამდე მივიდა. ოპოზიცია მთელ რიგ მომაკვდინებელ ცოდვებს მოგვაწერს, მაგრამ ამ ბრალდებაზე, საბოლოო ანგარიშში, მას უარი უნდა ეთქვა.

აი, დაახლოებით, მოკლედ იმ უთანხმოებების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ყრილობამდე და რომლებიც, ძირითადადში ყრილობაზე გაიშალა.

ჩამოვედით ყრილობაზე. ყრილობის პირველსავე დღეს გამოირკვა ისეთი რამ, რაც ლაპარაკობს. არა კულაკებისა და ღარიბი გლეხობისაკენ გადახრაზე, არამედ იმის შესახებ, რომ ჩვენთან პარტიის ცალკეულ რგოლებში გარკვეული გადახრაა.

ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის შემდეგ, როგორც თქვენ იცით, მოვისმინეთ თანამოხსენება ზინოვიე-

ვისა, რომელსაც ეს „მიანდო“ ლენინგრადის დელეგაციამ, და აგრეთვე ორი-სამი დელეგატისა სხვა ადგილებიდან. აი იქ ორიოდე სიტყვა ოპონენტებისათვის გასამარტავად. ჩვენ ყოველთვის გვეკითხებიან: „რა ხნიდანაა, რომ პარტიაში, პარტიულ ყრილობაზე შეუძლებელი გახდა გულ-ახდილი ლაპარაკი იმაზე, რასაც ფიქრობ?“ ჩვენ ვუპასუხებთ: „შეგიძლია ილაპარაკო ყველაფერი, რაც შენ გსურს, ხელს არავინ შეგიშლის; შეგიძლია ილაპარაკო დილიდან საღამომდე, თუ მქვერმეტყველურად ლაპარაკობ, ყრილობა ამასაც მოითმენს, ხოლო თანამოხსენებას ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივიღებთ“. რა საკითხზე მოვისმინეთ ჩვენ თანამოხსენება? პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის შიხედვით, წელიწადნახევრის განმავლობაში ერთად მუშაობაზე. ამ თანამოხსენების მარტო მოთხოვნაც ცხადყოფს, რომ ოპოზიცია არის. არის სრულიად სხვა ხაზი, ვიდრე ის, რომელსაც აშენებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი. და ეს მაშინ, როდესაც ყველა კონფერენციაზე მთელი საბჭოთა მიწის ყოველ კუთხეში მივიღეთ რეზოლუცია, რომ ჩვენ მივესალმებით გენერალურ შტაბს, რომ ჩვენ მომხრე ვართ ერთიანობისა და სხვა. ხომ ყველასთვის გასაგებია, რაშიც არის აქ საქმეა და ჩვენც, რა თქმა უნდა, ათასჯერ მართალი ვიყავით. ახლა ყველა იმპერიალისტურ სამრეკლოზე რეკავენ ყველა ზარს, რომ ბოლშევიკებს შორის განხეთქილება მოხდაო და სხვ.

დასრულდა თანამოხსენება, შემდეგ — ცნობილი კენჭისყრა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის რეზოლუციის წინააღმდეგ. ახლა ყველაფერი ეს დაფარულია დროით, თუგინდ ორი-სამი კვირის ხანდაზმულობით. ახლა ამას უკვე სხვაგვარად ხსნიან. ყრილობის

ერთერთმა დელეგატმა, ლურსმნის ქარხნიდან, მითხრა: ხმა მივეციოთ წინააღმდეგ იმიტომ, რომ ასე გამოვიდა ტექნიკურად. ჩვენ, — ამბობდა იგი, — ისეთ პირობებში ვიყავით ჩაყენებული, რომ „წინააღმდეგ“ უნდა მიგვეცა ხმაო. მაგრამ ეს არ არის განმარტება: „წინააღმდეგ“ გამოვიდა ტექნიკურად. მექანიკურად თუ სხვა გვარად. „წინააღმდეგ“ კი გამოვიდა (ხ მ ე ბ ი: „ქიმიურად“). აი აქ მიკარნახებენ: ქიმიურად. შეიძლება ასედაც იყო, მაგრამ როგორც არ უნდა მოაბრუნო, „წინააღმდეგ“ გამოდის, „მომხრე“ კი არანაირად არ გამოდის. როგორ იყო საქმე, ამხანაგებო? მხედველობაში იქონიეთ: თავდაპირველად ხელი ავწიეთ, ვინ იყო „მომხრე“, ვინ „წინააღმდეგი“, მაგრამ ვინაიდან ეს საკითხი უდიდესი მნიშვნელობისაა, ეს ხომ ბიუროს კოლექტივის გადაჩევა არ იყო, გადავწყვიტეთ ცალკეულად დასახელებით გვეკითხა ყველასათვის: „ივანოვო, შენ „მომხრე“ ხარ, თუ „წინააღმდეგი?“ მოთმინებით ვისხედით რამდენიმე საათს, ჩვენ 665 დელეგატი ვიყავით და ყველას ცალკეულად, გვარის მიხედვით ვუძახდით და ვეკითხებოდით, ისიც გვეუბნებოდა — „მომხრე“ იყო თუ „წინააღმდეგი“. და აქ, ლენინგრადის დელეგატები ამბობდნენ „წინააღმდეგს“, ხელს, მაშასადამე, „ტექნიკურად“ წევდნენ, „წინააღმდეგი“ თქვეს შემდეგ როგორღაც შემთხვევით, ახლა ჩამოვიდნენ ლენინგრადში და ამბობენ: დრო არა გვქონდა, ვერ მოვასწარიო, ვერ ვიმსჯელებო, შესვენება არ გავაკეთეთ, ნაწილ-ნაწილ არ ვუყარეთ კენჭი, ძირითადად არ ვყარეთ კენჭი, არამედ მთლიანად მივიღეთ ერთბაშად. ერთი სიტყვით, „მომხრე“ როგორღაც ვერ გამოდის ვერანაირად, მაინც „წინააღმდეგი“ გამოდის (ს ი ც ი ლ ი). აბა, ამხანაგებო, თუმცა მეგიწოდეთ „მოსამზადებელი კლასი“, მაგრამ თქვენ მაინც

მოზრდილი ადამიანები ხართ. როგორ შეიძლება კენჭის-  
ყრის თავზე მოხვევა და ისიც პარტიის ყრილობაზე, ასეთ  
სერიოზულ საკითხში, ვის აიძულებ დაიძახოს „ჰო“ ან  
„არა“ მექანიკურად ან ტექნიკურად? ეს არაფრით არ  
გამოვა.

ამგვარად, გვქონდა რა ყველა ეს უთანხმოება, ოპო-  
ზიციას, ალბათ, მხედველობაში ჰქონდა თავისი პლატ-  
ფორმის მოცემა. ჩვენ, ცოდვილი ხალხი, ღრმად ვართ  
დარწმუნებული იმაში, რომ იმ თანამოხსენებით მათ, თავისი  
პლატფორმის გაშლა სურდათ. როდესაც წინადა-  
დება მივეცით რეზოლუციაზე, მათ ერთგვარი „პატარა  
შესწორებები“ შეიტანეს, იმგვარი ხასიათისა, რომ მთელს  
ჩვენს რეზოლუციას ყირამალა აყენებდნენ. მაშინ ჩვენ  
ვუთხარით: ეს შესწორებები ჯიბეში ჩაიდეთ, აი რეზო-  
ლუცია, ვუყაროთ კენჭი, გინდ მომხრენი იყავით, გინდ  
წინააღმდეგი, როგორც გასურდეთ-თქო. ეს კი მათ აღარ  
გამოუვიდათ. ანგარიშში მოტყუებდნენ.

ახლა ყრილობა დასრულდა — როგორ მოვიქცეთ?  
ოპოზიციონერები უმცირესობაში დარჩნენ. იმ დელეგა-  
ციის გარდა, რომელიც ყველა საკითხის შესახებ უკვე  
გამზადებული აზრით მოვიდა, მათ არავინ შეერთებია,  
აღარაფერი არ გამოუვიდათ. და აი შემდეგ ვხედავთ,  
როდესაც ყრილობის მუშაობა შევაჯამეთ, ისინი აცხა-  
დებენ: რაღა გვეთქმის, პარტიის ყრილობა დასრულდა,  
ყრილობის გადაწყვეტილებები ჩვენთვის სავალდებუ-  
ლოა, ჩვენ მას გავატარებთ და სხვ., თითქო სალაპარაკო  
აღარა არის რა. მაგრამ, ვფიქრობ, დამერწმუნებით, სა-  
ლაპარაკო მაინც არის. ჩვენ ვლაპარაკობთ აქ ხშირად  
ნაშუალამევის ორ საათამდე, ხან კიდევ ცოტა უფრო  
გვიანამდე, მაგრამ ვერაფრით ვერ შევთანხმდებით ხოლ-  
მე. საქმეს წარმოგვიდგენდნენ ისე, თითქო ლენინგრადის

დელეგატებს მხარს უჭერდნენ ლენინგრადის ორგანიზა-  
 ცია. ისე წარმოვედგენდნენ საქმეს, რომ, აი, „ჩვენ გა-  
 მოგვაგზავნენ“, „ჩვენ დავალბებულნი ვართ განვიცხა-  
 დეთ“, „ჩვენ უვლენა გვაქვს წინადადება შემოვიტანოთ“  
 და ს.ვ. და ა. შ. როდესაც კენჭისყრა მოვაწყეთ ყრილობაზე,  
 მაშინ ლენინგრადის დელეგატთა ნახევრობა დაბ-  
 რუნდა და აქ აიღო ახალი მანდატები მსხვილი წარ-  
 მოებებიდან. მათ მოახერხეს საქმე ისე წარმოედგინათ,  
 როგორც ახლა ქარხანაში გვიამბობდნენ, — რომ  
 „ლენინგრადს სცქებენ“, „ძალა უნდა მოვიკრიბოთ,  
 მხარი მხარს უნდა მივცეთ, იერიშით უნდა მივაწვეთ“  
 და სხვა და სხვა. თქვენ იცით, რომ ჩვენ პარტიაში არ-  
 ტელური ხალხია: თუ ჩვენებს აწყენინეს — დავცხოთო.  
 ოპოზიციისა და სხვა ქარხანებში, მიუხედავად იმისა, რომ  
 ყრილობის გადაწყვეტილება ცენტრალური კომიტეტის  
 ანგარიშის გამო უკვე მიღებული იყო, გამოიტანეს ასე  
 თი რეზოლუციები: მთლიანად მხარს ვუჭერთ ჩვენს დე-  
 ლეგაციას, რომელიც ჩვენი აზრის გამომხატველიაო. და  
 ს.ვ. ოპოზიციონერები კვლავ ჩამოვიდნენ მოსკოვში და  
 თან ჩამოიყვანეს დელეგატები ქარხნებიდან „მისალმე-  
 ბებით“ — თქვენ ეს წაკითხული გაქვთ გაზეთებში, —  
 სადაც ლაპარაკია, რომ „ჩვენ, ლენინგრადელები, მათ  
 მხარეზე ვართ“. რა გამოვიდა? ის გამოვიდა, რომ გა-  
 დაწყვეტით გადაწყვეტეთ ყრილობაზე, ოპოზიცია უმ-  
 ცირესობაში დარჩა, ხოლო ფორმალურად — უმცირე-  
 სობას მხარს უჭერს ასიათასი კაცი ორგანიზაცია. თუ სი-  
 ნამდვილეში ასე დარჩა, წარმოიდგინეთ, რა გამოვა აქი-  
 დან? შეიძლება პარტიას მშვიდობიანათ იმუშაოს? პარ-  
 ტიის ცენტრალურ კომიტეტს შეუძლია ისე იგარჟნოს  
 თავი, როგორც უნდა გრძნობდეს, რომ მის გარშემო  
 ყველაფერი რიგშია? არა, მაშინ გამოვიდოდა, რომ უჭრ-

გიდან ან გვერდიდან დგას ასიათასეული ორგანიზაცია, რომელიც არ იზიარებს ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელიც მთლიანად და სრულად იზიარებს ოპოზიციის იმ შეცდომებს, რომლებიც ყრილობამ განმარტა, რომლის გამო ყრილობამ სპეციალური მოწოდებით მიმართა ლენინგრადის ორგანიზაციას და გარკვეულად გამოააშკარავა ეს შეცდომები. და მაინც თითქო ლენინგრადის დელეგაციას ემხრობოდა ლენინგრადის ორგანიზაცია.

როდესაც აქ ჩამოვედით, ორმაგი ბუხპალტერია დავხვდა. შეიძლება აქაც გადაგიშალონ პატარა ფურცელი საბუხპალტრო წიგნებიდან და თქვან: „ჩვენ რეზოლუციას ვემხრობით, მაგრამ ჩვენ ლენინგრადის დელეგაციასაც ვემხრობით; ყრილობა სწორად მოიქცა, მაგრამ ლენინგრადის დელეგაციაც სწორად მოიქცა, იცავდა რა...“ და სხვ. ამხანაგებო, დამერწმუნეთ. რომ თუ საქმე ისე წავიდა, რომ ერთ ადგილზე ერთი რამ იქნება მართალი, მეორეზე სულ სხვა, ხვალ კიდევ — რაიმე მესამე, მაშინ გამოვა, რომ ჩვენ გვექნება არა პარტია. არამედ რალაც ბაზარი, საჭიროა მაინც გვახსოვდეს, რომ მიუხედავად ყველა ამ ეპითეტისა, რომლებითაც ჩვენ გვაჯილდოებენ, გვიწოდებენ რა ნახევრად ბარბაროსებსაც კი, არ მოიძებნება არც ერთი სერიოზული კაცი, რომელიც შეეცდება უარყოს, რომ უფრო ძლიერს, უფრო შემქიდროებულს, უფრო მძლავრ პარტიას, ვიდრე საკავშირო კომუნისტური პარტია ბოლშევიკებისა არის, მთელს მსოფლიოში ვერ იპოვი. ეს ყველამ იცის (მ ქ უ ხ ა ჩ ე ტ ა შ ი).

თუ ჩვენ, ამხანაგებო, მართლა ხვალიდან გვინდა დავისახოთ ჩვენი შემდგომი მუშაობის გეზი, ახალი გეზი ჩვენი წინსვლისა სოციალიზმისაკენ, გვინდა ნამდვილად წარმატებით ვიაროთ ამ გზაზე, — მაშინ მთავარი და ძი-

რითადი პირობა ხომ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი პარტიის რიგებში არც ერთ ადგილას არ იქნეს აშლილი, რადგან ცოტაოდენი დაბრკოლება, გზიდან აცდენა, შერყევა ჩვენი მწყობრი რიგებისა გამოიწვევს ღრმა უარყოფით მომენტებს ჩვენს მუშაობაში და ჩვენს ცხოვრებაში. აი რატომ ცდილობს პარტიის ცენტრალური კომიტეტი ასე გულისხმიერად ლენინგრადის ორგანიზაციის ნამდვილი ხმის მოსმენას. ჩვენ, ყრილობაზე, ყრილობამდე და ყრილობის შემდეგ, ჩვენ, ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა არც ერთი წუთითაც არ დავეჭვებულვართ იმაში, რომ ლენინგრადის ნაცადი რევოლუციონერების დიდი უმრავლესობა, ჩვენი პარტიის საუკეთესო წევრები, უდაოდ შეცდომაში არიან შესულნი, არა თუ იზიარებენ იმ შემცდარ შეხედულებებს, რომელიც ყრილობაზე გაშალა ოპოზიციამ (ტ ა შ ი).

ახლა, ამხანაგებო, რამდენიმე სიტყვა ჩვენი კომკავშირის შესახებ. აქ დასამალავი არა არის რა და არც შეიძლება რაიმეს დამალვა. ჩვენ ვიცით, რომ ის, რაც ჩვენი პარტიის რიგებში ხდებოდა, აშკარად გადაედო ჩვენს კომკავშირსაც. თუ ჩვენ ერთ წყება მოზრდილ ამხანაგებში, პარტიის წევრებში ვხვდებით ასეთ საქციელს, კომკავშირის რიგებში ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ ნამდვილ უღარდელ განწყობილებას. ამ უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში ლენინგრადის ასიათასეულ ორგანიზაციაში ჩვენ შევნიშნეთ უდიდესი გადატრიალება. არავითარი ეჭვი არ არის, რომ რაგინდ მხურვალე თავები არ ჰქონდეს ლენინგრადის კომკავშირის გარკვეულ ნაწილს, იგი მაინც აღიჭურვება მამაცობითა და სიმშვიდით იმისათვის, რათა თავიდან ბოლომდე ნამდვილად გაერკვეს ყველაფერ იმაში, რაც ხდება და არ დააყო-

ნებს გაჰყვეს ჩვენი პარტიის საუკეთესო ნაცად რაზმებს (ტ ა შ ი).

კიდევ ორიოდ სიტყვა, ამხანაგებო, თემაზე იმის შესახებ, რასაც ჩვენ გვეუბნებიან ყველგან და ყოველთვის: აი, თქვენ უაღრესად პასუხისმგებელი ამხანაგები ჩამოხვედით აქ და ანგრევთ ლენინგრადის ორგანიზაციასო. ამხანაგებო, გაიგეთ, ყრილობა დასრულდა, 65 დელეგატი ჩვენი საბჭოთა სამშობლოს სხვადასხვა კუთხეშია ამჟამად და ყველა გულისცემით ელოდება ლენინგრადის ორგანიზაციის ხმას, გულისცემით ელოდება პასუხს შეკითხვაზე — მართალი არის თუ არა, რომ ლენინგრადის ყველა 100 ათასი კომუნარი მთლიანად და სრულად მიჰყვება იმ 65 დელეგატს, რომელნიც პარტიის XIV ყრილობაზე ოპოზიციას წარმოადგენდნენ; ამიტომ ჩვენ ვლაპარაკობთ: „მართალია, აქ პატიოსანი კომუნარი, ყველა, ვინც გულწრფელად მიისწრაფვის გაერთიანდეს ცენტრალური კომიტეტისა და ჩვენი პარტიის ყრილობის გარშემო, პირველ ყოვლისა უნდა შეეცადოს დადგეს ერთ რიგში მთელ საკ. კ. პ. (ბ)-სთან“. (ტ ა შ ი). თუ ჩვენ, ამხანაგებო, ამას მივალწევთ, თუ ლენინგრადის ყოველი კომუნარი ნამდვილად გაიმსჯვალედა ამ აუცილებლობის შეგნებით, აღარავითარი ნაბზარი აღარ არის საშიში კომუნართა ჩვენი დიადი მილიონიანი ოჯახისათვის (ტ ა შ ი). ჩვენ ვხედავთ, რომ ლენინგრადის პროლეტარიატი და ლენინგრადის კომუნარები უკვე ამ გზით წავიდნენ და ბევრი დრო არ გაივლის, ამხანაგებო, მანამდე, როცა ლენინგრადის მთელი ასიათასიანი ორგანიზაცია შეხმატკბილებულად, პარტიის წევრთა მთელ მილიონთან შემკიდროებული ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, XIV ყრილობის გადაწყვეტილებით ხელში, გაბედულად წაეა წინ და მართლაც ბოლშევიკურად, რე-

ვოლუციონურად დაიცავს ამხანაგი ლენინის ანდერძს და მას ლკან გაჰყვება კომკავშირიც. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა - შ ი . კ რ ე ბ ა ფ ე ხ ზ ე ა მ დ გ ა რ ი მ ი ე ჯ ს ა ლ მ ე ბ ა ა მ ხ ა ნ ა გ კ ი რ ო ვ ს).

## საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო! მე ვფიქრობ, ყველა საკმაოდ დაიღალა და ამიტომ მხოლოდ რამდენიმე შენიშვნით დავკმაყოფილდები. პირველი, რაზედაც მე მინდოდა შეეჩერებულყავი — ესაა ყველაზე მაგარი შენიშვნა, ალბათ, ერთ-ერთი ოპოზიციონერისა; იგი წერს ბარათში, რომელიც გამოეგზავნა პირდაპირ პრეზიდიუმს, და არა მე — მომხსენებელს. ის ამბობს: „რად სტყუის მომხსენებელი? რომელი ოპოზიციონერი ამტკიცებდა, ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა სოციალისტურ მრეწველობას არ წარმოადგენსო? რომელი ოპოზიციონერი უარყოფდა ამას?“ (ხ მ ე ბ ი: ვისი ხელმოწერაა?!) ძნელი გასარკვევია, ვისია ხელმოწერა. საქმე ხელმოწერაში კი არ არის, არამედ საქმე იმაშია, როგორ მოხდა, რომ ექვები ჩვენი მრეწველობის სოციალისტური ხასიათის შესახებ ისეთი სამრეწველო ცენტრიდან გამომდინარეობს, როგორიც ლენინგრადია. მაგრამ აქ ჩვენ არა ვართ დამნაშავე. საქმე იმაშია, რომ ოპოზიციის ნაწილს შეადგენენ არა მარტო ლენინგრადელები, მაგალითად, სოკოლნიკოვი, რომელიც ყრილობაზე ამტკიცებდა იმას, თქვენ ყველამ წაიკითხეთ, და რომელიც, ახასიათებდა რა რკინისგზებს, გვეკითხებოდა: რა არის ჩვენი რკინისგზები, ნუთუ ეს არის სოციალისტური რკინისგზებიო? მე შემიძლია მთელი რიგი სხვა მაგალითების მოყვანა. მაგრამ აი, წაიკითხეთ ზალუცკის ბროშურა, რომელშიც იგი წერს: „ჩვენი ჩამორჩენილობითა და ტექნიკით როგორ შევძლებთ სოციალიზმის

აშენებასო? ამის შესახებ ლაპარაკობდა თავის დროზე კამენევიც — ჩვენი ჩანარნილოვასა და სხვათა გამოძნელია სოციალიზმის აშენებაო. ამიტომაც ჩვენს რევოლუციაში განსაკუთრებული მტელია იმის შესახებ, რომ პარტიული ყრილობა წინადადებას იძლევა გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ მათ წინააღმდეგ, ვისაც არ სწამს სოციალიზმის აღმშენებლობა.

ახლა რაშიდენივე შენიშვნა აქ გამოსული ორატორების შესახებ. განსაკუთრებით გაჯავრებული გამოვიდა ცარკოვი. იგი ბრალს მდებდა იმაში, რომ მე გრანოვასე ვმოქმედობ და დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საჭირო არ არის ზინოვიევის, კამენევისა და სხვების დისკრედიტირებაო. ეს მართალია, დეცლუბლობის გარეშე საჭირო არ არის ადამიანების დისკრედიტირება. მე კი ვეკითხები ცარკოვს: თქვენ რაღად ეცდებით დისკრედიტიზაციას პარტიული ყრილობის გადამწყვეტილებებს? ისინი ხომ ამ საქმეს ეწევიან აქანდე. ვინც ამას უარყოფას შეეცდება, მას თმები უნდა გაეწიოდეს სარკველით. რაც აქ იქნა წაკითხული, ეს ხომ ცოცხალი ადამიანური დოკუმენტებია, რომლებზედაც ვერ შევლავ ვა არ გამშრალა. ლაპარაკებს თუ არა ეს ყრილობის ცნობის შესახებ, დისციპლინის შესახებ? ამაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ხალხი იკრიბება და შეველობს იმის შესახებ, თუ როგორი ბრძოლა ვაწარმოე XI ყრილობასე, როგორ განაწილდებიან აღვილებზე და ჩასაფრდებიან. რა არის ეს — პარტიის გაერთიანების პოლიტიკა? ვციქრობ, რომ ეს მეტრასმეტად ჰგავს განხეთქლებას. თუ ამას დავუკვირდებით, როგორც საჭიროა, თუ ამას მიუხედავებით უბრალოდ, დამლომატიის გარეშე, ეს ხომ ნამდვილი რასკოლნიკური პოლიტიკა გამიხდება. (ტაში).

მე, ამხანაგებო, მინდა შევეხო კიდევ ერთ უკანას-

ქნელ შენიშვნას, ჩემის აზრით, ყველაზე დემაგოგიურს, სახელდობრ — ფადეევის შენიშვნას. ის ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ იატაკქვეშ მწიფდებოდა ყოველგვარი ისტორიები. და ვინ აღმოჩნდა დამნაშავე? ჩვენ გვიცხადებენ: თქვენა ხართ, ამხანაგებო, დამნაშავენი იმაში, რაც ამჟამად ლენინგრადის ორგანიზაციაში ხდებაო. ჩვენ გვეუბნებიან: რა გინდათ ჩვენი დელეგაციიდან — გამოვიგნვა ხომ არაო? არა ამხანაგებო, რად გვინდა შიგნეული, თუგინდ დელეგატებისაც, ჩვენ ის არაფრად გვქირდება. საქმე ახლა იმ შეცდომებშია, რომლებიც ოპოზიციამ ჩაიდინა ყრილობაზე. და ჩვენ ვფიქრობთ, ძველებური ბოლშევიკური წესით, რომ ამ ოპოზიციონერებს, რითაც არ უნდა იფარავდნენ თავს და რასაც არ უნდა ფიქრობდნენ, — უნდა ითქვას კი, რომ მათი მდგომარეობა სახარბიელო არ არის (ს ი ც ი ლ ი). — უნდა აუწიო ყური და ჩვენი კომუნისტური აუდიტორიის წინაშე გამოჰკითხო, თუ როგორ მივიდნენ ამგვარ ცხოვრებამდე (ს ი ც ი ლ ი). უნდა გავიგოთ, ამხანაგებო, ეს საქმე, ნუ შეხვალ — ნუ ებანები, ნუ გამოხვალ — ნუ თრთი. სხვაგვარად ჩვენ არ შეგვიძლია ვიმოქმედოთ, რადგანაც დაწვრილებით უნდა გავიგოთ, თუ რაშია აქ საქმე. აქ, ამხანაგებო, არავითარი სიმკაცრე არ არის — ეს ყველაზე ელემენტარული ბოლშევიკური ხერხია. ჩვენ გვეკითხებიან: რად არ გამოდის მოპირდაპირე მხარე? სულ უბრალო მიზეზის გამო — არის დადგენილება იმის შესახებ, რომ დისკუსია შეწყვეტილია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს, არც ერთ ოპოზიციონერს არ შეეძლოს გამოსვლა, და ისინი, როგორც თქვენ ხედავთ, კიდევ გამოვლიან. დელეგაციასაც შეუძლია გამოვიდეს, ცენტრალური კომიტეტის წევრსაც შეუძლია გამოვიდეს, იგი მხოლოდ უნდა გამოვიდეს აქ და დაიც-

ვას ყრილობის გადაწყვეტილება (ტ ა შ ი). თუ იგი განზო-  
ვიდა და დაიწყო აქ თავისი პოზიციების დაცვა — ეს ნიშ-  
ნავს „დაიწყო თავიდან“. ყრილობა მორჩა ამ საქმეს, გა-  
დაწყვეტილება მიიღო, და თუ მთელ საბჭოთა კავშირში  
დაიწყო დისკუსია — ეს იქნება ის, რომ საქმის ნაცვლად  
დროს დავკარგავთ, ეშმაკმა იცის რაზე. ამიტომ, მე  
ვფიქრობ, რომ პარტიამ სრულიად სწორად გადაწყვიტა  
დისკუსია დაესრულებინა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს,  
თითქოს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს არ შეუძლია  
გაერკვეს ოპოზიციის შეცდომებში. აქ ამბობენ, რომ სა-  
კითხი არც თუ დაწვრილებით და ზუსტად შუქდებაო.  
ჩემის აზრით, ეს ასე არ არის. აქ მხოლოდ მხედველობა-  
ში უნდა მივიღოთ, რომ ოპოზიციონერებს ძალიან  
უჭირთ დანაშაულში გამოტყვა; როდესაც დააშავენ — ეს  
მეტად მძიმეა. ეს მხოლოდ გუშინ მოხდა, გუშინ დაიბნენ  
და დღეს თქმა რომ დავიბენითო — ეს არაბოლშევიკუ-  
რად ითვლება. ჩვენ ვამბობთ და სრულიად დარწმუნებუ-  
ლი ვართ იმაში, რომ ეს არ არის სწორი, და რომ ბოლ-  
შევიკურად სწორედ წინააღმდეგ ხდება. იქონიე ვაჟკა-  
ცობა მიხვიდე პარტიასთან და უთხრა, რომ დაშვებულია  
შეცდომა; საჭიროა ამ შეცდომის გამოსწორება და გამო-  
კეთება ყველაფერი იმისა, რაც იყო. მხოლოდ მაშინ შევ-  
ძლებთ აღმოვფხვრათ ის, რაც ჩვენთან მოხდა. მე ვფიქ-  
რობ, აქ, ლენინგრადში, სრული უფლებით შეგვიძლია  
ვთქვათ, რომ ლენინგრადის ორგანიზაციის პარტიის  
წევრთა უმრავლესობა სწორ გზაზე გამოვიდა. ასევე უნ-  
და გააკეთოს კომკავშირმაც. უნდა ითქვას, ამხანაგებო,  
რომ აქ ჯერ კიდევ დიდ უდარდებლობას აქვს ადგილი:  
„დაიბნენ და დაიბნენ, მერე და რა შენი საქმეა?“ — ჯერ  
ციდევ ახალგაზრდა ხალხია, ქედმაღლობა დიდი აქვთ.  
არც ჩვენა ვართ სულ მოხუცებულები, არც თუ დიდი

ხანია, რაც ახალგაზრდები ვიყავით. ქედმაღლობა ასეთ შემთხვევაში მავნე რამ არის, ამხანაგებო, და ამით ტრახანი ყოვლად შეუძლებელია. თქვენ ყველას მშვენივრად გესმით, რა მძიმე მდგომარეობა აქვს ხოლმე პარტიას, როცა იგი ოდნავად წაიბოროძიკებს; და რალა მოუევა, თუ ჩვენთან, კომკავშირის, ჩვენი მოზარდი თაობის ღზაზმაზარმა ორგანიზაციამ რყევა დაიწყო მარცხნიდან მარჯვნივ და ვერ მოახერხა პარტიისაკენ გზის პოვნა.

თუ ჩვენ ნამდვილად გვწამს სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობა ერთ ქვეყანაში, თუ ჩვენ ვიცით, რომ კულაკი არ არის საშიში ჩვენთვის, თუ ჩვენ ნამდვილად დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ჩვენი პოლიტიკა ქვეყნის შიგნითაც და გარედაც, მთლიანად და სრულიად სავსებით სწორეა, თუ ჩვენ ნამდვილად XIV ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნულ ყველა საკითხს ვღებულობთ ისე, როგორც ეს შეფერის კომუნისტ-ლენინელს, — ის პირველი და ძირითადი იმისათვის, რომ იგი ნამდვილად მთელი ასი პროცენტით გავატაროთ, არის პარტიის მთლიანობა (ტ ა შ ი).

და ამიტომ ოპოზიციის „გულგრილი“ წარმომადგენლები, კეთილ ინებონ, ნუ გვესვრიან საყვედურებს, რომ ჩვენ გრძნობაზე ვმოქმედობთ. არა, ამხანაგებო, საქმე გრძნობაში კი არ არის, არამედ იმაშია, რომ ბზარი გამოჩნდა სწორედ იმ ქალაქში, რომელიც ლენინის სახელს ატარებს და ამას ვერ მიხვდე — იმას ნიშნავს, ვერაფერი ვერ გაიგო ჩვენი პარტიის ცხოვრებაში. ამიტომ ცენტრალური კომიტეტი, მტკიცედ იმედოვნებს, რომ ის ქალაქი, რომელიც ატარებს დიდი მასწავლებლისა და ჩვენი პარტიის ფუძემდებლის სახელს, ჩვენს რიგებში კვლავ დაიჭერს იმ საპატიო ადგილს, რომელიც მას ეჭირა, და მას-

თან ერთად ლენინგრადის კომკავშირიც. (ტაში, კრე-  
ბა ფეხზე ამდგარი მიესალმება ამხა-  
ნაგ კიროვს).

ს. მ. კიროვი, „წერილები,  
სიტყვები და დოკუმენტები“, ტომი III,  
გვ. 41 — 63, საგ. ქ. პ. (ბ) ცქ  
პარტგამომცემლობა, 1936 წ.

# XIV ყრილობის გადაწყვეტილებების საუბრა- ზე მოპაწყობთ ნამდვიდი დენინური ხედმძვანაელობა კომპაპვირზე

მოხსენება საკ. აღკკ ლენინგრადის საკუბერნიო XII  
კონფერენციაზე 1926 წლის 4 მარტს \*

## პარტიის XIV ყრილობა სოციალიზმის გამარჯვების შესახებ მართს ძვიხანაში

ამხანაგებო, სანამ მოხსენებას შეეუღებოდე, ნება მომეცით გადმოგცეთ საკავშირო კომუნისტური პარტიის და ჩვენი ლენინგრადის ორგანიზაციის გულწრფელი სა-  
ლამი (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი, შ ე უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ო ტ ა შ ი).

ამხანაგებო, დავალებული მაქვს მოხსენება გაგიკეთოთ ჩვენი პარტიის XIV ყრილობის შედეგებზე. მე ვფიქრობ, რომ ყოველ თქვენგანს, ამ უკანასკნელი ორი თვის გან-  
მავლობაში, ალბათ, ხუთჯერ და შეიძლება მეტჯერაც მოუსმენია ეს თემა. რაც შემეხება მე, ამ თემაზე ლაპარა-  
კი მე, ალბათ, ხუთჯერ მეტად მომიხდა, ვიდრე თვითეულ თქვენგანს მოხსენების მოსმენა. ამიტომ, ვფიქრობ, სწორად მოვიქცევი, თუ ჩემს ამოცანას განვსაზღვრავ ყველაზე უმთავრესის, ყველაზე ძირითადისა და ყველა-  
ზე მნიშვნელოვანის გადმოცემით.

ამასთანავე ყოვლად შეუძლებელია არ შევჩერდე იმ ძირითად საკითხებზე, რომლებიც აინტერესებდა, აინტე-

\* იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამით — რ ე დ.

რეებს და კიდევ დააინტერესებს ჩვენს პარტიასა და კომკავშირს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ სათანადო ანგარიშს არ ვაძლევთ თავს იმაში, თუ ამჟამად რა ხანას განვიცდით საერთოდ, რა ისტორიულ ხვეულზე იმყოფება ახლა ჩვენი პარტია. ჩემის აზრით, ამისათვის საჭიროა გაიაროს დროის საკმაო მონაკვეთმა, რომ ჩვენს პარტიას საშუალება ჰქონდეს დაიწიოს ერთგვარ ისტორიულ მანძილზე და თითქო გარედან შეხედოს იმას, რაც ამჟამად თვალწინა გვაქვს.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ჩვენი ყრილობა განსაკუთრებით მძიმე, განსაკუთრებით რთულ პირობებში მიმდინარეობდა. თქვენ იცით, რომ ჩვენთან ყრილობაზე საკითხის განხილვა ზოგჯერ ისეთ ხასიათს ღებულობდა, რომ უდაოდ მუქარის ქვეშ ვიდექით, ნამდვილი გარკვეული უშუალო მუქარის ქვეშ, ჩვენი პარტიის რიგების არა მარტო რყევის, ბორძიკის, არამედ ჩვენი პარტიის ცალკეული წევრებისაგან ჩვენ გვესმოდა ისეთი სიტყვები, რომლებიც კარგანანია არ გვსმენია. სიტყვა „განხეთქილება“, ამხანაგებო, ბოლშევიკურ ლენინურ პარტიაში ითვლება ყველაზე საშინელ, ყველაზე სახიფათო სიტყვად, რომელიც კი რუსულ ენაში არსებობს. ჩვენ ჩვენი პარტიის ხანგრძლივ, ზოგჯერ მეტად მძიმე ისტორიის მანძილზე ბევრი მეტად მძიმე, მეტად სახიფათო მომენტი განვიცდით, მაგრამ არც ერთ ამ მომენტში, მეტად რთული ხლართების დროსაც კი, ისეთი გულსიტკივილი არ უგრძენიათ ლენინელ-კომუნისტ ბოლშევიკებს. როგორსაც ახლა. სიტყვა „განხეთქილების“ წარმოთქმის დროს. ჩვენს ლენინურ საკავშირო კომუნისტური პარტიის რიგებში ამგვარი სიტყვები წარმოითქმებოდა ჩვენი პარტიის უკანასკნელ ყრილობაზე, ჩვენ გვესმოდა ეს სიტყვები, და ეს არ იყო უბრალო მუქარა, იგი ნაკარნა-

ხევი იყო ამ დისკუსიის მთელი მსვლელობით, რომელიც ჩვენთან გაიშალა.

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ძირითადი საკითხი, რომელიც იდგა ჩვენს ყრილობაზე და რომელიც, ჩემის აზრით, ჯერ კიდევ არ არის სრულიად მოხსნილი ჩვენი ყოველდღიური მუშაობის დღის წესრიგიდან, ეს არის საკითხი ჩვენი რევოლუციის ბედილბალზე, საკითხი სოციალიზმის აშენების შესაძლებლობისა ერთს ქვეყანაში.

აი, თქვენ იძლევიტ შეკითხვას: ჩვენთან უკვე მუშათა კლასის დიქტატურის მეცხრე წელია, მთელი ამ ხნის განმავლობაში ეს საკითხი არასოდეს არ მდგარა ასე მწვავედ, როგორც ახლა, ეს საკითხი თითქო ჯერ კიდევ ოქტომბრის დიდ რევოლუციაში გექონდა დაყენებული, მაგრამ არც მაშინ მიუღია მას ასეთი უდიდესი, ასეთი მწვავე ხასიათი, როგორც ახლა. რატომ? პირველ ყოვლისა იმიტომ, ამხანაგებო, რომ იმ ხანებში ჩვენ ყველას, რევოლუციის უშუალო მოღვაწეებს, გვეგონა, რომ ჩვენი ოქტომბრის რევოლუციის კვალდაკვალ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უნდა გაშლილიყო რევოლუცია. თქვენ იცით, რომ ეს არ გამოვიდა, თქვენ იცით, რომ შემდგომ ჩვენ შევედით სასტიკი სამოქალაქო ომის ხანაში, თითქო აღარ გვეცალა ხელი მოგვეკიდებინა ისეთი რთული, გადამწყვეტი დიდი საკითხებისათვის. ჩვენ ჩვენი საბჭოთა სამშობლო უნდა დაგვეცვა უშუალო საფრთხისაგან. მით უმეტეს ყველაფერი უფრო და უფრო მეტყველებდა იმას, რომ დასავლეთში იგვიანებდა რევოლუცია, ჩვენ თითქო მარტონი ვრჩებოდით და ჩვენი, მსოფლიოში პირველი, მუშათა და გლეხთა სახელმწიფო ჩვენივე ხელით უნდა აგვეშენებინა გარედან ყოველგვარი უშუალო დახმარების გარეშე. თქვენ აგრეთვე იცით, თუ რა პირობებ-

ში მიმდინარეობდა ეს მუშაობა. თქვენ იცით, რომ ჩვენ ახლა მივიღეთ საკმაოდ ხანგრძლივი და თითქო საკმაოდ მტკიცე შესვენება ხანგრძლივი დროით, და აი სწორედ ახლა, ჩვენი რევოლუციის მეცხრე წელიწადზე, ვაჯამებთ რა უდიდეს მუშაობას, რომელიც ჩვენ ჩავატარეთ, გვიხდება კიდევ დავსვათ ეს საკითხი — სოციალიზმის აღმშენებლობის შესაძლებლობაზე ერთს ქვეყანაში.

და აი, როდესაც საქმე მივიდოდა მსჯელობის იმ მეორედად, რომელიც დამახასიათებელია ჩვენთვის, ბოლშევიკებისათვის, ჩვენ აქ ვღებულობთ საკმაოდ გარკვეულ, საკმაოდ მტკიცე პასუხს. აქ კი ასე გვეუბნებოდნენ ოპოზიციონერები: სოციალიზმს ჩვენ ვაშენებდით, ვაშენებთ და ავაშენებთ, მაგრამ, — ამბობენ ისინი, — მაგრამ თუ რა გამოვია აქედან. მის შესახებ ჩვენ ჯერჯერობით გაეჩუქდებითო. თქვენ ხომ გესმით, რომ თუ ასეთ ძირითად, საფუძვლიან, მთელი საქმის გადამწყვეტ ამოცანაზე ვამბობთ ასე, რომ გადაწყვეტთ თუ არ გადაწყვეტთ — ამის შესახებ მერე ვილაპარაკოთო. ეს სრულიად არაბოლშევიკური, არალენინური თვალსაზრისია, საკითხის სრულიად არალენინური დაყენებაა.

თქვენ იცით ჩვენი ყრილობის გადაწყვეტილებები ამ საკითხზე. ჩვენ ვამბობთ, რომ, მიუხედავად ჩვენი ტექნიკური ჩამორჩენილობისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა, უმთავრესად, აგრარულია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ გაგვარჩნია ის ტექნიკა, ის გამოწვრთნილი, მრავალრიცხოვანი პროლეტარიატი, რომელიც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს ჰყავთ, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, ჩვენ დარწმუნებული ვართ და ჩვენი მუშაობის რვა წელმაც დაგვანახვა, რომ სოფლის მეურნეობაში და ტექნიკის მხრიავეც ჩამორჩენილს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმს ვაშენებდით, განვაგრძობთ აშენებას და უდაოდ

ავაშენებთ. (ტ ა შ ი). მე ვფიქრობ, რომ თქვენ ამ შემთხვევაში დამეთანხმებით: ეს საკითხის ერთადერთი სწორი, ერთადერთი ლენინური გადაკპრია.

და თუ ახლა ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ წავა მსოფლიო რევოლუციის საქმე, უნდა გავიგოთ, — ქათინაურისათვის კი არ გეუბნებით, — რომ ყოველი კომკავშირელის მუშაობა, თქვენი არსებობის, რა თქმა უნდა, სწორი არსებობის, კომკავშირული, ამ სიტყვის სრული გაგებით, ყოველი დღე (ნაკლოვანებებზე ვილაპარაკებ შემდეგ, მიუხედავად თქვენი დღევანდელი დღესასწაულისა), წარმოადგენს უდიდესი რევოლუციური მუშაობის პატარა ნაწილს. ამიტომ, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ ვაშენებთ სოციალიზმს და ავაშენებთ, აქ ლაპარაკია არა მარტო სოციალიზმზე ჩვენს ქვეყანაში, არამედ სოციალიზმზე საერთოდ, სოციალიზმზე მსოფლიო მასშტაბით. თუ სწორია აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენი კავშირის არსებობის ყოველი დღე აერთიანებს დაჩაგრული და დამონებული ადამიანებისა და ხალხების ახალ-ახალ კადრებს, მაშინ ასევე სწორია, რომ ყოველი ჩვენგანის მუშაობა არის მუშაობა არა მარტო ჩვენი, ნაციონალური, რუსული რევოლუციისა, არამედ ეს არის მუშაობა, რომელიც იდება მსოფლიო რევოლუციის სასწორზე. აი, ჩვენ როგორ გვესმის საკითხი სოციალიზმის აღმშენებლობისა ერთს ქვეყანაში.

დიდად სამწუხაროდ, ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს, იმათაც კი, რომლებსაც მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობები უჭირავთ ჩვენს პარტიაში და ჩვენს სახელმწიფოში, ისეთი ჭიამღრღნელი გაუჩნდათ, რომელმაც ერთგვარი დაეჭვიანება შეიტანა ამ ძირითადი საკითხის გადაწყვეტის მხრივ. იმათ მითითება დაგვიწყეს: როგორ ოცნებობთ სოციალიზმის აშენებაზე იმ სახელმწიფოში (ჩემი

სიტყვებით გამოეთქვამ მათ აზრს და, ვფიქრობ, ისინი მაპატიებენ, როცა სტენოგრაფიაში წაიკითხავენ, თუ როგორ გავიმეორე მათი თვალსაზრისი), ქვეყანაში, სადაც გამეფებულია უფიცობა და ჩამორჩენილობა. შეიხედეთ, — ამბობენ ისინი, — ჩვენს მრავალმილიონიან გლეხთა ფარაჯიან სოფელში, როგორ შეგიძლიათ იოცნებოთ იმაზე, რომ აქ სოციალიზმის აშენება შეიძლება? აქ იმაზე უფრო უნდა იფიქრო, თუ როგორ გასცდეს მეურნეობის ნატურალურ ფორმას; ასეთი ჩამორჩენილობის დროს, როგორ შეგიძლიათ იფიქროთ, რომ ეს ისტორიული „ხვალე“ აშენებული იქნება სოციალისტური საწყისების საფუძველზე?

ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე და მალე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩვენთვის არაერთხელ უთქვამთ: სად მიძვრებით, თქვენ როგორ შეგიძლიათ ხელისუფლების ხელში - ჩაგდება? ხელში ალებით, ვთქვათ, აიღეთ გაქანებით, მთავრობა დაიბნა, ყველაფერი შეირყა, თავდასხმით შეიძლება მართლაც მოახერხოთ ხელისუფლების აღება, მაგრამ თუ რამდენხანს შეინარჩუნებთ — ვნახოთო.

ჩვენ მაშინ ვამბობდით: ყველა დაექვემდებარეს მიეცეს უფლება დაექვემდებარეს, ჩვენ კი ვსინჯავთ გაქანებას, ვსინჯავთ ხელისუფლების ხელში ჩაგდებას, ვსინჯავთ ამ ხელისუფლების შენარჩუნებას, ვსინჯავთ მის გაღრმავებას, ვსინჯავთ ჩამორჩენილთა, ნაკლებკულტურულთა, უფიცთა დიდძალი მასების, მაგრამ ჩვენთან მავალი ადამიანების მიზიდვას ამ ხელისუფლებასთან.

და აი, როგორც ხედავთ, უკვე მეცხრე წელია, რაც ხელისუფლებასთან მივედით და აი, თქვენ მოდიხართ ჩვენს შესაცვლელად, ბევრი თქვენგანი, ალბათ, ტიტლიკანა დადიოდა მაშინ, როცა ჩვენ სამეფო ტახტებს

კამსხვრევლით. შეხედეთ, იქ, სადაც დიდი პოლიტიკური გაქოცდილებით აღჭურვილნი და ყოველგვარ სკოლაგამოვლალი როძიანკოები ისხდნენ, იქ ახლა სხედან ამხანაგები თქვენი შემადგენლობიდან, რომლებიც არც თუ ცუდად მართავენ თავიანთ საქმეს. თქვენც ხომ დაიკავეთ ყოველგვარი გუჩკოვებისა და მილუკოვების და სხვა ადგილები. ბევრ ჩვენგანს მართლაც ვერ წარმოუდგენია, თუ როგორ უნდა გამოსულიყო ყოველივე ეს, მაგრამ ვსინჯეთ და, ხომ ხედავთ, რომ გამოვიდა და საკმაოდ კარგადაც გამოვიდა (ტ ა შ ი).

ყოველ შემთხვევაში, არც ერთი ჩვენგანი — არც მონუცი, არც შუახნის, არც ახალგაზრდა, იოტის ოდენა სინანულს არა გრძნობს იმაში, რომ ეს გავაკეთეთ, რომ ეს საქმე დავიწყეთ. პირიქით, სრული დაკმაყოფილება და გამართლება გვაქვს იმ გეგმებისა, რომლებიც ჩვენ იმ დროს დავისახეთ.

ოპოზიცია ახლა აყენებს საკითხს სოციალიზმის აღმშენებლობის შესახებ ერთს ქვეყანაში. აი, ამ საკითხს რომ სწორი პასუხი გავცეთ და ამ საკითხში ოპოზიციის თვალსაზრისი გავიგოთ, მაშინ სრულიად გარკვეულ მნიშვნელობას მიიღებს დანარჩენი ყველა უთანხმოება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ყრილობაზე.

### **სახელმწიფოებრივი მრავალობა, ნაპი და საკითხი გლმეზობის შესახებ**

აიღეთ, ამხანაგებო, შემდეგი საკითხი: რას წარმოადგენს ჩვენი ეგრეთწოდებული სახელმწიფოებრივი მრევლობა? ეს საკითხი მეტად ანლოა ფაბრიკისა და ქარ-

ხნის ყოველი მუშის გულსა და გონებასთან. ოპოზიციამ, რომელსაც ერთგვარი ეჭვი ჰქონდა სოციალიზმის აღმშენებლობის შესაძლებლობაზე ერთ ქვეყანაში, საკითხშიც, თუ რას წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობა, ცხადია, ასეთივე მერყეობა გამოამჟღავნა.

ჩვენ გადმოგვეკრავდნენ — ჩვენი მრეწველობა სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტურ მრეწველობას წარმოადგენსო. თუ ეს ასეა, მაშასადამე, მუშის გარდა აქ კიდევ ვიღაც მეპატრონეა. ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში სხვა ამგვარი მეპატრონე, გარდა მუშისა, არა გვყავს, როგორც არა გვყავს მთელს სახელმწიფოში. მთელი საქმის ბატონპატრონს ჩვენთან მუშა წარმოადგენს. დიქტატურა მუშათა კლასის ხელშია. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ ვერ არის საქმე შესანიშნავად დაყენებული, ეს ყველაზე ნაკლებადაა დაკავშირებული მოცემულ საკითხთან.

შემდეგი საკითხი აგრეთვე მოღურის საკითხია, რომლის შესახებაც ყრილობაზე და ყრილობის შემდეგაც ოპოზიციას გადმოჰქონდა მეტად მყვირალა კრიმანჭულები, იგი, ალბათ, შემდეგაც მოგვაგონებს ამის შესახებ, — ეს არის საკითხი ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ. ამ საკითხში შეცდომა პირველ ძირითად საკითხთან — სოციალიზმის მშენებლობის შესახებ — არასწორი დამოკიდებულებიდან გამომდინარეობს. ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ თითქო საკმაოდ წარმატებით ვატარებდით 1921 წლიდან, ახლა ისევ სადაო საკითხად იქცა. ზინოვიევი თავის წიგნში ლენინიზმის შესახებ მეტად ვრცლად, რამდენიმე თავში ლაპარაკობს რა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, ამ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას განმარტავს როგორც უკანდახვეის პოლიტიკას. ერთ ადგილას იგი იმასაც კი ლაპარაკობს ნეპის შე-

სახებ, რომ ის იყო ყველაზე ფართო უკანდახევა, რომელიც ოდესმე გაუკეთებია ჩვენს პარტიას.

გვიმარტავდა რა ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, ლენინი ამბობდა, რომ ჩვენ ახლა ისეთ ზოლამდე მივედით, როცა ჩვენ უკანდახევა გვესაჭიროება, როცა ჩვენთვის აუცილებელია მთელი რიგი ურთულესი მანევრების მოხდენა, შემდეგ ძალების რამდენიმე ძვრა, შემდეგ კი ახალი იერიშის დაწყებაო. და მოვიდა დრო, როცა ვლადიმერ ილიჩმა, თქვენ გახსოვთ, ერთერთ ყრილობაზე თქვა: „უკანდახევა გათავდა“, უკანდახევის პოლიტიკა ახლა შეტევით პოლიტიკად უნდა შეიცვალოსო. ესეც ხომ ახსოვს ყოველ ჩვენგანს. ჩვენ სწორედ აი ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ჩვენს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას და ვამბობთ, რომ პრაქტიკული მუშაობის ხუთი წლის მანძილზე ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ სოციალიზმის ელემენტები, როგორც ახლა ვრწმუნდებით, ჩვენთან უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე კაპიტალიზმის ელემენტები. მიუხედავად ნეპმანებისა, რომლებიც უსათუოდ სარგებლობენ ახალი ეკონომიური პოლიტიკით, ჩვენ მაინც ვავითარებთ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალებს, სიმდიდრე არ კლებულობს, ჩვენ საშუალება გვეძლევა უფრო მეტად, უფრო ძლიერად აღვადგინოთ ჩვენი მსხვილი მრეწველობა, ე. ი. საფუძველი ჩვენი სოციალისტური მეურნეობისა. აი, როგორაა საქმე.

შემდეგი საკითხი; ამხანაგებო, ჩემის აზრით, განსაკუთრებით ახლობელი საკითხი უნდა იყოს ჩვენი კომკავშირისათვის — ეს არის ჩვენი უთანხმოება საკითხზე გლეხობის შესახებ. ჩვენი პოლიტიკა აქაც დიდი ეჭვის ქვეშ იყო დაყენებული ოპოზიციის მიერ. ოპოზიციონერებმა ყრილობაზე გაგვიცხადეს, რომ ამ უკანასკნელ ხანს ჩვენ, ვითომდა, მეტად გულცივად ვუყურებთ იმ პროცესებს,

რომლებიც სოფელში ვითარდება. ამის შესახებ, როგორც ცნობილია, საკმაო ფართო სპექულაცია იყო კომკავშირულ წრეშიაც, რომ აი, მის შემდეგ, რაც სოფლად ნებადართულ იქნა დაქირავებული შრომა, მიწის იჯარა და სხვა, კულაკი მშვენივრად გრძნობს თავს, ლარიბი გლეხი კი უფრო და უფრო გაჭირვებაში ვარდებაო.

ყრილობაზე ჩვენ პირდაპირ ვუყენებდით ოპოზიციას საკითხს: რას გვირჩევთ გავაკეთოთ, როგორ შევებრუნოთ საქმე, რომ ლარიბ გლეხს დავეხმაროთ? რით შეგვიძლია დავეხმაროთ-თქო?

ჩვენ ვამბობდით, რომ გარდა იმ გზისა, რომელიც დავსახეთ, სხვა არა გვაქვს რა. ეს გზა შემდეგში მდგომარეობს, საჭიროა ისეთი პოლიტიკა ვაწარმოოთ სოფლადაც და ქალაქადაც, რომ დაუთმობლად ძირითადი პოზიციებისა, რომლებიც ჩვენ გვიჭირავს, რაც შეიძლება სრულად გავშალოთ ქვეყნის საწარმოო ძალები, დავაგროვოთ სიმდიდრე და სიმდიდრის დაგროვების მიხედვით საშუალება გვექნება ზოგი რამ გავუზიაროთ ლარიბ გლეხებსაც. აი, ლარიბი გლეხისა თუ, საერთოდ, სხვა ვინმეს დასახმარებლად ერთადერთი გზა.

ოპოზიცია ამბობს, ეს საკმარისი არ არისო, მაგრამ არც სხვა რაიმეს გვირჩევს. იგი გაჰყვირის—კულაკი იზრდება, ხელში იგდებს ყველაფერსო და სხვ. ჩვენ კი ვამბობთ: იმისათვის, რომ კულაკი არ იქნეს საშიში ჩვენთვის, ვამბობდით, ვამბობთ და ვიტყვი თ კიდევ, რომ სოფლად საშუალო გლეხის გულის მოსაგებად როგორც კომკავშირმა, ისე პარტიამაც უნდა აწარმოოს მეტად ყურადღებითი, მეტად ბეჯითი მუშაობა. სოფლად კულაკის საწინააღმდეგო საშუალებას წარმოადგენს, პირველ ყოვლისა, ჩვენი მსხვილი სოციალისტური მრეწველობის განვითარება, მაქსიმალური რაოდენობის საქონლის მიღება,

კოლხერატიის საშუალებით ამ საქონლის დაყვანა მომხმარებლამდე და საშუალო გლეხის მოქცევა საკუთარი გაყვანის ქვეშ. აი, ის სამი ვეშაპი, რომლებზედაც უნდა ეყრდნობოდეს ჩვენი პოლიტიკა სოფლად. თუ ამაში ვერ გავერკვიეთ, სოფელს ჩვენ მართლაც დავკარგავთ.

აქ, ამხანაგებო, არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ჩვენ გვქონდა მართლაც ისეთი წაკლოვანება, რომ პარტიაში გვყავდნენ ისეთი ყოჩაღები, რომლებიც საქმეს ისე არხეინად უდგებოდნენ, რომ, ერთი სიტყვით, კულაკიც საერთოდ არ არის კულაკი, რომ საფრთხე, საერთოდ, არსაიდან არ არსებობს და რომ ნებმანი არც ისე შხამიანი აღამიანია, როგორც შეიძლებოდა გვეფიქრა, იქამდე მივიდნენ, რომ თქვეს: კულაკი ჩვენი მოკავშირის მსგავსიაო.

ზოგიერთ ამხანაგს ერჩენება, რომ ყველაფერი რიგზეა, რომ შეიძლება დაწვეს დასაძინებლად, რომ უკვე გვაქვს სოციალიზმი; არიან ისეთი ბრიყვები, — ჩვენ მათ ჩავარტყით ხელებზეც და კბილებშიც, — მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ხალხი, რომელიც ფიქრობდეს, თითქოს ჩვენთან ყველაფერი დასრულებულია, — ასეთი აღამიანები არ არიან. მართალია, ისეთ პირობებში ვცხოვრობთ, რომ ერთგვარი შესვენება გვაქვს, რომ თავზე არ გვაწვიმს, მაგრამ ჩვენ არა ვართ დაჯერებული ფაში, რომ რომელიმე ჩემბერლენს არ შეეძლოს იმპერიალისტური ხიშტის გაყრა თქვენს კომკავშირულ ღვიძლში. მშვენივრად იცით ყველაფერი ეს, და ამიტომ იყო, რომ ასე მხურვალედ უკრავდით ტაშს იმ პატაკებს, რომლებსაც აქ გიკითხავდნენ ჩვენი შეიარაღებული ძალების მდგომარეობის შესახებ. ეს ყველა ჩვენთანგანს მშვენივრად ესმის, ჩვენ ყველას გვესმის, რომ საქმე ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, რომ ფხიზლად უნ-

და ვიყოთ, რომ არავითარი სრული, ასპროცენტრანი სოციალიზმი ჩვენ არა გვაქვს.

ქარხანაში ერთი მუშა შემეკითხა: აბა, მითხარი, კიროვ, თუ მარტო ჩვენ ავაშენებთ სოციალიზმს, რამდენი ხნის შემდეგ იქნება ესო? მე ვუთხარი: ძვირფასო ადამიანო, არ ვიცი, არ ვიცი და ვფიქრობ, რომ არავინ არ იცის და ვერავინ გიპასუხებს მაგ შეკითხვაზე. ჩვენ გზაჯვარედინზე ვიმყოფებით. რამდენი მანძილია განვლილი? რვა წელი. რა მანძილია აქედან იმ ნაპირამდე? ვერ გეტყვი, მაგრამ რომ ჩვენ მივცურდებით იმ ნაპირებამდე — ამაში არავითარი ეჭვი არ არის-თქო. (ტ ა შ ი).

მაგრამ ჩვენ მივცურდებით ერთი აუცილებელი პირობით: თუ ჩვენ დავიცავთ იმ ლენინურ კურსს (მეზღვაურის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ), რომელიც ჩვენ ავიღეთ: მას უნდა ვიჭერდეთ ისე, რომ არ გაგვივარდეს ხელიდან კომპასი, რომელიც უდიდესმა მასწავლებელმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა დაგვიტოვა (ტ ა შ ი).

საქმე კი ასეა: ჩვენ მივცურავთ არა ისეთ ზედაპირზე, რომელიც სარკეს წარმოადგენს, რბილ სავარძელში კი არ ვზივართ გემბანზე, სადაც ოდნავი სიო გვიქრის, სადაც ოდნავ გვარხევს, სადაც გული არავის ერევა, არამედ მივცურავთ ისე, რომ ყოველ ნაბიჯზე იმგვარ ხიფათში ვვარდებით, რომ ერთი მხრიდან მეორეზე ვეხეთქებით. ზოგჯერ გემსართავი იწყებს ტკაცანს, ჩვენს გემს ხან აქ, ხან იქ აწვება ყინულები და უფრო მაგრად, ვიდრე ფინეთის სრუტეში. ერთი სიტყვით, მთელ რიგ დავიდარაბას განვიცდით. ასეთ შემთხვევაში ზოგიერთი იბნევა და ამბობს: შეხედეთ, როგორ გვაქანებს, ქარმა შეიძლება გადაგვაგდოსო და სხვ. მაგრამ, ამზანაგებო, სწორედ აქ არის საჭირო უფრო მძლავრად და უფრო მეტად გავუმკლავდეთ ზღვის ავადმყოფობას, არ მივეცეთ შიშს,

არ ჩავვარდეთ სასოწარკვეთილებაში. სწორედ აქ არის საჭირო სულიერი სიმტკიცე. ხელიდან ნუ გააგდებთ კომპასს, ეცადეთ გაერკვეთ ამ დავიდარაბის მიზეზებში. თუ რაიმე არ გამოგვდის, აქ საჭიროა არა მთელი ჩვენი ხაზის გადასინჯვა, არამედ შემოწმება იმ მუშაობისა, რომელიც უკვე ჩატარებულია. ესევე შემოწმება ადასტურებს, რომ, მიუხედავად ყოველგვარი ნაკლოვანებისა, ჩვენთან საერთოდ და მთლიანად მაინც მრავლდებიან სოციალისტური ელემენტები, კაპიტალისტური ელემენტები კი უფრო ნელა ვითარდებიან, ასე რომ აღებული კურსი შემდგომაც უნდა გავაგრძელოთ იმავე მიმართულებით, ჩვენთვის საჭიროა საკომანდო სიმალლეები გავამაგროთ, რაც შეეფარდება ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებებს, საჭიროა უკანასკნელი კაბიკი შეეაგროვოთ იმისათვის, რომ გავამაგროთ და გავამრავლოთ ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობა.

## პარტია და კომკავშირი

პარტიის გარკვეული გადაწყვეტილებები უკვე გვაქვს ყველა ძირითად საკითხზე, საჭიროა მხოლოდ მათი უნარიანად გატარება ცხოვრებაში. აი, სწორედ აქ წამოიწევა თქვენი როლი. ჩვენთან თითქმის ყოველ ყრილობაზე არ გამოდის დღის წესრიგიდან საკითხი ჩვენი კომკავშირის შესახებ და რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო ახლო და უკეთ მივალთ ამ საკითხთან. თქვენ იცით, თუ რა რაოდენობრივ ძალას წარმოადგენთ, რა სწრაფად იზრდებით. ამიტომაც სრულიად არ არის შემთხვევითი, რომ, მიუხედავად იმ ჩხუბისა, რომელიც ჩვენ მოგვიხდა ყრილობაზე, მიუხედავად იმისა, რომ საკითხების ნაწილი დღის წესრიგიდან მოვხსენით, საკითხი კომკავშირის შე-

სახებ კი დავტოვეთ, ვიმსჯელოთ მასზე, გამოვიტანეთ მთელი რიგი გადაწყვეტილებები, რადგანაც ამ საკითხზე რომ არ შეეჩერებულყავით, შეუძლებელი იყო. თქვენ გესმით, თუ ჩვენთან, პარტიაში, იყო ის, რის შესახებაც მოგახსენებდით, მაშინ — ცოდვა გატეხილი სჯობს — ასი ზროცენტით არც კომკავშირშია მოწესრიგებული საქმე. მე ამას ვამბობ არა ბრალდების წესით. ჩვენ ხომ საერთო საქმე გვაქვს, ჩვენ ღვიძლი ძმები ვართ. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ საკითხს კომკავშირის შესახებ მაგრად უნდა მოკიდოს ხელი ჩვენმა პარტიამ. ჩემის აზრით. ჩვენს პარტიას ასი პროცენტით არ მოუკიდია ხელი კომკავშირის საკითხისათვის, კომკავშირს ამის პრეტენზიები აქვს. პარტიის ბევრ წევრს ჯერ კიდევ არ აქვს საკმაოდ გარკვეული წარმოდგენა იმ როლზე, რომელიც უნდა ითამაშოს და რომელსაც უკვე თამაშობს ჩვენი კომკავშირი.

ჩვენ კარგად გვესმის ყველას — მოხუცსაც და საშუალო ასაკისასაც, რომ კომკავშირი წარმოადგენს ჩვენს ცვლას, რომ კომკავშირი წყვეტს ჩვენი მომავლის საკითხს. ჩვენ ყველამ ვიცით ეს, მაგრამ საქმე ხშირად არ სცილდება ამას. როდესაც გადავდივართ პარტიის როლზე კომკავშირში, აქ ისე გამოგვდის (მე აქ უკვე მთელი პირდაპირობით მოვინანიებ), რომ კომკავშირისათვის ჩვენ დრო როგორღაც არ გვყოფნის ხანდახან. აი, მაგალითად, თუმცა ვემზადებოდით თქვენი ყრილობისათვის, მაგრამ ისე გამოდიოდა, რომ თქვენი ყველა საკითხი ბოლოსთვის გადაიდებოდა, ხანდახან კი სრულიად ველარ ვასწრებდით მასზე ლაპარაკს. ჩვენი ყოველდღიური მუშაობა მოწმობს იმას, რომ ჩვენ ნამდვილად, მჭიდროდ ჯერ კიდევ ვერ დაეუახლოვდით კომკავშირს, რომ წარემართოთ ბოლშევიკური, ლენინური ისეთი სადავეებით, რომლებითაც იგი უნდა წავიდეს. კომუნისტური ახალ-

გაზრდობის მოძრაობის ყოველ ნაკადზე ჩვენთან ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი, ქეშმარტი ხელმძღვანელობა.

მართალია, ერთგვარი ძვრა, ამ მხრივ, გვაქვს, მაგრამ მაინც ჩვენი პარტიის შემდგომი ამოცანა უნდა იყოს, — რაც არ უნდა იყოს, ყოველმხრივ გაძლიერდეს. პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირზე.

ვფიქრობ, რომ ყოველი თქვენგანი ამას ახლაც საკმაოდ გრძნობს. რა თქმა უნდა, თქვენ უნარიანი ხალხი ხართ, ჩვენი ღირსეული შვილები (ჩვენც ხომ უნარიანი ხალხი ვართ, სულელებად არ გვიგრძენია თავი), მაგრამ ჩვენ მაინც ვამჩნევთ, რომ ხანდახან კომკავშირი ითვისებს არა მარტო იმას, რაც უნდა შეითვისოს, არამედ იმასაც, რის შეთვისებისაგან ცოტაოდენ თავის შეკავება ერჩივნა. მე მინდა ვთქვა, რომ უარყოფით მხარეებს, რომელთაც ადგილი აქვს პარტიაში, კომკავშირი ერთი ხელის დაკვრით ითვისებს.

მე ვფიქრობ, რომ პარტიამ და კომკავშირმა, გარდა ყველა ამისა, მთლიანად და სავსებით უნდა გაითვალისწინოს ამ დისკუსიის გაკვეთილები.

თქვენ უკეთ იცით, თუ ყოველ ბრძოლაში კომკავშირს როგორ უნდა ეჭიროს თავი საჩოთირო პოლიტიკური საკითხების მხრივ. ზოგიერთნი ერწმუნებიან „ნეიტრალობას“, მაგრამ თქვენ იცით, თუ რა ძვირად ღირს ეს. ზოგიერთნი უკიდურესობაში ვარდებიან, რომ კომკავშირი და პარტია ამ საკითხებში — ერთი და იგივეა. ჩვენ და თქვენ არა მარტო ბიძაშვილები ვართ, არამედ მხარდამხარ ვდგავართ: აი ეს — თქვენი საფეხურია, ეს კი ჩვენი, ამისათვის კეთილ ინებეთ და მოგვახსენეთ, თუ რა ხდება თქვენთან, ჩვენ კი „წაგებმარებითო“. როდესაც ჩვენთან სადმე რაიმე იმართება ოპოზიციის შესახებ, მაშინ ჩვენ რაც კი საჭიროა ყველაფერს მოვიხმართ, სა-

დაც გნებავთ ვიშოვით მომხრეებს, მათ რიცხვში კომკავშირშიდაც. ამიტომაც ორჯერ განმეორდა ჩვენთან კომკავშირის ჩარევა ოპოზიციურ ჩხუბში.

თქვენ გახსოვთ, თუ რა მოუვიდა ტროცკის. იგი ერთბაშად გახდა კომკავშირის „თაყვანისმცემელი“. რის შემდეგ? ყოველთვის ჩვეულებრივი ადამიანი იყო, კომკავშირის ის უბრძანებდა, როგორც ყველას, ხოლო როცა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა პარტიის შიგნით, როდესაც ოპოზიციაში აღმოჩნდა, მაშინ, გახსოვთ, თქვენი მისამართით ამბობდა, რომ თქვენ პარტიის ბარომეტრიცა ხართ, ოქროც და ალმასიც, ჩვენ ვერაფერსაც ვერ ვხედავთ და არც გვესმის, კომკავშირი კი ერთბაშად ხედავს ყველაფერს. ამას ეწოდება „პარტიული ხელმძღვანელობა?“ არ არის სწორი, ამხანაგებო! მაგრამ როდესაც კომკავშირელები მომმართავენ და მეკითხებიან, როგორ არის საქმე პარტიაშიო და მე კი ვუპასუხო: შენ ჯერ რძე არ შეგშრობია ტუჩებზე, გაიზრდები, მაშინ გაიგებო, — რა თქმა უნდა, არც ამგვარი დამოკიდებულება ვარგა. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გადავლახოთ შეცდომები, როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებით. ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა ვაწარმოოთ არა მარტო პარტიის შიგნით, არამედ, პირველ ყოვლისა კომკავშირში, რათა კომკავშირი ნამდვილად მტკიცედ გაერკვეს, თუ რა არის პარტიული ხელმძღვანელობა, რა არის საჭირო, რის მოთხოვნა შეიძლება, რა უნდა მოეთხოვოს პარტიას და რის მოთხოვნა არ შეიძლება.

შემდეგი საკითხი, რომელიც თქვენს წინაშე დგას, ეს არის საკითხი კომკავშირული დისციპლინის შესახებ. ამ შემთხვევაში, მიუხედავად დღევანდელი ჩვენი დღესასწაულისა, მაინც უნდა ითქვას, რომ აქ ბევრი რამ არის სასურველი. და არა მარტო აქ, ლენინგრადში, არამედ

მთელს კომკავშირში. დისციპლინის დავიწყება არ შეიძლება, რადგან უდისციპლინოდ, დისციპლინის უბრალო შერყევითაც, განსაკუთრებით ახალგაზრდობას შორის, მეტისმეტი უმსგავსობა იკიდებს ფეხს. როდესაც აქ მოსვლისას დერეფანი გამოვიარე, ბევრი კარგი ლოზუნგი დავინახე—როგორ უნდა შეისწავლო ლენინიზმი, როგორ უნდა გააკეთო ეს, ის, და აი, მე ვფიქრობ, რომ თუ ჩვენ არ გვექნება გარკვეული მინიმუმი ამგვარი თანაბრული, არამყვირალა, ნამდვილი, მოფიქრებული პატარა დისციპლინისა, არავითარი მნიშვნელობა არ ექნება ყველა ამ ლოზუნგს. ეს სრულიად ექვს გარეშეა. თუ ადამიანს არ გააჩნია დისციპლინის ერთგვარი მინიმუმი, მაშინ არც სურვილი აქვს დაწვრილებით, ღრმად გაერკვეს ჩვენს შინაპარტიულ და სხვაგვარ საკითხებში, აწარმოოს ბეჯითი ყოველდღიური მუშაობა, შემდეგ კი უდისციპლინობის საფუძველზე გამოიმუშავდება ის, რის შესახებაც საჭიროა განსაკუთრებით ვილაპარაკოთ, — ეს არის თავაშეებულობა. მოგიყვანთ მაგალითს. როდესაც ჩვენ აქ დისკუსიას ვაწარმოებდით, აქ იყო ამხ. პეტროვსკი და მე დავესწარი ასეთ ლაპარაკს: ერთერთი სადისკუსიო კრების შემდეგ მასთან მივიდა კომკავშირელი (ოპოზიციონერებიდან) და უთხრა: „ამხანაგო პეტროვსკი, მე განვმარტავდი ამ ამბავს, თქვენ სცდებით, მე განვმარტავდი, თქვენ როგორ აურიეთ ყველაფერი, მაგრამ, საუბედუროდ, არ მცალია, უნდა წავიდე“. გაბრუნდა და წავიდა (ს ი ც ი ლ ი).

აი, ამხანაგებო, ეს შეიძლება წვრილმანია, მაგრამ თქვენ ხომ ჩემზე ნაკლებად არ ამჩნევთ ამას და უნდა გამოტყდეთ, რომ ეს წვრილმანი მეტად დამახასიათებელია. ჩვენ ვხედავდით, თუ რა ხდებოდა დისკუსიის დროს. ქარხანაში ჩამოსხდებიან ნივნივებზე ახალგაზრ-

დები, პირში პაპიროსი აქვთ და ისმენენ. სანამ პირს გააღებდე, მათ უნდა იცოდნენ: ცენტრალური კომიტეტის მხარეზე ხარ, თუ ლენინგრადის ორგანიზაციის მხარეზე. იქ, ნიენივებზე, „ლენინგრადის ორგანიზაციის მხარეზე არიან“. როგორც კი დაიწყეს მოხსენება მოლოტოვმა, ვოროშილოვმა, იმ წამსვე: „მოითმინეთ! კმარა! გაგვიგონია!“ ისინი ყურს არ უგდებდნენ — და ყველაფერი კი გაუგონიათ, ახსნა აღარ სჭირდებათ! აქ ჩვენ ტყავში ვძვრებით, ყრილობაზე მთელი კვირის განმავლობაში ვღეჭავთ, მისთვის კი იქ, ნიენივებზე, ყველაფერი ნათელია, ყველაფერი ცნობილია — შენ შეურაცხყოფ ლენინგრადის ორგანიზაციას. ეს თავაშვებულობა არ შევლის საქმეს, არ ეხმარება პარტიას, არ ეხმარება კომკავშირის აღზრდას, არ ეხმარება შეთვისებას ლენინიზმისას, რომელიც თქვენ უნდა შეითვისოთ, რაც არ უნდა მოხდეს.

მისი შეთვისება კი ისე როდი უნდა, როგორც ერთმა ამხანაგმა მომწერა წერილში: შენ ტყუილად განგაშობ, რომ ჩვენ არასაკმაოდ ვიციტ ლენინიზმი, ჩვენ ვლრლნით ლენინიზმს და ვლრლნით მანამდე, სანამ კბილებს არ დავიმტვრევთო. მე ვიტყვოდი: ლენინიზმს რომ ღრლნით, ეს კარგია, მაგრამ თუ კბილები დაიმტვრიეთ — ეს არ ვარგა. საჭიროა ისე გაღრლნა იგი, რომ კბილები არ დაიმტვრიო, ხოლო იმისათვის, რომ არ დაიმტვრიო, საჭიროა სწორად ისწავლო ის, რასაც ვლადიმერ ილიჩი ლაპარაკობდა. ისე კი არ უნდა იმეცადინო, როგორც ჩვენ გამოგვდის, — ამას საყვედურის სახით კი არ ვამბობ, — უნდა აღმოაჩინო შენი შეცდომები და თავი დააღწიო მათ.

გაღრმავებული ლენინური სწავლისათვის  
კომკავშირში

ჩვენთან ყოველ ნაბიჯზე ასე გამოდის — ეს პარტია-შიც არის: მიიღე პარტიული ესათუის წიგნაკი, ჩაიღე ჯიბეში და ამით გათავდა. დასამალი არა არის რა, ჩვენთან, პარტიაში, არიან ისეთი ამხანაგები, რომლებმაც პარტიის არც წესდება იციან და არც პროგრამა. მერე, როგორ უჭირავს თავი? მან ყველაფერი იცის! პარტიული წიგნაკი ჯიბეშია, აქ რაღა არის სალაპარაკო?! ხელი მოჰკიდოს რაიმეს, გაზეთში წაიკითხოს წერილი მეურნეობაზე, ამათუიმ საკითხებზე — ამას იგი უპარტიოებს ურჩევს: შენ უნდა ისწავლო, ჩამორჩენილი ხარ, ჩვენ მიგვყავხარ, მე კი პარტიის წევრი ვარ, ყველაფერი ვიცი, უჯრედში დავდივარ, ხმას ვაძლევ, ვირჩევო. თქვენთანაც ასეა: მე ახლა კომკავშირელი ვარ, ყველაფერი გამზადებული მაქვს თავშიო. წიგნი რომ წაიკითხოს, — მე არ ვლაპარაკობ პარტიულ ლიტერატურაზე, — მეცნიერებას მაინც მოჰკიდოს ცოტაოდნავ ხელი, გაიგოს, რა არის საჭირო სოფლის კომუნისტისათვის, ცოტაოდენი — აგრონომიაში, ხოლო ქარხანაში მომუშავეისათვის — ტექნიკაზე, გეომეტრიაზე ცოტაოდენი წარმოდგენა იქონიოს — ეს მოსაწყენი მუსიკაა, რა ეშმაკად მჭირდება ესაო. აქაოდა ჩვენ მოზრდილები ვართო. მივუთითოთ ქარხკომს, ვიხმაუროთ, ალიაქოთი ავტეხოთ — ეს შეგვიძლია, ამას ერთი ხელისდაკვრით გავაკეთებთო.

ილიჩი კი რას გასწავლიდათ კერძოდ თქვენ, კომკავშირს? იგი ამბობდა: თუ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ჩაიკეტეთ მარტო კომუნისტურ ლიტერატურაში, აქედან საქმე არ გამოვა, ეს ცოტაა, თქვენ ტყავითა და ძვლებით უნდა შეძვრეთ შრომის არმიაში, რომელშიაც თქვენ

მუშაობთ, უნდა ეზიაროთ იმ ჯამს საერთო ცოდნისას, რომელიც ბურჟუაზიისაგან გვერგო, ეს ცოდნა შენებურად უნდა გადახარშო, გადაამუშაო. პირველ ყოვლისა ეს არის თქვენი ამოცანა.

თუ ჩვენთან, პარტიაში, სუსტადა ვართ ჩვენი ცოდნით და უნარის მრავალფეროვნების მხრივ, თქვენ, რომლებმაც ჩვენ უნდა შეგვეცვალოთ, უნდა შეიძინოთ ეს ცოდნა. ამას ვერსად წაუხვალ, ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაეჭკევი. აი ის ამოცანა, რომელიც მიჰყვება და თანსდევს დისციპლინის განმტკიცების ამოცანას — ეს არის სწავლის მრავალმხრივობა, ამოცანა ნამდვილი კომკავშირელის აღზრდისა, საკადრო კომკავშირელისა, რომელიც ნამდვილ სამსახურს გაუწევს პარტიისა და კომკავშირის განუყრელ კავშირის საქმეს, — ეს არის ჩვენი ყველაზე არსებითი ამოცანა.

დაბოლოს, რაზედაც კიდევ მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება, თუმცა ისედაც გამიგრძელდა მოხსენება, — ეს იმ საქმეზე, რომელიც თქვენ ჩაგაბარეთ მთლიანად და სრულიად: მე ვლაპარაკობ ჩვენს პიონერებზე. ჩვენთან პიონერები უფრო სწრაფად მრავლდებიან, მგონი, ვიდრე ადამიანები იბადებიან. (ს ი ც ი ლ ი).

წინა ყრილობისათვის ჩვენ 200 ათასი პიონერი გვეყავდა, ახლა მილიონნახევარია, მაგრამ ეს იყო ორი თვის წინათ, ახლა, ალბათ, მეტნი არიან. ისინი მალე იზრდებიან, მაგრამ არ ვიცი, როგორ იზრდებიან და სინამდვილეში როგორ გამოდის ყველაფერი ეს. აქ — ვილაპარაკოთ გულახდილად — სატრაბახოც არა არის რა. გარედან კარგად არის დაყენებულ საქმე. ყველას აქვს ყელსახვევი (თუმცა ხშირად ფეხშიშველები არიან), მათ ყველაფერი რიგზე აქვთ, დადიან პატარა ალმებით, სამხედრო სალაშს იძლევიან, თუ რაღაც ჰქვია, ერთი სიტყვით,

„იყავ მზად“, „მუდამ მზად ვარ“. მაგრამ აი, თუ რისთვის არის მზად, ამაზე კი საჭიროა დავფიქრდეთ. რისთვის არის მზად? აქ საქმეს საფუძვლიანად სჭირდება გაუმჯობესება. მე ვფიქრობ, თუ პარტიასა და კომკავშირს შორის შორის არ არის სრული, ნამდვილი, ორგანული კავშირი, სრული ასი პროცენტი იმ კავშირისა, რომელიც საჭიროა; არც კომკავშირსა და პიონერებს შორის არის ასი პროცენტით ამგვარი კავშირი. ეს, რა თქმა უნდა, თქვენ უკეთ იცით, მაგრამ საერთო გამორკვევის დროს კი ვნახეთ, რომ ხაქმე სწორედ ამგვარად არის.

თუგინდ ოდნავი შეუთანხმებლობაც რომ იქნეს პარტიასა და კომკავშირს შორის, ერთი მხრივ, და კომკავშირსა და პიონერებს შორის, მეორე მხრივ, მაშინ ხომ დავკარგავთ ყოველგვარ მონაცვლეობას, ურომლისობაც ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია. და მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი, პარტიაშიც და კომკავშირშიც არასაკმაოდაა მოფიქრებული, არასაკმაოდაა გამორკვეული, არასაკმაოდაა შესწავლილი და, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, საჭიროა ახლა დავაყენოთ იგი პრაქტიკულ რელსებზე.

## მოგაფხოთ კომკავშირისათვის ნამდვილი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის გაფხვა

ჩვენთან, პარტიაში, კომკავშირთან ჩვენს დამოკიდებულებაში ზოგჯერ წმინდა ინტელიგენტურად ვმსჯელობთ კომკავშირის უარყოფითი და დადებითი მხარეების შესახებ და, ჩვეულებრივ, არის მისწრაფება მიეჩქმალათ ხან ეს, ხან ის. ეს არაბოლშევიკური დამოკიდებულებაა საქმისადმი. კომკავშირს უნდა შევხედოთ ისე, როგორიც ის არის. ამგვარადვე ვექცევით საკუთარ

პარტიასაც. ჩვენ ვიცით ჩვენი ფასი ყოველგვარ ბაზარზე, თავს ძალიან ძვირად ვაფასებთ და ვლაპარაკობთ: აგვიღეთ ისეთი, როგორიცა ვართ, წითლები, გინდ გიყვარდეთ, გინდ არა — ეს თქვენი საქმეა-თქო. ასევე უნდა ავიღოთ კომკავშირიც იმ სახით, როგორიც ის არის, როგორიცაა ის სინამდვილეში; კარგია თუ არა, წითელლოყაა თუ არა — ეს გემოვნების საქმეა, მაგრამ იგი ლენინური რევოლუციური კომკავშირია (ტ ა შ ი), მუშათა კლასის სისხლი და ხორცი. ვინ ზრდის მას? მას ზრდის ჩვენი პარტია. აღზრდის სხვა საშუალება არ არსებობს. ეს წყვეტს საკითხს, ამიტომ ჩვენც და თქვენც საჭიროა შემდგომ ამგვარი პოზიცია დავიჭიროთ: საგნებს პირდაპირ შევხედოთ. თუ რაიმე დარიგება უნდა, — გამოვააშკარაოთ, მაგრამ არა იმისათვის, რომ მარილი წავაყაროთ და უფრო გავაძნელოთ, არამედ, — რომ განეკუთროთ. ყოველ ნაბიჯზე მთელი რიგი უმსგავსოებებია, ბევრი რამ ისეთია, რაც კომკავშირელმა არ იცის, მაგრამ საჭიროა იცოდეს, არის, აგრეთვე, ბევრი რამ ისეთი, რის შესახებაც მან უკვე იცის, მაგრამ ძალზე ნაადრევად გაიგო. ამასთან ბრძოლაა საჭირო. ჩემის აზრით, თუ ყოველ ჩვენ საქმეს ბოლშევიკურად შევხედავთ, მაშინ, უდაოა, ამ საქმეს გამოვასწორებთ. გამოვაკეთებთ, ამ საქმეს კი გამოვსწორება ესაჭიროება.

ყოველი საკითხი, რომელმაც ჩვენი ყრილობის წინაშე გაიარა, რომლის გამოც სწორად და დღეინილებებია გამოტანილი, ჩვენს მიერ შეთვისებულ უნდა იქნას. არც ერთი წუთითაც არ უნდა დაიმშვიდო თავი მით, რომ ყველაფერი იცი, რომ ყველაფერში ერკვევი. ყველაფერი გაიგე, — არა, საჭიროა ყოველი შემთხვევის დროს პრაქტიკულად და თეორიულად შეამოწმო საქმე, შეხედო, თუ რა გამოდის პრაქტიკაში. თუ ამ წესს და-

ვიცავთ, მაშინ შესაძლებელი იქნება სრულიად სწორი, ლენინური გადაწყვეტილება მივცეთ ძირითად საქირბოროტო საკითხებს, რომლებიც დგანან არა მხოლოდ ჩვენი პარტიის მილიონების წინაშე, კომკავშირელთა მილიონების წინაშე, რომლებიც დგანან არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ასოცდაათმილიონიანი ხალხების წინაშე, არამედ ყველა მშრომელისა და ჩაგრულთა უზარმაზარი მილიონების წინაშე, მშრომელთა და ჩაგრულთა, რომლებიც ასეთი სიყვარულითა და იმედით შესცქერაინ ჩვენს პარტიას.

ტყუილად ფიქრობს ზოგიერთი, რომ ახლა კომუნისტური პარტია ჰკარგავს იმ სიმადლებებს, რომლებიც მას ეჭირა ევროპისა და აზიის მოძრაობაში. ეს არ არის სწორი, ამხანაგებო. თუ ამჟამად იქ არ არის ნამდვილად მაღალი, ბობოქარი, კაპიტალისტური წყობილების დანგრევის უნარის მქონე ტალღები, ეს ტალღები მაინც მალ-მალდებიან, ეს ტალღები მაინც ყოველ ქვეყანაში შუთთავენ და მთელი ბრძოლის შემდგომი ბედი უმთავრესად ჩვენზე და თქვენზეა დამოკიდებული.

დასასრულ, ამხანაგებო, ვიტყვი ერთს: მე უკვე ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ ბევრი დაბრკოლება გვაქვს წინ. არაერთხელ ვიქნებით იძულებული კიდევ შევჩერდეთ მეტად მძიმე საკითხების წინაშე, შევჩერდეთ მრავალი მიზეზის გამო, უმთავრესად კი იმის გამო, რომ ჩვენს შორის, ამხანაგებო, აღარ არის ის, ვინც ჩვენი პარტიისა და ჩვენი სახელმწიფოს ნამდვილ და ერთადერთ ფუძემდებელს წარმოადგენს — ჩვენ ათასგვარი დაბრკოლებით გარშემორტყმულნი ვმუშაობთ ულენინოდ. ჩვენ შეგვიძლია შევასრულოთ და სწორად გადავჭრათ ჩვენი შემდგომი ამოცანები, თუმცა მრავალრიცხოვანი მტრის მოგერიება გვიხდება; ჩვენ

შევძლებთ ამის გაკეთებას ერთი მთავარი და აუცილებელი პირობით: ჩვენი პარტიის ლენინური ურყევი ერთიანობით! (ტ ა შ ი).

აი, ამხანაგებო, რატომ გამოიწვია ამგვარი აღზნება ჩვენმა უკანსკნელმა დისკუსიამ. თქვენ იცით, რომ ჩვენ განხეთქილებით გვემუქრებოდნენ. გვირჩევდნენ პარტიის მმართველობის იმგვარად მოწყობას, რომ პარტიის ხელმძღვანელ მწვერვალს შეესისხლხორცებიანა ყველა ყოფილი დაჯგუფება, ჯგუფები, მიმდინარეობები და სხვ. წინადადებას გვაძლევდნენ ჩვენი პარტია აგვეგო ისე, როგორი წინადადების მოცემასაც ერთ დროს ტროცკი ლამობდა: ერთიანი, რკინისებური, ერთი ნებისყოფის მქონე პარტიის ნაცვლად შეგვექმნა პარტია რაღაც ფედერატიულ საფუძველზე, რომლის ხელმძღვანელობაც დაყრდნობილი იქნებოდა ცალკეულ მიმდინარეობებზე, აზრზე და სხვ. ეს არაბოლშევიკური, არალენინური პრინციპებია! (ტ ა შ ი). თუ ჩვენ გვსურს, გვსურს თმებშევერცხლილი ძველი ბოლშევიკებისა და ახალგაზრდა კომუნარების მთელი აღზნებით, ახალგაზრდა კომუნარების, რომლებიც აქ სხედან, რომლებიც მოდიან ამ მოხუცებულთა შესანაცვლებლად, გვექონდეს მსოფლიო რევოლუციის მართლაც ნამდვილი დასაყრდენი, ერთადერთი პარტია, რომლის გარშემოც გაერთიანდებოდნენ კომუნისტური ინტერნაციონალის მრავალრიცხოვანი პარტიები, ამისათვის არავითარი საშუალება, არავითარი ძალა არ უნდა დავზოგოთ, ამისათვის საჭიროა აღვკვეთოთ ყოველგვარი ცდა ჩვენი ერთიანობის დარღვევისა, ამისათვის საჭიროა წინასწარვე აღმოვფხვრათ ოდნავი ჭიამღრღნელიც კი, რომელმაც თავი იჩინა ჩვენს პარტიაში, ჩვენს კომკავშირში. რაგინდ არ გაგვიძნელდეს, რა გინდ არ გვეტკინოს გული ზოგჯერ,

მაინც საჭიროა ეს გავაკეთოთ, ამხანაგებო, რადგან უამისოდ ნახევრადაც ვერ განვახორციელებთ იმ დიდ ამოცანებს, რომელთა გადაჭრისათვისაც ისტორიამ მოგვიწოდა. და რარიგ მტკივნეულად არ ჩაიარა ჩვენმა დისკუსიამ ახლა, ორი თვის განვლის შემდეგ ჩვენ მაინც ვლაპარაკობთ, რომ ჩვენ ამ შემთხვევაშიც აღმოგვაჩნდა საკმაო ვაჟკაცობა, საკმაო სიმტკიცე და სიმშვიდე იმისათვის, რომ ვუთხრათ მეგობრებსაც და მტრებსაც, რომ ჩვენ იგივე ლენინელები ვართ, რომლებიც მტკიცედ და უძლევლად ვადგივართ ერთხელვე არჩეულ გზას (ტ ა შ ი).

ს. მ. კიროვის „წერილები, სიტყვები და დოკუმენტები“, III ტომი, გვ. 123 — 138 საკ. კ. პ. (ბ) პარტგამომცემლობა, 1936 წ.

# კომკავშირი — ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის აქტიური მონაწილე

მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შედეგების შესახებ საქ. ალკკ ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის გაფართოებულ პლენუმზე 1926 წ. მაისს \*

## ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ

ამხანაგებო, მე ვფიქრობ, რომ ბევრი რამ, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმზე, თქვენთვის საკმაოდაა ცნობილი, ამისათვის, ჩემის ფიქრით, ჩვენ მოგვიხდება შეჩერება მხოლოდ ყველაზე ძირითად, დამახასიათებელ საკითხებზე, რომლებიც ახლა იპყრობს მთელი ჩვენი პარტიის, მთელი მუშათა კლასის, ვფიქრობ, ყველა მათ ყურადღებას, ვინც მართლა სერიოზულად მუშაობს სოციალისტური წყობილების შექმნაზე ჩვენს ქვეყანაში.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ უკანასკნელი ჩვენი პლენუმი, შინაარსის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ხასიათს ატარებდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი პარტიის მუშაობაში მას არანაკლები მნიშვნელობა ექნება, ვიდრე რომელსაც გნებავთ მორიგ პარტიულ კონფერენციას.

\* იბეჭდება შემოკლებული სტენოგრაფიით — რ ე დ.

არსებითად იგი ასედაც იყო: ძირითადი საკითხი — ჩვენი მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, რომელიც უკანასკნელ პლენუმზე იდგა, მორიგ პარტიულ კონფერენციაზე იყო გათვალისწინებული განსახილველად, მაგრამ ვინაიდან საკითხები ჩვენი სამეურნეო მშენებლობის შესახებ პირდაპირ თავს ჰყოფენ ჩვენი ყოველდღიური მუშაობის ყოველ ხვრელში, იძულებული გავხდით ეს საკითხი მთელი მისი სისრულით დაგვეყენებინა უკანასკნელ პლენუმზე.

თქვენ, ამხანაგებო, უთუოდ დამეთანხმებით იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა ამჟამად ისეთ ისტორიულ ხანას განიცდის, რომელშიაც სამეურნეო საკითხების გადაჭრა უნდა ითვლებოდეს ყველაზე ძირითად, ყველაზე უმთავრესად და, რა თქმა უნდა, ამხანაგებს სრული სერიოზულობით აქვთ შეგნებული ის აზრი, რომ მთელი ჩვენი შემდგომი სოციალისტური მშენებლობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად განვითარდება ჩვენი სახალხო მეურნეობა.

მე არ დავფარავ, რომ ჩვენს პარტიაში, და განსაკუთრებით კი ჩვენი პარტიის გარეშე, ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში დიდი ყურადღებით წარმოებს კამათი იმ საკითხის შესახებ, რომ ჩვენი მეურნეობა ამჟამად შევიდა განსაკუთრებით მძიმე სიძნელეთა ზოლში. ეს აზრი, ამხანაგებო, მთლიანად და სრულიად სწორეა. მთელი საკითხი მდგომარეობს მხოლოდ იმაში, თუ რა სიღრმესა და რა შინაარსს შეიცავენ ეს სიძნელეები: არიან თუ არა ისინი ისეთი ღრმა და სერიოზული, რომ მუქარა წამოიჭრება — გადალახავს თუ არა პარტია ამ სიძნელეებს, თუ ეს სიძნელენი იმგვარი ხასიათისაა, როგორც ყოფილი სიძნელენი, რომლებიც ჩვენ პარტიის

ძალღონით თქვენთან ერთად ასე თუ ისე წარმატებით გადავჭერიით.

იმისათვის, რომ ახლო მივიდეთ ამ საკითხთან, საჭიროა ერთგვარი გადახვევა, ერთგვარი უკანდახვევა ამ საკითხის მოკლე ისტორიისაკენ.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ შედარებით ცოტა ხანია, რაც ჩვენი მეურნეობის მშენებლობას გულდასმით შევეუდექით. მხოლოდ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მოგვეცა საშუალება მთელი ჩვენი ძალა მაჭიმიუმ. თითქმის ასი პროცენტით, ჩვენი მუშაობისა ამ მხარისკენ მიგვემართა. შეიძლება ითქვას, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის მომენტიდან, ასე თუ ისე, წარმატება და შესაძინევი წინსვლა დაგვეტყო. თქვენ ახალგაზრდა მენსიერება გაქვთ და კარგად უნდა გახსოვდეთ, თუ რა უნდობლობით, მე ვიტყოდი, სკეპტიკურად უდგებოდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხს ჩვენი პარტიის ერთი ნაწილი. იმ დროს ბევრ ჩვენგანს ეგონა, მუხედავად იმისა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა გამოცხადებული იყო ჩვენი პარტიის ბელადის ამხანაგი ლენინის მიერ, ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამოყენებით სოციალისტური მშენებლობის საქმეში მაინც უკან მივდივართ და არა წინო. ამჟამად ჩვენ უკვე ახალი ეკონომიური პოლიტიკის მთელი რიგი წლების პრაქტიკა გვაქვს, რაც საშუალებას გვაძლევს საკმაოდ ზუსტად, ციფრებით ხელში შევაჯამოთ წარმატებები ამ დარგში.

მე არ მინდა ჩემი ცნობა დაეტვირთო ციფრების გრძელი მწკრივით, მოვიყვან ყველაზე უფრო ძირითად, ყველაზე უფრო ზოგად ციფრებს. მე ვფიქრობ, აუცილებელია მათი დამახსოვრება. ეს ციფრები შემდეგია. ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარების წინ ჩვენი

მრეწველობა ომის წინადროინდელი დონის 18 — 20 პროცენტს აღწევდა. როგორც ხედავთ, ჩვენი მრეწველობა ძლივს აღწევდა ერთ მეხუთედს იმ დონისას, რომელზედაც იგი ომამდე იმყოფებოდა.

ჩვენი სოფლის მეურნეობა მაშინ ომის წინადროინდელის 48 პროცენტს, უკეთეს შემთხვევაში 50 პროცენტს აღწევდა. აი, ეს გარემოება, ამხანაგებო, განსაკუთრებულად უნდა დავიმახსოვროთ. რა გავაკეთეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე? ამჟამად, როგორც იცით, ჩვენი მრეწველობა თითქმის ომის წინადროინდელ დონეს აღწევს. ჩვენ ახლა მივალწიეთ 95 პროცენტს იმ დონისას, რომელზედაც მრეწველობა იმყოფებოდა 1913 წელს: ჩვენი სოფლის მეურნეობა ომის წინადროინდელი დონის 91 პროცენტს აღწევს. მით უფრო საინტერესოა ის, რომ რაც უფრო ვცილდებოდით ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებს, მით უფრო სწრაფად ვითარდებოდა ჩვენი მეურნეობა. ასე, მაგალითად, გასულ წელს ჩვენმა მრეწველობამ წინა წელთან შედარებით, მთელი 64 პროცენტით წაიწია წინ.

ჩვენ ვხედავთ, რომ ინდუსტრიაში, მარტო უკანასკნელი წლის განმავლობაში, თითქმის ნახევარი მილიონით გაიზარდა მუშათა რაოდენობა. ეს ციფრი ლაპარაკობს იმას, რომ ჩვენ მართლაც უდიდესი სამუშაო ჩავატარეთ. იმისათვის, რომ გავუთანასწორდეთ ომის წინადროინდელ დროს, ე. ი. 1913 წელს, მრეწველობაში 5 პროცენტი გვიკლია, სოფლის მეურნეობაში კი — 9 პროცენტი. თქვენ ხედავთ, რომ არავითარი საფუძველი არა გვაქვს დავნაღვლიანდეთ, რომ შეგვეძლოს კვლავაც იმ ნაბიჯებით წავიდეთ, როგორითაც დღემდე მივდიოდით,—თქვენ კი ხედავთ, რომ ეს ნაბიჯები ზოგჯერ პროდუქციის ზრდის 65 პროცენტს აღწევდა წინა წელ-

თან შედარებით, — შეიძლება ზიზსაც შევეპყარით, რომ თავბრუდახვევა არ დაგვწყებოდა იმ მიღწევებისაგან, რომლებიც გვქონდა.

იმისათვის, რომ უფრო მკვეთრად ავსახოთ ის, რასაც ჩვენ მივალწიეთ, მე დავეყრდნობი დასავლეთ ევროპის ქვეყნების პრაქტიკას. ჩვენ ყველანი მივეჩვიეთ, აზნანაგებო, იმას, რომ ჩამორჩენილი ქვეყანა ვართ, რომ ჩვენ სად შევედრებით ტექნიკის მხრივ ისე მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, როგორიცაა, ვთქვათ, ინგლისი, საფრანგეთი, იტალიაც კი. გერმანიის შესახებ არ ვილაპარაკებ, რადგან ეს ქვეყანა ამჟამად მეტად სერიოზულ საერთაშორისო გასაჭირშია, მაგრამ შეხედეთ ეგრეთწოდებულ გამარჯვებულ დიდ ქვეყნებს (რომლებიც გამარჯვებულნი გამოვიდნენ ომიდან) — რას მიაღწიეს მათ იმპერიალისტური ომის შემდეგ განვლილ პერიოდში? ირკვევა, რომ ვერც ერთმა ამ ქვეყანამ — ვერც ინგლისმა, ვერც საფრანგეთმა, ვერც იტალიამ, ვერც მით უმეტეს, გერმანიამ, ომისაგან მიყენებული განადგურების შემდეგ დღემდე ვერ შესძლო იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მათ განიცადეს, ე. ი. აქამდე ვერ შესძლეს გათანაბრებოდნენ ომის წინადროინდელ დონეს. ეს პარადოქსად, რაღაც დაუჯერებლად გვეჩვენება. და მართლაც — სამოქალაქო ომი მათ არ განუცდიათ, ისეთი საგარეო და საშინაო სიძნელები, როგორიც ჩვენ განვიცადეთ, მათ არ იციან, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მუშაობდნენ დამყარებულ ბურჟუაზიულ წყობილებაში, ეს ქვეყნები, რომლებსაც თითქოსდა ჰქონდათ ყველა ობიექტური პირობა იმ კრილობების მოსაშუშებლად, რომლებიც ომის დროს მიაღვათ, ისინი დღემდეც კი ვერ არიან იმ სამეურნეო პირობებში, რომლებშიც იყვნენ ომის დაწყების წინ. ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც

ათეული პროცენტებით გადააბიჯა ომის წინადროინდელ დონეს — ამერიკის შეერთებული შტატებია. თქვენ იცით, რომ ამ ქვეყანას ომის დროს იმდენი არ დაუკარგავს, რამდენიც მოიგო. რისთვის მოვიყვანე ეს მაგალითები? იმისათვის, რომ თქვენ ნამდვილად დარწმუნდეთ, თუ, მიუხედავად საგარეო და საშინაო ყველა დაბრკოლებისა, რომელიც ჩვენ განვიცადეთ, რა კოლოსალური წარმატებების მიღწევა შეუძელით ოქტომბრის შემდგომ ჩვენი და თქვენი მუშაობის რვა წლის განმავლობაში.

### მორიგი და გადაწყვეტი ამოცანა მიიღო ინდუსტრიის უმჯნა

როგორ ვითარდებოდა, ამხანაგებო, ჩვენი მეურნეობა? უნდა ვიანგარიშოთ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების მოქმეტიდან ჩვენ განვიცადეთ სამეურნეო განვითარების ორი ხანა.

პირველ მომენტში, როდესაც თავს დაკვამტყდა შიმშილობა და სასურსათო პროდუქტების ნაკლოვანება, მთელი ჩვენი ყურადღება ჩვენი სოფლის მეურნეობისაკენ მივმართეთ. სწორი იყო თუ არა აშკარა პოლიტიკა? იმ დროს ეს სწორი იყო. ყოველ ამხანაგს ესმის, რომ სოციალისტური სახელმწიფოს აგება თუ გვინდა, ეს რომ სხვა ენაზე გადავიტანოთ, უნდა ვთქვათ, რომ პირველ რიგში საჭიროა მაღალგანვითარებული მრეწველობის შექმნა. თუ მაღალგანვითარებული მრეწველობა არ გვექნა, არავითარ სოციალიზმზე ლაპარაკიც არ შეიძლება ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ გამოირკვა, რომ ეს საქმე ჩვენ სოფლის მეურნეობის აღდგენით დავიწყეთ. მიუხედავად იმ დაეჭვებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი პარტიის ზოგიერთ ნაწილში, გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ სრულიად მართებულად ვიქცეოდით: შევუდექით

რა ჩვენი მრეწველობის აღდგენას, საჭირო იყო ამ მრეწველობისათვის შეგვექმნა ბაზა, მუშათა კლასი მოგვემარაგებინა საკმაო სურსათით. მრეწველობისათვის, რომლის განვითარებაც რიგში უნდა ჩავვეყენებინა, აუცილებელი იყო ბაზრის შექმნა, ვინაიდან საგარეო ბაზარი არა გვქონდა. ამის გამო მთელი ყურადღება შევაჩერეთ ჩვენი სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეზე. როგორც ხედავთ, სრულიად მართებულად მოვიქვეყნეთ.

მრეწველობისათვის ავაგეთ რა ბაზა, აღვადგინეთ რა სოფლის მეურნეობა, ჩვენ გადავედით მუშაობის სხვა მხარეზე — ჩვენი სამეურნეო პროგრამის მეორე პუნქტზე — მსუბუქი ინდუსტრიის აღდგენაზე, ე. ი. იმგვარი ინდუსტრიის, რომელიც ამზადებს მოხმარების საგნებს.

ჩვენმა მსუბუქმა ინდუსტრიამ, კერძოდ ლენინგრადში, ზევრ რამეში გადააბიჯა ომის წინადროინდელ დონეს. ამგვარად, ჩვენი შემდგომი ამოცანა იყო ჩვენი მძიმე ინდუსტრიის აღდგენაზე და შემდგომ განვითარებაზე გადასვლა. ეს, ამხანაგებო, სწორედ ის პროგრამაა ჩვენი სამეურნეო მუშაობისა, რომელიც თავის დროზე დაგვისახა ჩვენი პარტიის ბელადმა ლენინმა. ჩვენი აღდგენითი მუშაობის პირველ ხანებშივე ის ლაპარაკობდა:

„რუსეთისათვის საშველს მარტო საგლეხო მეურნეობის კარგი მოსავალი კი არ წარმოადგენს, — ეს კიდევ ცოტაა, — არც კარგი მდგომარეობა მსუბუქი მრეწველობისა, რომელიც მოხმარების საგნებს აწვდის გლეხობას, — ესეც კიდევ ცოტაა, — ჩვენთვის აუცილებელია აგრეთვე მძიმე მრეწველობაც. ხოლო იმისათვის, რომ კარგ მდგომარეობაში მოვიყვანოთ იგი, მრავალი წლების მუშაობა იქნება საჭირო“ \*.

\* ლენინი, თხზ. XVII ტ. გვ. 349, (რუს. გამოცემა) — რ ე დ.

აი ის პროგრამა, რომელიც ორი სიტყვით იყო დაწერილი ლენინის მიერ და რომელიც საერთოდ მთლიანად მოიცავს იმ სამეურნეო მუშაობის მთელ მსვლელობას, რომელიც ჩვენ ჩავატარეთ თქვენთან ერთად. და როდესაც ამ პროგრამას ვუმატებთ იმ მდგომარეობას, რომელიც ამჟამად გვაქვს, გამოდის, რომ ამ პროგრამის პირველი ორი მუხლი საკმაოდ გვაქვს შესრულებული და მივედით ამ პროგრამის მესამე მუხლის განხორციელებამდე, ე. ი. მძიმე ინდუსტრიის შექმნამდე, ჩვენი მრეწველობის იმ დარგის შექმნამდე, რომელმაც ჩვენს ქვეყანას უნდა მისცეს არა მოხმარების საგნები, არამედ, როგორც პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოში გამოთქვამენ, „წარმოების საშუალება და იარაღი“.

და როდესაც თქვენ, ამხანაგებო, შეხედავთ ჩვენი პარტიის XIV ყრილობის დადგენილებებს, დაინახავთ, რომ ყრილობის ამ დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებში ყველაზე ძირითადსა და ყველაზე დამკვერელურს სწორედ ის საკითხი წარმოადგენს, რომელიც ორი სიტყვით ხასიათდება: „ქ ე ე ყ ნ ი ს ი ნ დ უ ს ტ რ ი ა ლ ი ზ ა ც ი ა“ — სწორედ ის საკითხი, რომლის გარშემოც გადინხლართა ყველა უთანხმოება ჩვენს პარტიაში, სწორედ ის საკითხი, რომლის ამგვარად თუ იმგვარად გადაჭრაზე იქნება დამოკიდებული ჩვენი შემდგომი სოციალისტური მშენებლობა.

## დავეწიოთ და გავუსწროთ კაკიტალისტურ ძველებს

რაში მდგომარეობს ჩვენი ძირითადი ამოცანა? ეს ამოცანა მდგომარეობს სოციალისტური საზოგადოების შექმნაში. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი სამრეწველო მეურნეობა უნდა მოვაწყოთ ისე, რომ იგი

ყოველმხრივ აღმატებოდეს თანამედროვე კაპიტალისტურ მეურნეობას. ეს ამოცანა, თუ მას შევადარებთ იმასთან, რაც ამჟამად დასავლეთ ევროპის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში გვაქვს, თითქო სრულიად განუხორციელებლად წარმოგვიდგება. მაგრამ, ამხანაგებო, სრულიად პირდაპირ და საღად უნდა შევხედოთ საგნებს და უნდა ვთქვათ, რომ თუ ვერ შევსძელით ამის განხორციელება, თუ ვერ შევსძელით ჩვენი სამრეწველო მეურნეობის იმ დონეზე დაყენება, რომ ამერიკის მეურნეობა უკან მოვიტოვოთ, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენთან არავითარი სოციალიზმი არ იქნება. ეს ყველამ უნდა გაიგოს. მხოლოდ ჩვენი მრეწველობისა და ჩვენი მეურნეობის მაღალგანვითარებული ტექნიკის საფუძველზე შეიძლება ვილაპარაკოთ ჩვენი სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და ყოველგვარი სხვა ცხოვრების ყოველმხრივ გარდაქმნაზე. ეს უღაო ქეშმარიტებაა.

სათქმელად ეს ძალიან ადვილია, საქმით კი ეს ისეთი ძნელი, ისეთი უზარმაზარი ამოცანაა, რომლის გადალახვაც არაფრით არ არის უფრო ადვილი, პირიქით, გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე გადალახო ის სიძნელები, რომლებიც გვქონდა ჩვენს შეიარაღებულ ფრონტებზე. და ამიტომ, როდესაც თავს ვიმშვიდებთ ფიქრით იმის შესახებ, რომ მშვიდობიან მდგომარეობაში ვართ, რომ ჩვენ მშვიდობიან პირობებში ვმუშაობთ, — ეს სწორიც არის და არც არის სწორი. სწორეა ეს იმ მხრივ, რომ ჩვენ არ ვეწევით აშკარა სამოქალაქო ომს, მაგრამ არ არის სწორი იმიტომ, რომ ჩვენ ყოველდღე, ყოველდამ, ყოველ საათში ვაწარმოებთ ომს ეკონომიურ, სამეურნეო ფრონტზე და ამ ომიდან გამარჯვებულნი უნდა გამოვიდეთ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ე. ი. არა მარტო ნგრევისაგან უნდა დავიხსნათ ჩვენი ქვეყანა, არა

მარტო უზრუნველვეყოთ ქვეყანა ჩვენი მეურნეობის აღ-  
დგენით, არამედ უნდა შევექმნათ ისეთი მეურნეობა, ისე-  
თი მრეწველობა, რომელიც თანამედროვე კაპიტალისტუ-  
რი ქვეყნების ყოველ მეურნეობაზე, ყოველ მრეწველო-  
ბაზე ყოველ მხრივ მაღლა იდგომება. აი, ამხანაგებო,  
როგორი ამოცანა დგას ჩვენს წინაშე. თუ ეს სწორია, —  
მე კი ვფიქრობ, რომ ეს სადაო არ უნდა იყოს, — მაშინ  
სწორი უნდა იყოს მეორეც, სახელდობრ ის, რომ ჩვენ  
ახლა საჭიროა გადავიდეთ იმ ლოზუნგის განხორციელე-  
ბაზე, რომელიც ნაკარნახევია ჩვენი პარტიის უკანსკნელი  
ყრილობისაგან — ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე.  
აქ საჭიროა მთელს ჩვენს მრეწველობას, მთელ ჩვენს მე-  
ურნეობას ნელნელა შევუქმნათ ახალი ტექნიკური ბაზა.  
— აი, ამხანაგებო, როგორ დგას საკითხი. სოციალისტური  
საწყისების მოპოვების ხარისხი პირდაპირ და უშუალოდ  
იქნება დამოკიდებული ამ ძირითადი ამოცანის შესრუ-  
ლებაზე — ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე. მე  
ვფიქრობ, რომ ეს აზრი უდაოა. ლენინის ყოველ საუბარ-  
ში, მითითებებსა და დაბეჭდილ ნაშრომებში ეს წითელ  
ზოლადაა გავლებული. მე ვფიქრობ, რომ პარტიის ყო-  
ველი წევრისათვის და ყოველი კომკავშირელისათვის ეს  
ქვენმარიტება საკმაოდ ნათელია და გასაგები.

ეს საკითხი თითქო უდაოა, მაგრამ უკანასკნელ დის-  
კუსიას რომ შეხედო, დაწვრილებით რომ გაარკვიო, თუ  
რის გარშემო ტრიალებდა ეს დისკუსია, აშკარა გახდება,  
რომ იგი ამ საკითხის გარშემო ტრიალებდა. როდესაც  
მსჯელობას ვიწყებთ, საერთოდ, ახალ ტექნიკაზე, ინდუს-  
ტრიაზე, ყველაფერი უდაო ხდება, პარტიის არც ერთ  
წევრს არ შეუძლია ამის წინააღმდეგ გამოვიდეს, რადგა-  
ნაც ეს აშკარაა, უდაოა, რადგანაც ეს აქსიომაა, მაგრამ  
როდესაც ვუდგებით საკითხს, თუ როგორ გავაკეთოთ

საქმე, — აქ იწყება ლაპარაკი. აი, სწორედ ამ საკითხის გარშემო ახლა კი არა, ჯერ კიდევ ჩვენი პარტიის ყრილობის წინ დაიწყო განგაში. თქვენ გახსოვთ, შეიქნა ლაპარაკი: სამეურნეო საქმე შეირყა, საქონლის ნაკლებობის გამო უდიდეს კრიზისს განვიცდით, საქონლის ნაკლებობა სოფლად საგრძნობი გახდაო და სხვ. ამან აიძულა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომ ჩვენი მეურნეობის საკითხი არ გადაედო მორიგ პარტკონფერენციამდე, არამედ დაესვა იგი ჩვენი პარტიის აპრილის პლენუმზე. ეს საკითხი ვერავითარ გადადებას ვერ ითმენდა, რადგან სამეურნეო სიძნელების გარშემო, რომლებსაც ჩვენ უდაოდ განვაცდიდით და რომელთაც დღემდე განვიცდით, არაბოლშევიკური შეხედულებების შემუშავება დაიწყო, ისეთი რყევა და ლაპარაკი იყო, რომ ზოგიერთს ეჩვენებოდა, თითქოს ჩვენ სხვა რელსებზე დავეშვით. საჭირო იყო, ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც განხილულ იქნა ყრილობაზე, შეგვეშუშავებინა პრაქტიკული პროგრამა, რომ ნათელგვეყო, თუ როგორ მოვიქცეთ დღეს, ხვალ და ა. შ.

### ახალი ტიქნიკის საფუძველზე მოვასჯინოთ მრეწველობის რეორგანიზაცია

რაში გამოიხატებოდა და გამოიხატება ჩვენი სიძნელებანი?

ძირითადი სიძნელე, რომელსაც ჩვენ განვიცდით და რომელსაც ახლაც აქვს ადგილი, — ჩვენი მრეწველობის დარგში მდგომარეობს. მრეწველობაა და სოფლის მეურნეობას შორის ჩვენ იმგვარი შეფარდება გვაქვს, რომ ახლა არ ძალგვიძს სათანადოდ დავაკმაყოფილოთ ყველა ის მოთხოვნა, რომელსაც საგლეხო მეურნეობა გვიყე-

ნებს. არის, რა თქმა უნდა, ბევრი ე. წ. სუბიექტური ხასიათის მიზეზი, ე. ი. იმგვარი, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია ჩვენზე და თქვენზე. აქ მთელი რიგი ნაკლოვანებებია, აქ არის მუშაობის არცოდნა, ვაჭრობის არცოდნა, არცოდნა კარგი პროდუქციის დამზადებისა, საერთოდ მილიონი ყოველგვარი სხვა მიზეზი. ყველაფერი ეს არის და ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ მაინც ყველაზე ძირითადია, — როგორც ჩვენთან არის მიღებული მაღალი სტილით გამოთქმა, — დისპროპორცია მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის. ეს დისპროპორცია პრაქტიკულად, ყოველდღიურობაში იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ სამრეწველო პროდუქტები უფრო ნაკლები გვაქვს, ვიდრე მოთხოვნილებაა ამ პროდუქტებზე. მოთხოვნილება აღემატება სამრეწველო საქონლის არსებულ რაოდენობას, აქედან გამომდინარეობს ყველა ის ნაკლოვანება, რომელიც ჩვენა გვაქვს ამჟამად. აი ეს არის ყველაზე მთავარი, ესაა ყველაზე უარყოფითი ჩვენს სამეურნეო მდგომარეობაში.

იმისათვის, რომ მთლიანად შევძლოთ საჭირო შეფარდების განხორციელება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, აუცილებელია მთელი სამრეწველო ტექნიკის რეორგანიზაცია იმგვარად, რომ მან მოგვეცეს პროდუქციის მაქსიმუმი. მოთხოვნილება კი სამრეწველო პროდუქციაზე იზრდება. ფეხზე დგება საგლეხო მეურნეობა, ამგვარადვე მაგრდება მუშათა კლასი, მოთხოვნილებები იზრდება, ყოველ პროდუქციაზედაც იზრდება მოთხოვნილება. ერთი სიტყვით, რა მხრივაც არ უნდა მივუდგეთ ამ საკითხს, ჩვენი ქვეყნის შიგნით საჭიროა დავიწყოთ ისეთი კერების შექმნა, რომლებიც მოგვეცემენ ახალ საფუძველზე ჩვენი მრეწველობის რეორგანიზაციის საშუალებას. რა არის აუცილებელი ამისათვის? ამისათვის

აუცილებელია ისეთი ქარხნების აშენება, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ ჩვენი საკუთარი ხელით, ჩვენი საკუთარი ძალებითა და საშუალებებით დავამზადოთ მანქანები, დაზგები და სხვა, რაც აუცილებელია მსუბუქი მრეწველობისათვის, საგლეხო მეურნეობისათვის და ა. შ.

აი, ამხანაგებო, ასე დგას საკითხი და მხოლოდ ამგვარად შეიძლება გადაჭრილ იქნას ყველა ის სიძნელე ჩვენი მრეწველობის დარგში, რომელთაც ჩვენთან ადგილი აქვთ ამჟამად. აი, აქედან, როდესაც თქვენ გაიგებთ, თუ რამდენი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ახალ რელსებზე გადავიყვანოთ მთელი ჩვენი საქმე, თქვენ დაინახავთ, თუ ერთ დროს პარტიაში რატომ შეიქმნა ასეთი უნდობლობა, რომელშიაც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით, რად შეიქმნა უნდობლობა იმაზე, რომ ჩვენ თვითონ სხვების ყოველგვარი დახმარების გარეშე, შევძლებთ თავი გავართვათ ამ საქმეს.

ამის შემდეგ ჩვენთან დგება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შევძლებთ ამის გაკეთებას. გასაკეთებელი კი, ამხანაგებო, ძალიან ბევრია, კიდევ ვიმეორებ, როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ასევე, შეიძლება, პირველ რიგშიაც, აქ ჩვენთან, ლენინგრადში, თუ ვიღებთ კურსს — ჩვენ კი მას ვიღებთ — ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე, ჩვენ გვჭირდება ყველა იმ ცენტრებზე, სადაც თავმოყრილია მძიმე ინდუსტრია, — ლენინგრადს კი ამ მხრივ პირველი ადგილი უჭირავს ჩვენს კავშირში, — ჩვენ უნდა მივალწიოთ მუშაობის მაქსიმუმს.

აქ უკვე ჩვენ ისეთ მდგომარეობამდე მივედით, რომ, მაგალითად, მსუბუქ მრეწველობაში გამოყენებული გვაქვს ძირითადი თანხა, რომელიც ჩვენს განკარგულება-

ში იყო. დაახლოებით, 95 პროცენტით: მარაგი სულ 5 პროცენტი გვაქვს. ჩვენ მას გამოვიყენებთ, მაგრამ საქმე შეფერხდება, თუ შეშდეგაც ისე წავედით, როგორც მივდიოდით. მძიმე ინდუსტრიაში არსებული შესაძლებლობის 75 პროცენტს გამოვიყენებთ, დარჩება პატარა რგოლი, რომელიც ჩვენ ენდა გამოვიყენოთ ასე თუ ისე. შემდეგ კი საჭიროა საქმის დაყენება ახალ რელსებზე.

ეს ნიშნავს, ამხანაგებო, იმას, რომ, თუ, მაგალითად, პუტილოვის ქარხანასთან მივედით, მაშინ საჭირო იქნება გავაკეთოთ ის, რაც კიდევ კეთდება ნაწილობრივ: საჭიროა სახელოსნოების რეორგანიზაცია, საჭიროა ახალი მანქანებისა და დაზგების დადგმა, — მოკლედ, საქმე უნდა დავაყენოთ სრულიად ახალ რელსებზე; თორემ ზოგიერთ სახელოსნოში, სადაც შედიხართ, დღევ ღამეა და ღამეც — ღამე, იქ ჯერ კიდევ ისეთი სიბნელეა, რომელსაც ძველი დროის ათეული წლების სუნი უდის. ძველი ტენჭიკის საფუძველზე ინდუსტრიის აღდგენის არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს, საჭიროა საქმის რეორგანიზაცია.

### ჩვენ ხველა აუსილუმელი პირობა გვაქვს წარმატებითი სოციალისტური მშენებლობისათვის

როგორ მოვიქცეთ, საიდან ვიშოვოთ საჭირო სახსრები და სხვა დანარჩენი, რაც საჭიროა ამისათვის? აქ, რა თქმა უნდა, მოლოდინი იმისა, რომ საიდანღაც რაღაც დაგვეცემა თავს, რომ ვილაცა რაღაცას გვაჩუქებს, — არ გვიხდება, ამაში ყველა მშვენივრად ერკვევით. ერთადერთი წყარო, რომლის იმედიც შეიძლება გვქონდეს, — ეს არის ჩვენი საკუთარი ქვეყნის წყაროები. გვაქვს თუ არა რაიმე წყაროები? უდაოდ გვაქვს. მარტო ის ფაქტი, რომ ჩვენა ვართ ბატონ-პატრონნი იმ სიმდიდრისა, რომელიც

დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმულ ჩვენს უზარმაზარ 135 მილიონიან ქვეყანაშია. ბატონ-პატრონნი ვართ იმ უზარმაზარი ბუნებრივი სიმდიდრისა, რომელიც უთუოდ, არც ერთ თანამედროვე სახელმწიფოს არ გააჩნია, მარტო ის, რომ ყოველივე ეს ჩვენს მუშურ-გლეხურ ხელშია. გვიჩვენებს, რომ იგი შესაძლებელია წარიმართოს და კიდევ უნდა წარიმართოს მხოლოდ საწარმოო გამოყენებისაკენ. უკვე მარტო ეს იძლევა მატერიალურ ბაზას იმისათვის, რომ მის საფუძველზე მოვანდინოთ ახალი სამრეწველო რევოლუცია. შემდეგ, ჩვენს ხელშია არა მარტო მატერიალური სიკეთენი, არამედ ჩვენს ხელშია სახელმწიფოებრივი ბერკეტებიც, ხოლო სახელმწიფოებრივ ბერკეტები გაიზომებიან არა მარტო მილიციონერების რაოდენობით, რომელნიც ამ ქვეყანაშია — ისინი გაიზომებიან მთელი რიგი სხვა აპარატებითაც, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სახელმწიფოსათვის და სახელმწიფოებრივი მშენებლობისათვის. ავიღოთ ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა ბანკი. ბანკები, ამხანაგებო, პატივსაცემი და სასარგებლო საქმეა. საჭიროა მხოლოდ მათი სათანადოდ გამოყენება. თუ ბანკები სახელმწიფოს ხელშია, მუშების ხელშია, იმ შემთხვევაში, ამ ბანკების დახმარებით, საქმის ნამდვილი ორგანიზაციით შეიძლება მეურნეობის გამობრუნება ისე, რომ ყველა სახსარი, რომელიც არა მარტო ჩვენა გვაქვს თქვენთან ერთად. არამედ რომელიც აგრეთვე კერძო კაპიტალის ხელშია, შეიძლება დიდი რაოდენობით მოვანბაროთ სოციალისტური მშენებლობის საქმეს. ბანკების საშუალებით შეიძლება ის უამრავი მილიონიც, რომლებიც ჩვენს საგლეხო მეურნეობაშია. მოვებრუნოთ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საქმისაკენ. ერთი სიტყვით, ჩვენს ხელშია მთელი რიგი უძლიერესი საშუალებები, რომლე-

ბის დახმარებითაც ქვეყნის მთელი ქონება შეიძლება მიფ-  
მართოთ სრულიად გარკვეული კალაპოტით, დავაგრო-  
ვოთ და მიზანშეწონილად მივმართოთ განუტოებელი ნა-  
კადებით, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ გამოვა-  
ცოცხლოთ და გარდაეკმნათ ჩვენი სამრეწველო მეურ-  
ნეობა.

ბურჟუაზია, კერძოდ, ინგლისის, სხვაგვარად იქცევა,  
მას უფრო მარტივად აქვს დაყენებული საქმე. თუ იქ სა-  
ხელმწიფოებრივ რომელიმე რგოლში რაიმე მატერი-  
ალურ სიძნელეს აქვს ადგილი, ასეთ შემთხვევაში ისინი  
რალაც ავანტურას გამოიგონებენ: შეავიწროებენ ინ-  
დოეთს, შეავიწროებენ ჩინეთს, განურჩევლად იმისა, თეთ-  
რია ეს ხალხი თუ ყვითელი, თუკი ერთგვარი შეუპოვ-  
რობას გამოიჩენენ, საკმაოდ სერიოზული რესურსების  
გამოწოვა შეიძლება მათგან. ჩვენ ვერ მივმართავთ ამ-  
გვარი სახის დაწოლას. სესხზე კი შეიძლებოდა გვეზრუ-  
ნა. ყოველი ქვეყანა, ჩვენსა და თქვენს გარდა, ცხოვ-  
რობს და მუშაობს უმთავრესად მრავალი სახის სესხე-  
ბით. როტშილდიც კი, მსოფლიოში უმდიდრესი ადამიან-  
ნი, უსესხოდ ვერ მიდის იოლად. მხოლოდ ჩვენ, ერთად-  
ერთი ქვეყანა, მოკლებული ვართ შესაძლებლობას სეს-  
ხით ვიმუშაოთ. გაზეთებში ხშირად ჩნდება ცნობა იმის  
შესახებ, რომ აქა და აქ ლაპარაკი წარმოებს სესხზეო.  
ლაპარაკს კი ვაწარმოებთ — ჩვენ საერთოდ ლაპარაკის  
მოყვარული ხალხი ვართ და სიტყვისათვის ჯიბეში არ  
მივძვრებით. კარგა რვა წელზე მეტია რევოლუციის, რაც  
უკვე ლაპარაკი გვიხდება ყოველ ენაზე, ყოველ ხალხთან  
და ყოველ რასასთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქამდე  
მხოლოდ ასანახევარი მილიონი სესხი ვიშოვეთ და ისიც  
ვისგან? — გერმანელებისაგან, რომლებიც, ბოდიშით რომ  
ვთქვათ, თვითონ ძლივს დაფავენ სულს მეურნეობის

მხრივ, მაგრამ თავისი ხელმოკლეობიდან მოგვეცეს (ისიც აქამდე არ შევთანხმებულვართ პროცენტებზე) 150 მილიონი. რაც შეეხება ყველა დანარჩენ სახელმწიფოს, ყველა დანარჩენ ხალხს, აქ საქმე ხელიდანაა წასული.

მაგრამ დაფუშვათ, ამხანაგებო, შეუძლებელი რამ: ვთქვათ, ხვალიდან ყველა კაპიტალისტი, სოციალისტური სახელმწიფოს მოწყობის საქმეში ჩვენი კეთილი სურვილების გავლენით ისეთი კეთილგანზრახვით განიმსკვალოს, რომ გავვიხსნან თავისი ქისები: ისესხე, რამდენიც გსურსო, და ჩვენც გადავგზავნეთ ჩვენი შიკრიკები მსოფლიოს ყოველ კუთხეში, — კომკავშირის მონაწილეობითაც კი, — და ვისესხეთ ყოველი მხრიდან. რა თქმა უნდა, ბევრ რამეს გავაკეთებდით ნასესხები ფულით, მაგრამ ხომ იცით, რომ ფულს უფასოდ არ იძლევიან. ფულს იძლევიან გარკვეული პროცენტებით, და რაც უფრო მეტს ისესხებ, რა თქმა უნდა, მით უფრო მეტ პროცენტს გადაიხდი, მით უფრო მეტ მონობაში ჩაგარდები. თუ ბლომად მიიღე, იმდენი პროცენტის გადახდა დაგჭირდება, რომ სული ამოგძვრება. მაშინ ჩვენ წინაშე წამოიჭრება დილემა: პროცენტები გადავიხადოთ, თუ ინდუსტრია ვაშენოთ? ასე რომ წინააღმდეგი არა ვართ ზომიერად ავილოთ, მაგრამ თუ იმედი ვიქონიეთ, თითქოს საგარეო სესხით შევძლებთ ჩვენი მრეწველობის რაციონალიზაციას და ინდუსტრიის გაშლას, — ეს მავნე, უიმედო საქმეა, ეს მონობაა, და არა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია.

მაშასადამე, ერთადერთი გამოსავალი, ყველაზე უდაო და ყველაზე საიმედო, — საკუთარი კომუნისტური ჯიბეა. როდესაც ხმამაღლა ვლაპარაკობთ ამის შესახებ, — ჩვენ კი ვლაპარაკობთ ამის შესახებ ხმამაღლა, ვბეჭდავთ გაზეთებში, — მაშინ მჭირდავები, რომლებიც, სამწუხა-

როდ, ჯერ კიდევ დარჩნენ ბუნებაში, რომლებიც რუს ემიგრანტებს შორის არიან და მილუკოვივით, ესერე-ბივით, მენშევიკებივით დაეხეტებიან საზღვარგარეთ, კითხულობენ რა ამის შესახებ, მუცელს ასკდებიან და ლაპარაკობენ: რა ყოჩაღები არიან! შიშვლები დადიან და ლაპარაკობენ, რომ საკუთარი სახსრებით შექმნიან ისეთ ინდუსტრიას, რომელსაც ამერიკელი ფორდი შუ-რით შეხედავსო. მართლაც, გამოდის თითქოს ეს ცოტა-ოდენ სასაცილოა. ისინი ამბობენ, რომ ეს — ბოლშევი-კური მორიგი თვალახვევაა, ეს ხალხი ჩიხში მოექცა და წასასვლელი აღარსად აქვთო. მტრები ამბობენ: ეს მო-რიგი თვალახვევაა, რისი დიდი ოსტატებიც არიან ბოლ-შევიკებიო; მუშებმა დაუჯერეს მათ, და სწორედ ეს იძლევა საშუალებას ხელფასი არ მოუმატონ, რადგანაც ინდუსტრიას ვავითარებთო; ეს აძლევთ საშუალებას გა-ადიდონ ბეგარაც, რომელსაც გლებებს ადებენ, რადგა-ნაც რაკი ხვალ მივცემთ ამერიკულ ტექნიკას, დღეს რატომ არ უნდა გადაიხადონ ზედმეტი 50 ათასი მანე-თიო. ჩვენს შორისაც არიან ისეთი „ამხანაგები“, რომ-ლებიც რეკავენ: ორთქლმავალი უკანასკნელ სადგურზე მივიდა — შესდექ, ველარსად წავალთო.

რა თქმა უნდა, შეიძლება. ყოველი აზრი აიგდო სასა-ცილოდ, მაგრამ მე ვფიქრობ, საკმარისია სერიოზულად შეხედო, თუ რის მქონებელი ვართ სინამდვილეში, და წერაკითხვის ყოველი მცოდნესათვის ნათელი გახდება, რომ შეიძლება გაზარდო საკუთარი სახსრები და ეს საქ-მე საკუთარი ძალებით დასძლიო. მაგალითისათვის მე მოვიყვან ისეთ ქვეყანას, როგორცაა ამერიკის შეერთე-ბული შტატები. ღირს ამ ქვეყნით დაინტერესება: იგი საინტერესოა ჩვენთვის არა მარტო იმით, რომ იქ გასა-ოცარი მილიარდერები არიან, არამედ იმით, რომ ეს ერ-

თადერთი ქვეყანაა, რომელიც განსაკუთრებით და უმთავრესად თავისი საკუთარი ბაზრითა და თავისი საკუთარი რესურსებით ცხოვრობს. ინგლისის ლორდები უმთავრესად იმიტომ იტანჯებიან ახლა, რომ მთელი მათი მეურნეობა აგებულია გატანაზე. კერძოდ ქვანახშირის გატანაზე, იმ ქვანახშირისა, რომელიც ესოდენ მზურვალედ გაჩაღდა და რომელიც ნელნელა წვავს ლორდებს\*. ამერიკაში ასეთი მდგომარეობა არ არის და არც შეიძლება იყოს, რადგანაც დამოუკიდებლობის მხრივ ამერიკა ერთადერთი თავისებური ქვეყანაა: უზარმაზარი ტერიტორია, უზარმაზარი შინაგანი სიმდიდრე, რომელიც საშუალებას იძლევა ისე წაიყვანო საქმე; როგორც გასურს.

ჩვენ ცოდვილ საბჭოთა მიწაზე, თუ მას როგორც საჭიროა მოჩიჩქნი, შეიარაღდები, რა მეცნიერებით, რა თქმა უნდა, არა ექსპლოატატორული, არა კაპიტალისტური, არამედ შრომითი მეცნიერებით, შესაძლებელია უდიდესი სიმდიდრეები მოიძებნოს. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ეს სიმდიდრენი ჩვენსა და თქვენს ხელშია, მშრომელი ხალხის ხელშია, უდიდესი საქმეების გაკეთება შეიძლება. ამაზე არა მარტო თეორიული ფიქრი შეიძლება, არამედ ყველაფერი ეს გარკვეული სიმტკიცით. ბეჯითობითა და დაწოლით შეიძლება განხორციელდეს პრაქტიკაში.

აი, სწორედ ამაზეა, ამხანაგებო, აგებული ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ჩვენი პარტიის XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა გასავეითარებლად გამოტანილი იქნა ჩვენი უკანსკნელი პლენუმის მიერ. მე ვფიქრობ,

---

\* გადაკრულია სიტყვა მალაროელთა გაფიცვაზე, რომელმაც არეულარევა შეიტანა ინგლისის მთელ სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში — რ ე დ.

რომ ეს გადაწყვეტილებები მთლიანად და სრულიად უნდა იქნეს გამართლებული ჩვენი ცხოვრებისაგან. თუ ჩვენ ნამდვილად შევძლებთ ამ გადაწყვეტილების აღქმას ისე, როგორც საჭიროა მისი აღქმა, თუ დაველექავთ ისე, რომ ყველას, პიონერსაც კი, ეს გადაწყვეტილებანი ძვალ-რბილში გაუჯდეს, — ჩვენ შევძლებთ ამ საქმის წინ წაწევას. მაგრამ უნდა გვახსოვდეს ერთი რამ: უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ძნელი საქმეა, რომ ეს მძიმე საქმეა, რომ ამ საქმეზე რამდენიც გნებავთ, იმდენი კოპი და-გვაჯდება.

რას ნიშნავს ინდუსტრიის აგება? ეს ნიშნავს გამოიყენო ძირითადი კაპიტალი, რომელიც კაპიტალისტებისაგან გვერგო, და ახალ პირობებში შექმნა ახალი ძირითადი კაპიტალი. მაგალითისათვის ავიღებ პუტილოვის ქარხანას. მე ამ დღეებში ვიკითხე, თუ როგორ ფასდება პუტილოვის ქარხანა. მივიღე ცნობა, რომ პუტილოვის ქარხანა შეფასებულია 45 — 46 მილიონ ოქროს მანეთად. აბა, მოიფხანეთ კომკავშირული კეფა და იფიქრეთ, რამდენი ათეული მილიონია საჭირო იმისათვის, რომ ასეთი ახალი ქარხნები ააგო. ავიღოთ საქსოვი ფაბრიკა; თითქო არც თუ ისეთი რთული საქმეა, ხოლო რომ ააგო თუგინდ პატარა ფაბრიკა, მუშათა მცირე რიცხვით, მაგრამ რომელიც უპასუხებდეს ტექნიკის უკანსკნელ სიტყვას, — საჭიროა შვიდი — რვა — ცხრა მილიონი. ეს საკმარისად ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რამდენი უნდა იმუშაო ამ მხრივ.

ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ უბრალოდ არ დაგვიყენებია ეს ამოცანა. იგი თოვლივით როდი დაგვეცემია თავზე, ჩვენ მასთან მივედით ჩვენი სამეურნეო მუშაობის პროცესში.

და ახლა კი, ვაყენებთ რა ჩვენს წინაშე ამ ამოცანას,

ვამბობთ: პირველი, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ, — როგორც საჭიროა, ისე დავაყენოთ სახსრების დაგროვება ჩვენს ქვეყანაში. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ დღევანდელი კრებიდან მოსულმა კაპიკი ჩააგდო ყულაბაში. ლაპარაკი ამის შესახებ კი არ არის, არამედ ლაპარაკია სახელმწიფოებრივ დაგროვებაზე, ლაპარაკია იმის შესახებ, რომ უნდა ეცადო ჩვენი მეურნეობის იმგვარად დაყენებას, რომ, შეძლებისდაგვარად, რესურსების მთელი ასი პროცენტი სხვადასხვა წყაროდან ჩვენს სახელმწიფოებრივ ქისაში დავაგროვოთ. აქ უნდა იყოს არა მარტო „სახაზინო“ ფული, ძველებურად რომ გამოვთქვათ; ის ხომ ყოველთვის ჩვენს ხელთაა, არამედ საჭიროა მოვიზიდოთ ნებმანის კაპიტალიც, გლეხობის კაპიტალიც, დაზღვევის კაპიტალიც, უნდა მოვიზიდოთ ბანკების საშუალებით, სხვა ყოველგვარი საშუალებით, და ყოველივე ეს დავაგროვოთ საერთო სახელმწიფო ყულაბაში. რისთვის გვინდა ჩვენ ეს დაგროვება? ჯერ ერთი, იმისათვის, რომ მოვახდინოთ ძველი ძირითადი კაპიტალის განახლება, მისი შეცვლა ახალი ძირითადი კაპიტალით, უფრო მყარი კაპიტალით, ტექნიკის მხრივ, მეორე კი, — აუცილებელია ამასთან ერთად შექმნილ იქნას ერთგვარი მარაგი, ერთგვარი სადაზღვევო თანხები ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში, ჩვენს სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და ყოველგვარ სხვა მუშაობაში.

**ჩვენი სახელმწიფოებრივი და სამეურნეო აპარატი  
გავხადოთ უფრო მარტივი, უფრო იაფი, უფრო  
ხელმისაწვდომი**

აი აქედან გამოიჭრება, ამხანაგებო, ის მოდური საკითხი, რომელიც ყველგან და ყოველთვის არის ახლა, სახელდობრ მომკირნეობის რეჟიმი. ამის შესახებ მე

ვფიქრობ, თქვენ საკმაოდ ბევრი და საკმაოდ დაწვრილებით გითხრეს, ეს თვითუფს ესმის და ამის შესახებ მე ალარაფერს ვიტყვი; მე მხოლოდ მინდოდა მეთქვა ერთი რამ. მომჭირნეობის რეჟიმი ჩვენთან არასაკმაოდ კარგადაა გაგებულნი. მომჭირნეობის რეჟიმი ამხანაგებს ხშირად ესმით როგორც სამუშაო, რომელიც უშუალოდ იძლევა კაპიკს. ვთქვათ, რაიმე ხარჯია გასაწევი ქარხანაში. და აი, უყურებენ, იქნებ რაიმე ეკონომია გავწიოთო. რა თქმა უნდა, ეს მართალია, მაგრამ, ამხანაგებო, მომჭირნეობის რეჟიმი საჭიროა გაცილებით უფრო ფართოდ გავიგოთ. მაპატიეთ ის მწარე სიტყვები, რომელთაც შემდგომ ვიტყვი. მომჭირნეობის რეჟიმში უთუოდ უნდა შევიტანოთ, — ჩემის აზრით, ამაზე ცოტას ლაპარაკობენ და წერენ, — ბრძოლა ყოველი ამგვარი წყეული ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. ეს საქმე თითქო შესასრულებლად მივიღეთ. მაგრამ ჩვენ რომ ის ვერ შევასრულებთ — ამაში ეჭვი არ არის; რომ ეს ანდერძი არ შევასრულებთ — არავის არა აქვს უფლება ამაზე იდაოს. რას გვასწავლიდა ლენინი? წაიკითხეთ მისი ცეცხლოვანი სიტყვები. მან უნდა დაწვას ყოველი კომუნისტის სინიღისი. ის ამბობდა: ჩვენი პროლეტარული სახელმწიფო უნდა მოვაწყოთ ისე, რომ მთელი აპარატი უნდა იყოს რაც შეიძლება უფრო იაფი, რაც შეიძლება უფრო მარტივი, რაც შეიძლება უფრო ხელმისაწვდომი ყოველი მშრომელისათვისო. აი ის სამი ძირითადი მოთხოვნა. რასაც ის უყენებს ჩვენს სახელმწიფოს.

სინიღისიანად გავარკვეოთ, რას წარმოვადგენთ ჩვენ, რას წარმოადგენს მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი მანქანა: მთავრობის აპარატი, სამეურნეო და სხვ. რომელიც ჩვენ გაგვაჩნია. სინიღისის ქვეშ თუ ვიტყვი, — აქ შინაური ხალხი ვართ და ერთიერთმანეთის თვალის

ახვევა საჭირო არ არის, — პირდაპირ უნდა ვთქვათ, ხვენი უბედურება, ჩვენი კომუნისტური უბედურება, განსაკუთრებით პასუხისმგებელი ადამიანებისა, იმაში მდგომარეობს, რომ ველარ ვგრძნობთ იმ სახელმწიფოებრივ რთულ ბიუროკრატიულ მანქანას, რომელიც ჩვენ გავზარდეთ რვა წლის განმავლობაში. მართლაც, როდესაც შეუფერებელ წრეში მოხვდები, პირველ დღეს ერთგვარ უხერხულობას გრძნობ, მაგრამ გადის კვირა, თვე, ხედავ — შეეჩვიე და ფიქრობ, რომ ასედაც უნდა იყოსო. აი ახლა ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასედაც უნდა იყოს. ცდისათვის მოდით და ერთი მახინაცია გავაკეთოთ: ავილოთ რომელიმე ჩვენგანი. ვთქვათ, მე — საპატიო კაცი, ჩავაყენოთ უპარტიოს მდგომარეობაში. გავხადოთ უბრალო მოქალაქედ. ხელში მივცეთ რაიმე ქალაქი — შუამდგომლობა რომელიმე კანონურ საქმეზე. ყველაზე უბრალო საკითხზე და ვუთხრათ: წადი და იშუამდგომლეთქო. და აი, ამხანაგებო, საკუთარი თავით ვაგებ პასუხს, რომ ამუნდსენი, რომელიც გუშინ გაფრინდა ჩრდილო პოლუსზე, უფრო ადვილად აღმოაჩენს პოლუსს, რომლის აღმოჩენასაც შეგეპირდა და მშვიდობიანად დაბრუნდება. ვიდრე ამ ქალაქით მივალწევდეთ რაიმეს. (ს ი ც ი ლ ი). ეს ფაქტია, ჭეშმარიტი ფაქტი, და ამაზე საჭიროა დავფიქრდეთ, და აი რატომ: ჩვენთან პარტიის წევრი — მილიონია, კომკავშირელი — ორი მილიონი, ერთი სიტყვით, სამმილიონიანი ოჯახია, ჩვენში კი 135 მილიონი მცხოვრებია. სოციალისტური სახელმწიფოს შექმნას სამი მილიონი ვერ შევძლებთ. საჭიროა სახელმწიფოებრივ საქმეში მთელი ეს უზარმაზარი რაოდენობა ჩავრიოთ, უამისოდ. ვერავითარ სოციალიზმსა და კომუნიზმს ვერ ვიხილავთ, ეს თქვენ იქიდან იცით, რომ ილიჩი წერდა. ეს მართალია, და რახან ეს მართალია, მართალია მე-

ოჩეც. როდესაც რომელიმე თქვენგანი, კომკავშირელი, რომელიც საკ. ალკკ ნიშანს ატარებს, მიდის დაწესებულებებში, ქალიშვილთან, იგი რომ დაგინახავთ თქვენ — კომკავშირელ ვაჟსა თუ კომკავშირელ ქალს, ცოტაოდენ ეშინია თქვენი: ეს ისეთი ხალხია, რომ თუ მას გადაეკიდე — შორს ვერ დააღწევ თავსო. თუ პარტიული კაცი მივიდა, ვთქვათ, მე, — საპატიო პიროვნება, საგუბერნიო კომიტეტის მდივანი, საქმე კიდევ უფრო კარგად მიდის, ყველა დგას, ხელები ჩაშვებული აქვთ, ერთი ხელისკვრით შეგიძლია გააკეთო რაცა გსურს, ხოლო როდესაც მიდის მოქალაქე, საბჭოთა მუშაკი, მოსამსახურე, მაგრამ უპარტიო, ის ივლის ლაბირინტიდან ლაბირინტში და ვერ გაიგებს საით წავიდეს. ჩვენ იმდენი სართული გავამრავლეთ, იმდენი დაწესებულება, რომ ძალიან რთული გასარკვევია, თუ სად რომელი საქმისათვის უნდა იარო და დაუსრულებელი სიარული გამოდის. მე კიდევ ყველაფერს არ ვიამბობთ. ეს ჩვენ საკუთარ ტყავზე განვიცადეთ: თუ საქმე არ გამოგვივიდა, იმ წამსვე რაიკომში გავრბივართ, საქმეს ისე გავაკეთებთ, რომ უკეთ არ შეიძლება. სინიდიისის ქვეშ რომ ითქვას, ასე ხდება ხოლმე. მოქალაქე კი სად უნდა წავიდეს? უკეთეს შემთხვევაში, გამობრუნდება, გამოვა დაწესებულებიდან, მივა მორიგე მილიციონერთან და ჰკითხავს: „ხომ არ იცი, საით წავიდე ამადაამ ტრესტში, ამადაამ მთავარ სამმართველოში და სხვ. ივლის, ივლის, მიაფურთხებს და იტყვის: ეშმაკმაც წაგილოთო! რის შესახებ ლაპარაკობს ეს? ეს იმის შესახებ ლაპარაკობს, რომ ჩვენი მანქანა, ჩვენი აპარატი მეტად მძიმეა, მეტად რთული და მეტად ხელმიუწვდომელი.“

რა დამოკიდებულება აქვს ამას მომჭირნეობის რეჟიმთან? ყველაზე უშუალო, სრულიადაც არა ნაკლები,

შეიძლება უფრო მეტიც, ვიდრე კაპიკის უბრალო შემონახვას, იმიტომ რომ აპარატი მეტად რთულია, ის ძალზე ნელა მუშაობს, ბორბლები მეტად მძიმედ მოძრაობენ, ჭრიალებენ, წასცხებდი კიდევ, მაგრამ ვერ მიაგნებ, თუ სად ჭრიალებს, სად უნდა წასცხო, რადგანაც იმდენი ნაწილი აქვს, საკისარი საკისარზეა და როგორი მექანიკოსიც არ უნდა დასვა, სულერთია, არაფერი არ გამოვა მანამ, სანამ მანქანას არ გავამარტივებთ. გარკვევით რომ გაიგოთ, მაგალითს მოგიყვანთ სამრეწველო დარგის პრაქტიკიდან და მაგალითზე გიჩვენებთ, თუ სადამდე მივყავართ ამ ბიუროკრატიულ სისტემას.

მე ვიყავი მოსკოვ-ნაწვის რაიკომის პლენუმზე და იქ გავიგონე, რომ „ტრეუგოლნიკში“ ანგარიშგება 28 ფუთი ქალაქით იზომება. მოდით ახლა და ეს 28 ფუთი მიეცით ჩვენში ყველაზე ყოჩაღს, თუგინდ მთელ კომისიას, სინჯეთ მისი აწვევა — ცოტაოდენ მძიმეა და როგორ უნდა გაერკვე, რა წერია ამ 28 ფუთზე? ყველაფერი ეს ხომ საჭიროა წაიკითხო. ძალიან ცდებიან ისინი, ვინც ამბობს: სულერთია, ამ ანგარიშებს არავენ კითხულობსო. რომ არ კითხულობდნენ, ვიტყვოდი: რა ვუყოთ, დაიკარგა 28 ფუთი ქალაქი-თქო. მაგრამ სწორედ ამაშია საქმე, რომ კითხულობენ, სწორედ ამაშია მთელი საკითხი. იქ ყველაფერი დაყოფილია: აქ კალოშები, აქ სალტეები, აქ ესა და ესაა, აქ ესო. და ყველაფერი ეს დაითვლება. იჯდომებიან ეს ბრიყვები ჩოთქთან, დაითვლიან და გადმოაწყობენ ყველაფერს. დაე, ეთვალათ, შეიძლება ამაზედაც დათანხმდე, მაგრამ ისინი ხომ ითვლიან და ჩვენს პურს ჭამენ, ჩვენს საბჭოთა ჯამაგირებს ყლაპავენ, თანაც საკმაოდ გვარიანი თანრიგით, ამასთანავე ყოველგვარ სხვა მოთხოვნასაც გვიყენებენ. და სანამ ყველაფერს ამას გამოიანგარიშებენ, სანამ ამ ხელფასებს გამოიყენე-

ბენ, სანამ ეს 28 ფუთი „ტრეუგოლნიკში“ უკან დაბრუნდება დასკვნებით, გამოირკვევა, რომ ყველაფერი ეს, თურმე, ტყუილ-უბრალოდ გაკეთებულა. აი, სწორედ ეს არის ბიუროკრატიზმი, ყველაზე უმსგავსი, ყველაზე უდარდელი, ყველაზე თავზენელადებული ბიუროკრატიზმი. შეეკითხეთ რომელსაც გნებავთ სამეურნეო მუშაკს. თუ საგეგმო ორგანოებში როგორ დადის თავისი მრავალნაირი პროექტებით, მრავალნაირი გეგმებით და როგორ ტარდება ეს იქ. ზოგჯერ, მართლაც, ზოგჯერ მომავალი ზამთრის თოვლის შოვნა უფრო ადვილია, ვიდრე დროით ეღირსოთ გეგმების, შუამდგომლობის დამტკიცებას.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მომჭირნეობის რეჟიმზე, საჭიროა ამ ცნების გაფართოება, საჭიროა მასში შეტანილ იქნეს ამ წყეულ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაც. აქ ხომ დროც ტყუილად იხარჯება, ხალხიც ტყუილუბრალოდ გვყავს, ტყუილუბრალოდ ჰამენ ჩვენს პურს, შედეგად კი ყველაფერი კეთდება იმგვარად, რომ დაბრკოლდეს, გართულდეს ჩვენი სამეურნეო აღდგენის საქმე. ჩვენი აპარატი გაიბერა ძალიან ბევრი ყოველგვარი ზედნაშენით. იგი თავისი არსებობის მხოლოდ მეცხრე წელს ითვლის, ჯერ კიდევ პიონერი უნდა ყოფილიყო (ჩვენს ენაზე რომ გადავიტანოთ), სინამდვილეში კი ის უკვე მოხუცია. ახლა სასარგებლო იქნება მთელი ყურადღება შევაჩეროთ პრაქტიკულ და მეცნიერულ აზრებზე, იმაზე, რათა გავაახალგაზრდაოთ ჩვენი სახელწიფოებრივი აპარატი, — აი ამოცანა, რომელიც სრულიად გადაუდებელი სახით დგას ჩვენს წინაშე (ტაშვი).

აღარ მოვიყვან იმის მაგალითებს, თუ რას მოგვცემდა მომჭირნეობისათვის ბრძოლა სხვა მხრივ, კაპიტან ფრთხილად მოპყრობის აზრით, ამ კაპიტანის სწორი მიმარ-

თებით გამოყენებით და სხვ. ეს მაგალითები ხშირად გესმით, ისინი ანეგდოტებივით დადიან. „ტრეუგოლნიკს“, მაგალითად, ბედი არ წყალობს: გუშინდელ თუ დღევანდელ „პრავდაში“ გამოქვეყნდა ცნობა დანართებისა და არასაწარმოო ხარჯების შესახებ. იქ არის მექანიკოსისა და ოსტატის გვარი მოყვანილი. ეს მექანიკოსი მსახურებს „ტრეუგოლნიკში“. გამოიანგარიშეს, რომ იგი 31 დღე იმყოფებოდა „ტრეუგოლნიკში“, ხოლო 470 დღე მივლინებაში ითვლებოდა, — აი, რაები ხდება ჩვენთან. როდესაც ამ საქმის გარჩევა დაიწყეს, აღმოჩნდა, რომ იგი მოსკოვში ყოფილა მივლინებაში, იქ რაღაცებს აგროვებდა, ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფოს 5 ათასი მანეთი დაუჯდა ეს. ასეთი შემთხვევების შესახებ ყოველ გაზეთში წაიკითხავთ.

საქმე ახლა ისე მიიწურა, რომ საქიროა მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლის ეს საქმე გავაფორმოთ და განვაზოგადოთ. მაგალითად, ლენინგრადში როდესაც ჩვენს ტრესტებში, ტრესტების სამმართველოებში, გარდა ქარხნებისა, ყოველგვარი ხარჯების შესაძლებელ შემცირებას ვაჯამებთ (ეს მონაცემები სამრეწველო ბიუროს \* მონაცემებიდან მომყავს), ირკვევა, რომ წელიწადში დაახლოებით — 2-2½ მილიონი მანეთის მოცემა შეუძლიათ წმინდად. ხოლო როდესაც ჩვენ სერიოზულად მოვიწოდებთ მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას, იმ შემთხვევაში, როგორც ამტკიცებენ. 10 მილიონი მანეთის ეკონომიას ისე გავაკეთებთ, როგორც ერთი კაპიკისას. რას ნიშნავს 10 მილიონი მანეთის ეკონომია ჩვენი ლენინგრადის პრაქტიკაში? ეს იმას ნიშნავს, რომ ლენინგრადის მრეწველობის დარგში წელს გა-

---

\* სამრეწველო ბიურო — ლენინგრადის მრეწველობის ხელმძღვანელი ორგანოა — რ ე დ.

დავკრათ ძირითადი საკითხი, რომლის გადაჭრაც, უსახსრობის გამო, დღემდე ვერ მოვახერხეთ. ჩვენ შედგენილი გვქონდა ახალი აღმშენებლობის პროგრამა, აღდგენისა და სახსრების გამოქვანის პროგრამა. ამ საქმისათვის 20 მილიონ მანეთზე მეტი გვაკლია. აი, თუ 10 მილიონი მანეთის ეკონომია შეეძელით წელიწადში, მაშინ, ვლებულობთ რა მხედველობაში, რომ თანხა მრეწველობაში ორჯერ მეტად ბრუნდება, ჩვენ 20 მილიონზე მეტი გამოგვდის. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გავინძრეთ, ლენინგრადში ზოგი ვინმე უნდა შევარხიოთ, რომ 20 მილიონი მანეთის ეკონომია გავაკეთოთ მრეწველობისათვის. ჩვენ ლენინგრადში შეგვიძლია მისი შონა, და ჩვენ ვიშოვით მას, მარტო ჩვენი ტრესტების სამმართველოს რომ შევეხოთ, თუგინდ არ შევეხოთ ქვემდგომ აპარატებსა და ორგანიზაციებს. სამრეწველო მეურნეობის დარგის ყოველი აპარატი და ორგანიზაცია, საბჭოთა ყველა აპარატი და სხვ. რომ გადავითვალიეროთ, უნდა დამეთანხმოთ, რომ ჩვენ აქ დიდძალ სახსრებს შემოვიწინავეთ.

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, დამეთანხმებით, რომ თუ დიდი მუშაობა უნდა ჩავატაროთ ამ დარგში, დიდი მუშაობაა ჩასატარებელი აგრეთვე ზედმეტი ხარჯის წინააღმდეგ ბრძოლის მხრივაც. ნუ მოვინანიებთ, მაგრამ ცოდვები თავსაყრელი გვაქვს. რაგინდ მოძღვარი არ მოიყვანო, ამ ცოდვებისაგან ვერ გაგათავისუფლებს. ამ საქმესაც მჭიდროდ უნდა მივუდგეთ და სრულიად უნდა აღმოვფხვრათ ეს უმსგავსოებანი. ჩვენთან შემჩნეულია სამარცხინო მოვლენები — სახელმწიფო ფულის პარვა, მტაცებლობა, ქურდობა, ფლანგვა, ხელგაშლილობა. ამ საქმემ ისე მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება, რომ საითაც არ უნდა გადადგა ფეხი, მას წაემტვრევი. თქვენ

რცით, თუ როგორ აქვთ ეს საქმე დაყენებული მეურ-  
ნეებს, მაგრამ ჩვენ სხვებს ნუ გადავებრალებთ. ეს ჩვენ  
კომკავშირშიაც გვაქვს, ჩვენს პროფკავშირშიაც არის,  
ჩვენთან პარტიაშიც თვალწინა გვაქვს. და რა არის, ამხა-  
ნაგებო, კიდევ სახიფათო — ის, რომ ასე მივეჩვიეთ ხელ-  
გაშლილობას, გაფლანგვას, ქურდობას, რომ ამ საქმეს არ-  
ხეინად ვუყურებთ. მე მოხსენების გაკეთება მომიხდა  
პსკოვში, რომელიც აქედან შორს არაა. მე ვლაპარაკობ-  
დი იმის შესახებ, რომ შეუბრალებლად უნდა ვებრძო-  
ლოთ გაფლანგვებს მეთქი. ხალხი, რა თქმა უნდა, მეთან-  
ხმებოდა, როგორც ყოველთვის. ამ საკითხში ჩვენთან  
თითქო არ არის უთანხმოებები. მაგრამ ჩემს შემდეგ გა-  
მოვიდა საგუბერნიო პროკურორი, რა თქმა უნდა, ჩვენი  
პარტიის წევრი, და ლაპარაკობს: „კიროვი, რა თქმა  
უნდა, მართალია, რომ გაფლანგვებს უნდა ვებრძოლოთ,  
მაგრამ მას ერთი რამ დაავიწყდა მხოლოდ: ჩვენს საბჭო-  
თა კანონმდებლობაში გაფლანგვა ისეთი ცნებაა, რომ  
საჭიროა დამტკიცო, რომ კაცმა ბოროტი განზრახვით  
გაფლანგა სახელმწიფო ფული. თუ ეს დამტკიცდა, მაშინ  
ამ ბოროტი საქმისათვის შეიძლება ის დაიხვრიტოს, იზო-  
ლაცია კი როგორიც გინდა ისეთი მიეკეროს. მაგრამ თუ  
მისი განზრახვის ბოროტება არ არის დამტკიცებული,  
მაშინ ეს გამოდის როგორც უყურადღებობა, და ამ შემ-  
თხვევაში მხედველობაში მიიღებენ რა მის პროლეტარულ  
წარმოშობას, კომკავშირულ სტაჟს, ამგვარ სხვა რამეს.  
გამოუტანენ მას საყვედურს, სხვა უფრო ნაკლებ საპა-  
სუხისმგებლო სამუშაოზე გადაყვანას და სხვ.“ მე მას  
ვუპასუხე იმავე კრებაზე, რომ ამას თუ არა იურიდიულ  
ენაზე გადავიტანთ, არამედ ჩვენს უბრალო, ადამიანურ  
ენაზე, ასეთი რამ გამოგვივა: მე რომ ხვალ გუბკომის  
ფული შევქამო, თქვენ უნდა დამტკიცოთ, რომ ეს ბო-

როტი განზრახვით ჩავიდინე, 40-გრადუსიანს შევუტეე—  
მე შენ გაჩვენებ გუბკომის ფულის სეირს მეთქი, და თუ  
აქვენ ვერ დაამტკიცებთ ბოროტ განზრახვას, ვიტყვი:  
მოვდიოდი და გუბკომის ფული მომქონდა, კომკავშირე-  
ლები შემხვდნენ, კარგი ბიჭები არიან, წავედით და დაე-  
ლიეთ მეთქი, — მაშინ, „ვლდებულობთ რა მხედველობაში  
მის გუბკომურ წარმოშობასა და სხვას...“ (ს ი ც ი ლ ი).  
ეს იმდენად სასაცილო არ არის ამხანაგებო, რამდენადაც  
სამწუხარო. ეს ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ჩვენს  
საბჭოთა კანონმდებლებსაც კი არ შეუძლიათ სხვაგვა-  
რად იაზროვნონ. თუ იღუპება საბჭოთა მუშურ-გლეხუ-  
რი ოფლით ნაშოვნი მილიონები, უნდა დაამტკიცო,  
რომ აქ ბოროტი განზრახვაა, რომ აქ კონტრრევოლუ-  
ციას, და თუ არ დაამტკიცე — მაშინ ქრთამიც შეგერ-  
ჯება.

თუ მოიგონებთ იმას, რასაც თავდაპირველად გეუბ-  
ნებოდით, უნდა დამეთანხმოთ, რომ, მართალია, სამოქა-  
ლაქო ომი დავასრულეთ შეიარაღებულ ფრონტზე, მაგ-  
რამ ჯერ არ დაგვისრულებია ომი სოციალიზმის მოპო-  
ებისათვის ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ სამეურნეო ფრონტზე  
ვაწარმოებთ ამ ომს. როგორ ეპყრობიან წითელარმიელს,  
თუ მან საომარ პირობებში მიატოვა ფრონტი? ამისათ-  
ვის მას ხვრეტენ და არ ეკითხებიან, თუ რისთვის მიატო-  
ვა ფრონტი. როცა იგივე წითელარმიელი სამოქალაქო  
ომის პერიოდში გაანიავენს სამხედრო ქონებას, ამისათ-  
ვის რა ემარაება მას? თუ, ვთქვათ, დაიკარგა ვაზნები,  
რომლებითაც საბჭოთა ხელისუფლების მტრები ნად-  
გურდებიან, ამისათვის რას უშვებიან მას? ამისათვის მას  
გადასცემენ სამხედრო-საველე სასამართლოზე. ახლა,  
როდესაც ომს ვაწარმოებთ ჩვენი მეურნეობის აღდგენის  
ფრონტზე, როცა აქ ყლაპავენ, იტაცებენ მილიონებს, რა

არის ეს, თუ არა სოციალიზმის ღალატი? მას არ შეიძლება სხვა რაიმე ეწოდოს. თუ ვილაპარაკებთ ნამდვილად, ბოლშევიკურად, კომუნისტურად, — არ შეიძლება სხვა კვალიფიკაცია მიეცეს ამას. პლენუმის შემდგომ ცენტრალური კომიტეტიც ყოველმხრივ აწვება საქმის ამ მხარეს და გვავალებს მთელი ჩვენი ყურადღება მივაპყროთ და მთელი ძალები მივმართოთ ამ საქმისადმი.

მე ვფიქრობ, რომ ჩემს მიერ ნათქვამი საკმარისია იმისათვის, რათა გავიგოთ, რომ ჩვენს წინაშე ისეთი ამოცანა დავაყენეთ, რომლის გადაჭრაც უსათუოდ შესაძლებელია. ამ ამოცანის გადასაჭრელად ობიექტური პირობები გვაქვს, და ყველაფერი დამოკიდებული იქნება მხოლოდ იმაზე, თუ ჩვენ და თქვენ რამდენად შევძლებთ ამ ამოცანის ათვისებას ისე, როგორი ათვისებაც შეჭფერის ლენინელს, ბოლშევიკს, კომკავშირელს. სხვა დანარჩენი პირობები კი არის, მიუხედავად იმ სიძნლევებისა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას. თუ ჩვენ შევძლებთ მთელი საზოგადოებრივი აზრის — პარტიული და საბჭოთა დაწესებულებებისა და სხვ. აზრის მობილიზაციას ყველა იმ საკითხის გარშემო, რომლებიც მე დავაყენე, ამ ამოცანის გადაჭრას ჩვენ უდაოდ შევძლებთ.

## კომკავშირის როლი სოციალისტური მშენებლობის ფ რ მ ნ ბ შ ი

მე არ მინდა ქათინაურები გელაპარაკოთ, უნდა ვთქვა (ეს ჩემი პირადი შეხედულებაა), რომ კომკავშირს აქ შეუძლია უფრო დიდი როლი ითამაშოს, ვიდრე სხვა ვინმეს, და აი რატომ: თქვენ დიდი სურვილი გაქვთ, თქვენ დიდი შესაძლებლობა გაქვთ, თქვენ ათვისების დიდი უნარი გაქვთ, დიდი მგრძნობიარება, დიდი ენერ-

გია, დიდი აღფრთოვანება, აქ კი საჭიროა ყველაფერი გამოიყენო: აქ საჭიროა ცივი გონიერებაც, აქ საჭიროა თავშეკავებაც, აქ საჭიროა ტემპერამენტიც, აქ საჭიროა რევოლუციური აღფრთოვანებაც, — სხვაგვარად ამ ამოცანას ვერ შევასრულებთ, სხვაგვარად ვერ გადავჭრით საკითხს, რომელიც ჩვენს წინაშე დგას.

შეუძლია თუ არა კომკავშირს თავი გამოიჩინოს ისე, როგორც მას უნდა? მე მგონია, რომ შეუძლია. ამჟამად ლენინგრადში არა მარტო კომკავშირელები, არამედ თქვენი ხნის ახალგაზრდები (ეს უფრო ფართოა, ვიდრე მარტო კომკავშირელების აღება) მთელი მოსახლეობის 20 — 25 პროცენტს შეადგენენ, ეს კი — დიდი რაოდენობაა, ეს უდიდესი ძალაა, რომელსაც უდიდესი საქმის გაკეთება შეუძლია. და აი, აქ, ჩემის აზრით, აუცილებელია გაშალოთ არა ნაკლები, არამედ მეტი მუშაობა, ვიდრე ის, რომელსაც ჩვენი პარტია შლის. პირველ ყოვლისა თქვენ იცით, რომ სოციალიზმის მშენებლობის საქმეში გარდა ყველაფერი იმისა, რაც მე ვთქვი, რაც ჩვენს საერთო ამოცანას წარმოადგენს, საჭიროა აღვზარდოთ, გავზარდოთ სოციალისტური მეურნეობის, სოციალისტური მუშაობის კომანდირები. უმთავრესად და უკეთესად საიდან უნდა მივიღოთ ისინი? თქვენგან. ეს სამუშაო გათვალისწინებულია, რა თქმა უნდა, არა დღევანდელი დღისათვის, არა უახლოესი თვეებისათვის, არამედ, როგორც ეს ჩანს იმ ციტატიდან, რომელიც ლენინიდან მოგიყვანეთ, წლებია საჭირო, სანამ მძიმე ინდუსტრიას შევქმნიდეთ. ამ წლების შემდეგ თქვენ, მთელი თქვენი თაობა, მოზრდილი ხალხი იქნებით. თქვენ უნდა შეასრულოთ ძირითადი ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშეა დასახული. ის თაობა, რომელიც მივა ამ საკითხის გადასაჭრელად, პროგრამას

დასაბაკს, შავ სამუშაოს შეუღლება, ყველაზე მთავარი სამუშაო, მუშაობის ყველაზე დიდი შინაარსი თქვენა გზედებათ. აქ საჭიროა ურთერთ ქათინაურებიდან გადავიდეთ იმაზე, რომ მოგცეთ ყველაზე მთავარი საბრძოლო ლოზუნგი — ლოზუნგი თქვენი სწავლის გაძლიერებისა, არა სწავლისა საერთო მნიშვნელობით, არამედ საწარმოო სწავლისა: საფაბრიკო-საქარხნო მოსწავლეობისა, ბრიგადული მოსწავლეობისა, ყველა სხვა სახის მოსწავლეობისა. აქ თქვენ უნდა გამოაეღინოთ სიმტკიცისა და სიბეჯითის მაქსიმუმი, რადგან თქვენ სხვა შესაძლებლობა არა გაქვთ გახდეთ ჩვენი მრეწველობის ნამდვილ წითელ კომანდირებად. ჩვენ ხომ აქედან, თქვენი რიგებიდან, ავიყვანთ ამ კომანდირებს.

შემდეგი საქმე, რომელსაც არ შეიძლება გვერდი აუაროთ, რომელსაც თქვენ უნდა შთაბეროთ ახალი სული, — ეს არის, ამხანაგებო, საწარმოო თათბირები. ჩვენ ვიცით ამ მუშაობის ყველა უარყოფითი მხარე, ვიცით ზოგიერთი სამეურნეო მუშაკის არასწორი შეხედულება ამ სამუშაოზე. ყველაფერი უნდა შეტრიალდეს. ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ამ საქმეში კომკავშირელები უნდა იქნენ ჩაბმული, ყოველმხრივ უნდა იქნენ ჩაბმული.

შემდეგ, ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ ქალაქი სოფელთან ხელიხელჩაკიდებული უნდა წავიყვანოთ. მხოლოდ ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე შევძლებთ ნამდვილად, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, განვაქტივოთ მუშათა და გლეხთა სამეურნეო-ეკონომიური კავშირი. მე ხომ ბევრი გელაპარაკეთ იმის შესახებ, რომ გლეხთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას შევძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინდუსტრიას ავამაღლებთ. და თქვენ, როგორც ინდუსტრიალიზაციის გამტარებელი, ნამდვილ მტკიცე კავშირში უნდა იყოთ სოფელთან,

თქვენ უნდა იყოთ ამ კავშირის ძირითადი შემამქიდრო-  
ებელი დულაბი.

და, ბოლოს, ამხანაგებო, ჩვენთვის აუცილებელია  
მხედველობაში ვიქონიოთ ის პირობები, რომლებშიაც  
ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით, როცა ათჯერ უნდა გავზო-  
მოთ, სანამ დაეხარჯადეთ თვითეულ კაპიკს. ამან გამობ-  
მაურება უნდა ჰპოვოს თქვენს კომკავშირულ მუშაობა-  
შიც. თქვენ ასევე უნდა გამოავლინოთ უდიდესი დამ-  
ზოგველობა, არა თქვენი თავის მხრივ, რა თქმა უნდა,  
არამედ იმ ორგანიზაციაში მთლიანად, რომელსაც ახალ-  
გაზრდობის კომუნისტური კავშირი ეწოდება. თქვენი  
მუშაობის ყოველი დარგი, ისევე, როგორც ჩვენი, პარ-  
ტიული, განხილულ უნდა იქნეს დამზოგველობისა და  
ეკონომიის თვალსაზრისით, რომ ყოველმა კაპიკმა ახა-  
ლი საბჭოთა კაპიკი მოგვეცეს.

დასასრულ, ამხანაგებო, მე მინდოდა თქვენთვის მეთ-  
ქვა იმის შესახებ, რომ რაც არ უნდა დაგიჯდეთ, თქვენ  
უნდა ეცადოთ იმას, რომ სანიმუშონი გახდეთ, როგორც  
ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებელნი. ახალგაზრდა  
მუშა უნდა გახდეს ამ საქმის მოთავე. თუ ამ ამოცანის  
განხორციელება მოვახერხეთ, — ცოდვა გატეხილი სჯო-  
ბია, ამისგან ჩვენ ჯერ შორსა ვართ, — ჩვენ უფრო ად-  
ვილად და უფრო სწრაფად გადაეჭრით ჩვენს წინაშე  
მდგარ სხვა საკითხებნაც.

მე შევეცადე მომეგროვებინა ციფრები მოზრდილი  
მუშებისა და ახალი თაობის მუშაობის უარყოფითი მხა-  
რების შესახებ. აქ ძნელია თქვა ვინ ვის უსწრებს. ავი-  
ლოთ გაცდენები, რომლებიც მეტად მტკივნეულ კვალს  
აჩვენებენ ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებს, აქაც პირდაპირ  
უნდა ითქვას, ძნელია გაერკვე ვინ ვის უსწრებს, — მო-  
ხუცებულები ახალგაზრდებს, თუ ახალგაზრდები მოხუ-

ცებს. ერთს შემთხვევაში ერთი უსწრებს, მეორე შემთხვევაში—პირიქით, მაგრამ საერთოდ ერთიერთმანეთისაგან შორს არ მიდიან. კომკავშირელები უნდა აღვზარდოთ ისე, რომ იქიდან მივიღოთ ჩვენი სამეურნეო დარგის ახალი წითელი კომანდირები. კომკავშირელი ნამდვილ მოწინავე მუშად უნდა გახადო ფაბრიკასა და ქარხანაში. თუ ეს არ გავაკეთეთ, პირდაპირ ვიტყვი, ჩვენ დიდი მუქარის ქვეშ დავაყენებთ მთელს ჩვენს შემდგომ მუშაობას. თუ ვერ გამოვნახეთ საშუალება და შესაძლებლობა, რათა კომკავშირის აღზრდა დავაყენოთ ისე, რომ ფაბრიკასა და ქარხანაში ისინი სანიმუშოანი იქნენ, სოციალიზმის საქმე მუქარის ქვეშ აღმოჩნდება. ეს უნდა გავიგოთ და ამისათვის ყველა ის საკითხი, რომელიც აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამოძინარეობს, ათვისებულ უნდა იქნას პარტიის ყოველი წევრის მიერ, ყოველი კომკავშირელის, ყოველი მუშის მიერ, როგორც ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამაში ოდნავი ეჭვიც არ არის, რადგანაც ინდუსტრიალიზაციის დარგში მიუღწევლობა ნიშნავს მიუღწევლობას სოციალიზმის მშენებლობის დარგშიც.

მეორე, რაც აქედან გამომდინარეობს: თუ ახალი თაობა, რომელიც გაიზარდა რევოლუციის მომდევნო პერიოდში, პერიოდში, რომელიც ახლა მიჩნეულია სოციალისტური მეურნეობის ორგანიზაციის გადამწყვეტ შემობრუნებად, თუ ეს ახალგაზრდა კადრები თავისი უნარისა და შესაძლებლობის მთელი ასი პროცენტით არ აითვისებენ ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანებს, თუ ვერ აითვისებენ ამ ამოცანების მაქსიმალურად გადაწყვეტის მნიშვნელობას, — იმ შემთხვევაში, ამხანაგებო, ჩვენ თქვენთან ერთად სოციალიზმს ვერ ავაშენებთ.

დაბოლოს, ამხანაგებო, უკანასკნელი, ყველაზე მთავარი, ყველაზე უმაღლესი, ყველაზე ძირითადია — ჩვენი საკუთარი რიგების ერთიანობა. მე თქვენ გითხარით, რომ სოციალიზმს ვერ ააშენებ მარტო კომუნისტებისა და კომკავშირელთა ხელებით, — სოციალიზმი შეიძლება აშენდეს მხოლოდ მშრომელთა ხელებით; ეს თქვენ მშვენივრად იცით, მაგრამ ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ერთი აუცილებელი პირობით — ჩვენი რიგების ერთიანობით. თუ კომუნისტების, კომკავშირელების, მშრომელთა ავანგარდის რიგები, ამათუიმ გავლენით, შედრკება, თუ ჩვენი საკუთარი რიგები შეირყევა, — მაშინ სოციალიზმის მშენებელ მშრომელთა ათეულ მილიონებშიც დაიწყება რყევა. იმისათვის, რომ წარმატებით ვაშენოთ სოციალიზმი, იმისათვის, რომ ნამდვილად განვახორციელოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით, საჭიროა ჩვენს კომუნისტურ, კომკავშირულ ოჯახში ყოველი ძალღონე ვიხმაროთ, როგორც ამას აქამდე ვაკეთებდით და როგორც ლენინმა გვიანდერძა, მთელი ძალღონე გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ჩვენი პარტიის რიგები მართლაც რკინისებური იყოს, რომ ჩვენი შეგნება ფოლადისებური იყოს ლენინის ანდერძის მტკიცედ გატარებაში. ამას თუ შევასრულებთ, ავაგებთ ინდუსტრიას, მოვაწყობთ სოციალიზმს (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

ს. მ. კიროვის „წერილები, სიტყვები, დოკუმენტები“, ტომი III, გვ. 153 — 175, პარტგამომცემლობა, 1936 წ.

# წინ — აღმშენებლობისაკენ, სწავლისაკენ, ახალი გამარჯვებებისაკენ

მოხსენება საკ. ალკა ლენინგრადის პირველ საოლქო.  
კონფერენციაზე 1928 წლის 26 აპრილს

ამხანაგებო, უწინარეს ყოვლისა ნება მომეცით სალა-  
მი გადმოგცეთ ლენინგრადის ჩვენი კომუნისტური ორგა-  
ნიზაციიდან. ნება მომეცით, ამხანაგებო, ექვი არ შემე-  
პაროს იმაში, რომ ჩვენს ახლანდელ კონფერენციაზე  
თქვენ შესძლებთ სწორად შეაჯამოთ თქვენი მუშაობის  
განვლილი გზა და ახალი გზები დასახოთ კომკავშირის  
ორგანიზაციისა და სოციალისტური მშენებლობის შემ-  
დგომი განმტკიცებისათვის.

**„მუდგომი“ მშენებლობისათვის და ომისათვის მზადება**

ჩვენი საბჭოთა კავშირი განუწყვეტლივ ძლიერდება  
მშენებლობის ყოველ დარგში. ეს გარემოება კიდევ უფ-  
რო დიდ მუქარას წარმოადგენს კაპიტალიზმის შემდგო-  
მი არსებობისათვის. კაპიტალისტურ ბურჟუაზიას მშვე-  
ნივრად ესმის და არ შეუძლია არ ესმოდეს ის პერსპექ-  
ტივები, რომლებიც მას ემუქრება საბჭოთა კავშირის  
შემდგომი განმტკიცების შემთხვევაში.

პარლამენტის საარჩევნო კამპანიები და სოციალისტებისა და ბურჟუაზიული პარტიების ბლოკი, კომუნისმის წინააღმდეგ მიმართული, გერმანიის ბურჟუაზიის<sup>14</sup> მიერ დაპროექტებული, წითელ ფრონტელთა კავშირის დახურვა, პოლიციის ტერორი მუშებისა და კომპარტიის წინააღმდეგ — ყოველივე ეს მოწმობს კლასობრივი ბრძოლის განსაკუთრებულ გამწვავებას კაპიტალისტურ ქვეყნებში. ბურჟუაზია ისწრაფვის შეასუსტოს მუშათა კლასის ძალა იმისათვის, რომ ომის შემთხვევაში უზრუნველყოფილი ჰქონდეს ზურგი. ჩვენ ვხედავთ სრულიად ღია, აშკარა მუშაობას, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, მიმართულია მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნების გაერთიანებისაკენ იმ სასიკვდილო საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად, რასაც, ბურჟუაზიის აზრით, საბჭოთა კავშირი წარმოადგენს ბურჟუაზიის არსებობისათვის. იმისათვის, რომ პროლეტარული ფართო ფენებისა და გლეხთა მასების ყურადღება მიაძინოს იმ მზადებისადმი, რომელსაც ბურჟუაზია აწარმოებს, წამოყენებულ იქნა ახალი მანევრი. თქვენ იცით, რომ ამერიკასა და საფრანგეთში აღმოცენდა „მუღმივი“ მშვიდობიანობის<sup>15</sup> პროექტი. და ამასთან ერთად, სწორედ ახლა წარმოებენ მოლაპარაკება ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის კავშირის შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

იყო დრო, რამდენიმე თვის წინათ, როცა პარტიამ და მთავრობამ არა მარტო ჩვენს ქვეყანას, არამედ მთელს მსოფლიოს აშკარად უთხრეს ომის საფრთხის შესახებ, რაც პროლეტარიატის დიქტატურას ემუქრება. ჩვენ ავამოძრავებთ მუშათა და გლეხთა მასები, ჩვენი ახალი ყურადღებით ჩავაბით ჩვენი ძალები ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის საქმეში. მის შემდეგ ბევრი თვე გავიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრს მოეჩვენა, თითქოს ის საფ-

რობე, რომლის შესახებაც ჩვენი პარტია და მთავრობა გვაფრთხილებდნენ, დღის წესრიგიდან მოიხსნა. ეს აბსოლუტურად არაა სწორი. შეიცვალა მხოლოდ ხერხები და მეთოდები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მზადებისა, მაგრამ ინგლისის იმპერიალიზმის ხელმძღვანელობით მზადება კიდევ უფრო ფართო ფრონტით წარმოებს. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ გერმანია მრავალნაირი მცდუნებელი დაპირებების გავლენით გადადის გამარჯვებულ სახელმწიფოთა მხარეზე, ინგლის-საფრანგეთის მხარეზე, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით. საერთაშორისო მდგომარეობა ამჟამად იმგვარია, რომ ჩვენი მტრების მხრივ ჩვენს წინააღმდეგ მიმართულ გართულებებს ყოველ წუთს შეიძლება ველოდეთ.

### სამართაშორისო პროლეტარიატის მოგილიზაცია ახალი ბრძოლებისათვის

მშვიდობიანობის პოლიტიკამ, რასაც საბჭოთა კავშირი ატარებს, სერიოზული გართულებები შეიტანა და შეაქვს იმპერიალისტურ გეგმებში. ჩვენ საყოველთაო და სრული განიარაღების<sup>13</sup> რადიკალური პროექტი შევთავაზეთ ყველა სახელმწიფოს უნებავში. ჩვენ, რა თქმა უნდა, არც ერთ წუთს არ დავექვებულვართ, რომ უნებავში წარმოდგენილი არც ერთი სახელმწიფო არ დაგვეთანხმებოდა ამ საქმეზე. მაგრამ ჩვენ მაინც წარვადგინეთ ეს პროექტი, და როცა იგი უარყოფილ იქნა, ჩვენ ვუთხარით: თუ საყოველთაო განიარაღება ამჟამად ხელს არ გაძლევთ, თუ არ გინდათ დასთანხმდეთ ამ რადიკალურ რეფორმაზე, ჩვენ მზადა ვართ შევთავაზოთ ნაწილობრივი განიარაღებათქო. ამ ნაბიჯით, რომელიც ასევე უარ-

ყოფილ იქნა, ჩვენ საბოლოოდ გამოვააშკარავეთ ის ყალბი კარტები, რომლებითაც უნევეაში ჩამოვიდნენ იმპერიალისტური წარმომადგენლები; და უნდა ითქვას, რომ ჩვენი დიპლომატიის მუშაობამ უნევეაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. არა მარტო მუშებზე, არამედ ყოველგვარ შუალედ ფენებზე მთელს ევროპასა და ამერიკაში.

არ შეიძლება, აგრეთვე, არ აღინიშნოს ისიც, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ყველა ქვეყანაში ვამჩნევთ კომუნისტური პარტიების უდაო ზრდას, საბჭოთა კავშირი სადში სიმპათიების უდაო ზრდას. კომუნისტურმა ინტერნაციონალმა აღმასკომის<sup>14</sup> უკანასკნელ პლენუმზე, საერთაშორისო მდგომარეობასა და კაპიტალისტურ ქვეყნებში კლასთა ბრძოლის გამწვავებასთან შეფარდებით, სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ უფრო მკაცრი, კიდევ უფრო შეურიგებელი ხაზი შეიმუშავა. ეს გეზი ნიშნავს იმას, რომ კომპარტიისათვის საერთაშორისო პროლეტარიატში შეიქმნა განსაკუთრებული კეთილსასურველი პირობები, რომლებიც ეხმარება მათ მუშათა კიდევ უფრო ფართო მასები შემოიკრიბონ თავიანთი დროშების ქვეშ, ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

## მთელი ძალეგი კულტურულ-ბიჰნიკური ჩივოლუციის ს ა მ მ ს

მივმართავთ რა შინაგან ამოცანებს, პირველ რიგში ჩვენ უნდა განვამტკიცოთ ყველა ის პოზიცია, რომელიც ჩვენს სამეურნეო ფრონტზე გვაქვს.

ძირითადი ამოცანა — ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიულიზაცია — განსაკუთრებით ძნელი და რთულია. თქვენ იცით, რომ მიმდინარე წელს დიდ სიძნელეებს განვიც-

დით პურის დამზადების<sup>15</sup> საქმეში. გარდა მთელი რიგი შემთხვევითი მიზეზებისა, აქ არის საერთო მიზეზები, რომლებიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არასაკმაოდ სრულად, არასაკმაოდ მტკიცედ ვხელმძღვანელობთ ჩვენს მეურნეობას.

ჩვენ ყოველწლიურად უფრო მეტსა და მეტ სახსრებს გამოვყოფთ ჩვენი სახალხო მეურნეობის კაპიტალურ დაბანდებათა საქმისათვის.

შახტის საქმის<sup>16</sup> მაგალითზე ჩვენ აღმოვაჩინეთ უვიცად და შემცდარად ხარჯვა დიდძალი სახსრებისა, რომლებიც წყალში იყრებოდა. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩვენს პატრონობაში მთელი რიგი სერიოზული შეცდომებია. ჩვენ იმგვარ სიძნელეებს ვეჩეხებით, რომლებიც უფრო მეტ ცოდნას, უფრო მეტ გამოცდილებას საჭიროებენ. ჩვენი სააღმშენებლო მუშაობის წინსვლასა და განვითარებაში უზარმაზარ დაბრკოლებას წარმოადგენს ჩვენი წყვეული ისტორიული უკულტურობა. პირდაპირ უნდა ვთქვათ; ჩვენი მუშაობის ახლანდელი სტადიისათვის მართო პოლიტიკური მომზადება და პოლიტიკური შეგნება აღარ არის საკმარისი. აი ახლა ირკვევა, როცა ჩვენა და თქვენ გვაქვს სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც 6 მილიარდ ოქროს მანეთს შეიცავს, როცა ჩვენა და თქვენ სააღმშენებლო სამუშაოებს ვსახავთ, რომლებიც შეფასებულია ათეულ მილიონად, როცა ჩვენ ვაჩაღებთ ისეთ მშენებლობას, როგორცაა უკრაინის დნეპრომშენი, როცა ჩვენ შევეუდგებით ჩვენი სვირის სადგურის აშენებას, როცა აქ, ლენინგრადში, გადავდივართ „კრასნი პუტილოვეცის“ მოწყობაზე, რომლებზედაც, ყველაზე მინიმალური პროგრამით, დახარჯულ უნდა იქნეს 40 მილიონი მანეთი, — აი, სწორედ აქ იჩენს თავს ჩვენი ის საერთო ჩამორჩენილობა, რომლითაც, დიდად სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გამოვირჩევით.

ჩვენ მუშაობის ბევრ დარგში შევძელით მოგვემზა-  
 დებინა ჩვენი სამრეწველო მეურნეობის საკმაოდ გამოც-  
 დილი, საიმედო და მტკიცე ხელმძღვანელები, მაგრამ  
 უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი სამეურნეო მშენებლობის  
 დიდ უბნებზე, სრულიად გულახდილად რომ ვთქვათ,  
 ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ დავუზღვეთ ხელმძღვანე-  
 ლობას. ათი წლის განმავლობაში ჩვენ შევძელით ჩამოგ-  
 ვეყალიბებინა ახალი მოზარდი ძალების მომზადება,  
 მაგრამ სრულიად პირდაპირ და გულახდილად უნდა  
 ითქვას, რომ ეს მომზადება მიმდინარეობს, არც თუ ისე  
 წარმატებით, როგორც სასურველი იქნებოდა ჩვენთვის.  
 და აი აქ, ამხანაგებო, განსაკუთრებული გარკვეულობით  
 უნდა ჩანდეს ჩვენი კომკავშირის როლი. იმისათვის, რომ  
 უხელმძღვანელო რთულ წარმოებებს, ან სათავეში უდგე  
 დიდ მშენებლობას, გარდა სხვა ყველაფრისა, აუცილე-  
 ბელია გჭონდეს საფუძვლიანი ტექნიკური ცოდნა. უახ-  
 ლოესი წლების მანძილზე ჩვენ უნდა უკუვაგდოთ ის  
 მოვლენა, როცა ფაბრიკისა ან ქარხნის დირექტორი, ამა-  
 თუიმ რკინისგზის მმართველი, ამათუიმ მშენებლობის  
 გამგე მხოლოდ პოლიტიკურ კომისარს წარმოადგენს,  
 არამედ იგი უნდა გახდეს ამ საქმის ჭეშმარიტი, ნამდვი-  
 ლი ხელმძღვანელი. ამისათვის ჩვენ უნდა გადავხედოთ  
 ჩვენს მუშაობას ფაბრიკისა და ქარხანაში, ბეჯითად და  
 ყურადღებით ვადევნოთ თვალი დაწინაურებულობას,  
 სწავლის სისტემას და მოვაწყოთ ისე, რომ ყველაფერი  
 ეს წარმოადგენდეს ჩვენი მეურნეობის ახალ ხელმძღვა-  
 ნელთა ნამდვილ ლაბორატორიას. საქმის ამ მხარეზე,  
 უწინარეს ყოვლისა, უნდა მივაქციოთ ჩვენი პარტიის,  
 ჩვენი კომკავშირის, ჩვენი პროფესიონალური ორგანიზა-  
 ციებისა და მთელი ჩვენი სამეურნეო კადრების ყურად-  
 ლება.

მე არც ერთი წუთით არ მეპარება ექვი იმაში, რომ თქვენ თამამად და გაბედულად მიხვალთ ამ ამოცანის გადაჭრასთან, მაგრამ მაინც მინდოდა გამეფრთხილებინეთ, რომ ეს ამოცანა შეიძლება გადაწყვეტილ იქნას მხოლოდ უდიდესი დაძაბულობის საფუძველზე. კომკავშირში მთელი ფრონტით უნდა ჩავატაროთ კულტურული მუშაობა. ავიღოთ ისეთი რგოლი, როგორცაა, ვთქვათ, ჩვენი მეორე საფეხურის სკოლა, რომელიც გვიწინადებს ხვალინდელ სტუდენტებს, ინჟინრების, ტექნიკოსების, ექიმების, აგრონომებისა და სხვათა ხვალინდელ კანდიდატებს. თითქოს კომკავშირსა, — მოზარდ თაობაში ჩვენი პარტიული გავლენის ამ უდიდეს გამტარებელსა, — და მეორე საფეხურის სკოლას შორის განუწყვეტელი კავშირი უნდა იყოს. მაგრამ არის თუ არა ეს ჩვენთან? მე ვფიქრობ, რომ არ არის. რა თქმა უნდა, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ, უწინარეს ყოვლისა, კულტურულ-აღმზრდელობით მუშაობას კომკავშირის რიგებში. ამის შესახებ, როგორც იცით, ყოველ კონფერენციაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ნება მომეცით მაინც გითხრათ, სინიღისის ქვეშ, რომ ამის შესახებ ლაპარაკით ბევრს ვლაპარაკობთ, საქმე კი ამ მხრივ არ მიდის ისე სწრაფად, როგორც ჩვენ გვინდა. როდესაც ჩვენი კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობას ვათვალისწინებთ, ვხედავთ შემოქმედებით — აღმშენებლობითი მუშაობის ძალიან ბევრ განსაკუთრებულ მაგალითს. მაგრამ ცოდნა გატეხილი სჯობს — ძალიან ხშირად აბრკოლებს მუშაობას ურაპატრიოტული განწყობილება და საშუალებას არ გვაძლევს დავინახოთ მუშაობის ყველა სუსტი მხარე.

## მანიანალოგასა და გადაგვარებას აღზილი არ უნდა ჰქონდეს კომკავშირში

თქვენ იცით, თუ რა განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობაში ჩავყარდით გარღვევის გამო, რომელიც პურის დამზადების ხაზით მოხდა. თქვენ იცით, რომ ამ ახალი დაბრკოლებების გადასალახავად საჭირო იყო მიგველო მთელი რიგი განსაკუთრებული ღონისძიებები. მთელი ჩვენი პარტიულ-კომკავშირული და საბჭოთა აპარატი სოფლისაკენ დავძარით. და აი მაგალითებიც, რომლებისთვისაც შორს წასვლა არ გვჭირდება: ვთქვათ, ჩვენთან, ლენინგრადის ოლქში, იმასთან ერთად, რომ კომკავშირელები პიონერებს წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადების აკრეფის, სელის დამზადებისა და სხვ. საქმეში, ჩვენ ისეთი შემთხვევებიც გვქონდა, როცა არც თუ ისე შორს, მიყრუებულს კი არა, საკმაოდ კეთილმოწყობილსა და მახლობელ ადგილებში, ზოგიერთი კომკავშირელი სოფლის კულაკობის ბანაკში აღმოჩნდა, კულაკობისა, რომელიც აგიტაციას ეწეოდა საგლეხო სესხის გადასახადთა გადახდისა და მთავრობისათვის სელის ჩაბარების წინააღმდეგ. მაგრამ იქნებ თქვან, რომ ეს სოფელში იყო, ქალაქში კი საქმე ბრწყინვალედ გვაქვსო. ირკვევა, რომ საქმე არც ქალაქშია მაინცდამაინც ბრწყინვალედ. ირკვევა, რომ ისეთი განსაკუთრებული საპასუხისმგებლო კამპანიის დროს, რომელსაც ჩვენა და თქვენ ვატარებთ ფაბრიკასა და ქარხნებში — კოლხელშეკრულებების ხელმეორედ დადებისა და ხელფასის რეფორმის დროს, თავისი მდგომარეობის სიმალეზე აქაც ვერ აღმოჩნდა ზოგიერთი კომკავშირელი. კოლხელშეკრულებების ჩატარების დროს ცალკეული კომკავშირელები, დახმარების ნაცვლად, ხშირად ართუ-

ლებდნენ ჩვენს საერთო მუშაობას, ან კიდევ სრულიად უმოქმედონი იყვნენ.

მე უკვე აღარ ვლაპარაკობ იმის შესახებ, თუ როგორ გვიჭირს სწავლის, საწარმოო კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინის ამალლებისა და სხვა მხრივ მრავალგვარი დაბრკოლების გადალახვა. ამ დაბრკოლებების გადალახვას ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ ყოველი ჩვენგანი თავისთავს გარკვეულ ანგარიშს მისცემს იმაში, რომ ყოველდღიურ სოციალისტურ მუშაობაში იგი ნამდვილად უნდა წარმოადგენდეს დიადი საქმის შემოქმედსა და შემქმნელს.

### წინ — აღმშენებლობისაკენ, სწავლისაკენ, ახალი გამარჯვებებისაკენ

ჩვენ გვეჭირდება ყოველი ცოცხალი არსების გამოღვიძება ჩვენს ქვეყანაში. კრიტიკა და თვითკრიტიკა მასების მობილიზაციის უდიდეს ბერკეტს წარმოადგენს. ჩვენ თითქოს ადვილად და უბრალოდ ვითვისებთ ამ ლოზუნგს, რომელიც დიდ პლუსებს გვაძლევს ჩვენს შემდგომ მუშაობაში. ყოველგვარი ნაკლოვანებათა ეს კრიტიკა მაქსიმალურად უნდა გავშალოთ ჩვენს ქვეყანაში; ყოველ კრიტიკას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, მხოლოდ მაშინ აქვს ნამდვილი შემოქმედებითი რევოლუციური მნიშვნელობა, როცა ამ კრიტიკის პროცესში ჩვენი ნაკლოვანებები გამოსწორდება. ბოლშევიკური კრიტიკა სამოქალაქო იარაღია. თუ მას გამოვიყენებთ სოციალისტური მშენებლობის ინტერესებისათვის, ჩვენ უფროდაუფრო მეტ მასებს შემოვიკრებთ ახალი ცხოვრების, ახალი სოციალისტური საზოგადოების შექმნის გარშემო. შემოწმებული გზით მივდივართ გამარჯვებისაკენ, ჩვენ ვეჩეხებით სერიოზულ სიძნელებებს.

ჩემი აზრით, ჩვენი წარსული მუშაობა მოწმობს იმას, რომ ჩვენს წინაშე მდგარი მორიგი ამოცანების გადაჭრასაც იმავე წარმატებით შევძლებთ, როგორც წარსული ათი წლის განმავლობაში ვწყვეტდით უმძიმეს, უდიდეს ამოცანებს.

თქვენ პატივისცემით ატარებთ ბელადის იმ დიად სახელს, რომელიც თქვენა გაქვთ მიკუთვნებული, თუ შესძლებთ განაგრძოთ ის უზარმაზარი სამუშაო, რომელიც ათზე მეტი წლის წინათ დაიწყო.

ახალ რეღსებზე ვაყენებთ რა მუშაობას, მოვეუწოდებთ ყველას, ვინც ყველაზე საუკეთესოა ჩვენს ქვეყანაში: წინ — მშენებლობისაკენ, სწავლისაკენ, კულტურისაკენ, გამარჯვებებისაკენ! (მ ქ უ ხ ა რ ე ო ვ ა -  
ც ი ე ბ ი, „ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს“ ს ი მ -  
ლ ე რ ა).

„ლენინგრადსკაია პრავდა“, № 99 (3905),  
1928 წლის 28 აპრილი.

# მთელი გაქანებით მივდივართ ინდუსტრიალიზაციის გზით სოციალიზმისაკენ

მოხსენება საკ. ალკკ ლენინგრადის მეორე საოლქო კონფერენციაზე  
1929 წლის 25 ნოემბერს

ამხანაგებო! ნება მომეცით თქვენს კონფერენციას გადაეცე მხურვალე სალაში და წარმატებების სურვილები ჩვენი კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის სახელით! (ტ ა შ ი).

ამხანაგებო! მე დავალებული მაქვს მოხსენება გაგიკეთოთ ჩვენი კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ. თქვენ ყველამ იცით, რომ ეს თემა, — განსაკუთრებით ახლანდელ პირობებში, — იმდენად რთულია, რომ მოხსენებაში იმის ამოწურვა, ჩემის აზრით, შეუძლებელია. ამიტომ საჭირო გახდება შემოვიფარგლოთ ამ პერიოდის ძირითადი, მთავარი და დამახასიათებელი თვისებებით.

თქვენი კონფერენცია თითქმის დაემთხვა ცენტრალური კომიტეტის<sup>17</sup> ამასწინათ ჩატარებულ პლენუმს, რომელმაც უმნიშვნელოვანესი სამეურნეო ამოცანები გადაწყვიტა.

ძირითადი, რაზედაც აუცილებელია ბეჯითად მივაპყროთ როგორც პარტიისა და კომკავშირის, აგრეთვე მთელი მუშათა კლასის უდიდესი ყურადღება, ეს არის ხუთწლიანი გეგმის დიდი სამუშაოს განხორციელება. იმისდამიხედვით, რამდენად შევასრულებთ ჩვენს ხუთწლიან გეგმას, ჩვენ დავეუახლოვდებით სოციალისტური წესწყობილების დამყარებას ჩვენს ქვეყანაში. მე თქვენ არ დაგიხასიათებთ ამ ხუთწლედს. მე ვფიქრობ, რომ ყოველი კომკავშირელი, თუნდაც ძირითადი სახით, უნდა იცნობდეს მას.

როდესაც ხუთწლიანი გეგმის ძირითად დებულებებს ვიმუშავებდით, ჩვენს პარტიაში იყვნენ ისეთი ცალკეული ამხანაგები, რომლებიც დიდ ექვს გამოთქვამდნენ: ძალიან შორს ხომ არ შევეტოპეთ სოციალისტური მშენებლობის საქმეში, იმ დაბანდებებში, რომლების წარმოებასაც ჩვენ ვაპირებთო.

ხუთწლედის პირველმა წელმა ბრწყინვალედ დაგვიდასტურა იმ დებულებების სისწორე, რომელიც, ვხელმძღვანელობდით რა ვლადიმერ ილიჩის ანდერძით, საფუძვლად დავედეთ ხუთწლედის გეგმას.

მემარჯვენე უკლონისტები არა მარტო თეორიულად, არამედ თვით ცხოვრებისაგან, თვით რევოლუციისაგან, მუშათა კლასის მთელი მუშაობისაგან იქნენ გაცამტვერებულნი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი პარტიის ისტორიაში თითქმის არც ერთ ოპოზიციას არ განუცდია ისეთი მძაფრი დამარცხება, როგორიც ჩვენმა პარტიამ მიაყენა ამ ახალ მემარჯვენე ოპოზიციას პარტიის შიგნით.

ხუთწლედის პირველი წლის მაჩვენებლები, თითქმის ყველა, და მცირე გამონაკლისისა, ლაპარაკობს იმის შე-

სახებ, რომ ჩვენ არა მარტო იმას ვასრულებთ, რაც დავისახეთ, არამედ, უმთავრეს შემთხვევაში, ვაქარბებთ კიდევც. და შემთხვევითი როდია, ამხანაგებო, რომ ხუთწლედის მეორე წელს მუშათა კლასიდან უფრო ხშირად და ხშირად გვესმის ლოზუნგი: „შევასრულოთ ხუთწლენი ოთხ წელში!“.

მე ვფიქრობ, რომ ამ ლოზუნგს კომკავშირელებიც საკმაოდ ენერგიულად უჭერენ მხარე. ერთი წლის მუშაობის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ, მიუხედავად ჩვენი სოციალისტური მშენებლობის დაძაბული ტემპებისა, რაც ჩვენ განვსაზღვრეთ ხუთწლიან გეგმაში, არა თუ ვუძლებთ, არამედ გადავამეტეთ კიდევც ამ ტემპებს. თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმ ძირითად მაჩვენებლებზე, რომლებიც ახასიათებს ხუთწლედის მეორე წელს.

თუ ხუთწლედის პირველმა წელმა მოგვცა საერთო პროდუქციის 23 პროცენტი ნამატი მრეწველობაში, ჩვენი სახალხო მეურნეობის ძირითად ხერხემალში. ხუთწლედის მეორე წელს ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს საერთო პროდუქციის გაზრდა 32 პროცენტით. ხუთწლედის მეორე წელს 42 პროცენტით ვზრდით წარმოების საწარმოო საშუალებებს. ხუთწლედის მეორე წლის შედეგად ვფიქრობთ 91 პროცენტით გავზარდოთ ჩვენი მრეწველობის საერთო პროდუქცია, ე. ი. თითქმის ორჯერ მეტად ორი წლის განმავლობაში — გასული და მიმდინარე წლის განმავლობაში.

უნდა ითქვას, რომ ეს მაჩვენებელი ბევრად აქარბებს იმ პირველდაწყებით მონაცემებს, იმ პირველდაწყებით მიზანდასახულობას, რომელიც ჩვენ გვქონდა ხუთწლიან გეგმაში, როდესაც მას ვამტკიცებდით ერთი წლის წინათ; ჩვენი მრეწველობის კაპიტალურ სამუშაოებზე წელს

ჩვენ ვითვალისწინებთ 3,5 მილიარდი მანეთის თანხას. ყველა ეს მაჩვენებელი თვალსაჩინოდ მეტყველებს, რომ ჩვენ ნამდვილად ვაშენებთ სრულიად ახალ მეურნეობას, რომელიც ჩვენამდე არ ნახულა და არ გაგონილა. თუ ავიღებთ კაპიტალისტური ქვეყნების, მათ რიცხვში ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების, განვითარების თაფლის თვეს, მათ არასოდეს არ დასიზმრებიათ განვითარების ამგვარი ტემპები. და ეს გასაგებიცაა, ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ჩვენმა სოციალისტურმა მეურნეობამ ამოცანად უნდა დაისახოს არა თუ მარტო დაეწიოს კაპიტალისტურ ქვეყნებს, მათ რიცხვში ჩრდილო-ამერიკის შტატებს, არამედ გაუსწროს. ან კიდევ მეორე საკითხი: ჩვენ ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ დაინტერესებული ვიყავით საკითხით, თუ ვინ, რამდენს და რის გამო დადის ავტომობილით.

რევოლუციის მეთორმეტე წელს ჩვენს თავს ეს საკითხი სხვაგვარად დავუსვით: არა ის, თუ რამდენად ხშირად დადის მანქანით ესა თუ ის მუშაკი, ხელმძღვანელი, პროფესიონალისტი, პარტიული და კომკავშირელი. არამედ — თუ რაოდენ ცოტას, რა საშინლად ცოტას დადიან ჩვენს ქვეყანაში მანქანებითა.

თუ ჩვენ მართლაც გვინდა ავწიოთ ჩვენი მუშაობის ტემპი, მართლაც გვინდა ნამდვილად განვავითაროთ ჩვენი ინდუსტრია, — ჩვენ მთელი ძალღონით დავაწვეთ ავტომშენებლობას.

მიმდინარე სამეურნეო წელს ჩვენ ვითვალისწინებთ — მართალია ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია — ავტომშენებლობის გაშლას, თუგინდ ნიჟეგოროდის \* ქარხნისა,

---

\* ამჟამად ამხანაგ მოლოტოვის სახელობის გორკის ავტოქარხანა — რ ე დ.

რომელიც შენდება, რომელსაც დავავალეთ 140.000 მანქანის გამოშვება შესძლოს წელიწადში.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში, წითელი არმიის ძალოვანების გაძლიერების საქმეში უზარმაზარ როლს თამაშობს ჩვენს მეურნეობაში ქიმიის განვითარება. ეს ჩვენი სახალხო მეურნეობის ერთერთი მტკივნეული ადგილია. ამ საქმეზე, ხუთწლიანი გეგმისა და საკონტროლო ციფრების მიხედვით, უდიდეს სახსრებს გავიღებთ მიმდინარე წელს.

### სოფლის მშენებლობა — სოციალისტურ ჩელსეგზე

უფრო მძიმე მდგომარეობა გვაქვს ჩვენი სოფლის მეურნეობის საკითხში.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის ტექნიკის გადასხვაფერებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ უფროდაუფრო ავამაღლებთ ჩვენი ქალაქის ინდუსტრიის წამყვან როლს. სოფლის მეურნეობისათვის, ამ მიზნით, გათვალისწინებული გვაქვს სატრაქტორო მშენებლობისა და საერთოდ მანქანათმშენებლობის — თავბრუდამხვევი რომ არ ვთქვათ — გიგანტური მშენებლობის გაშლა. საკმარისია ითქვას მხოლოდ ის, რომ თუ აქ გავუძელოთ დასახულ ტემპებს, თუ არა მარტო განვახორციელებთ იმას, რაც გათვალისწინებული აქვს ჩვენს პუტილოვის ქარხანას, რომელმაც მომავალ წელს 20 ათასი ტრაქტორი უნდა მოგვცეს, თუ შევასრულებთ არა მარტო ამას, არამედ დავასრულებთ კიდევ სტალინგრადის ქარხნის მშენებლობას, თუ, გარდა ამისა ჩელიაბინსკში ავაგებთ მსხვილი ტრაქტორების ქარხანას, უკრაინაში ავაგებთ სატრაქტორო ქარხანას, — მაშინ არ

გავა დიდი დრო, რომ ნამდვილ რევოლუციას მოვახ-  
დენტ ჩვენს სოფლის მეურნეობაში.

ამ ქარხნების მუშაობის შედეგად სოფელს ჩვენ ყო-  
ველწლიურად მივცემთ მრავალმილიონ ცხენის ძალას.  
ამგვარად, თქვენ ხედავთ რომ ის, რაც ფანტაზიად ეჩვე-  
ნებოდათ მემარჯვენე ოპორტუნისტებს, ფანტაზიას არ  
წარმოადგენს. ირკვევა, რომ ამ დარგში არათუ დავეწე-  
ვით კაპიტალისტურ ქვეყნებს, არამედ უახლოეს ორ-სამ  
წელიწადში ჩვენ ინდუსტრიის ისეთ გიგანტებს გავშლით,  
რომლებიც თავისი სიდიდით ყველაფერ იმას გაუსწრე-  
ბენ, რაც დღევანდლამდე ჰქონიათ კაპიტალისტებს.

თუ ვილაპარაკებთ სოციალისტურ რევოლუციაზე  
სოფლად, მასთან მართლაც მხოლოდ ახლა მივედით ნამ-  
დვილად. თქვენ გახსოვთ, თუ ვლადიმერ ილიჩი ტრაქ-  
ტორზე როგორ ოცნებობდა, როცა ამბობდა: ასიათასი  
ტრაქტორი უნდა მივსცეთ სოფელს და იგი წავა კომუ-  
ნიზმისაკენო. ათწელიწადზე მეტი დაგვკირდა იმისათვის,  
ვიდრე სასოფლო-სამეურნეო მანქანებითა და, უწინარეს  
ყოვლისა, ტრაქტორით შეიარაღებულნი მართლაც მივი-  
დოდით რევოლუციამდე სოფლად. გადაუჭარბებლად  
შევვიძლია უკვე ვთქვათ, რომ ტრაქტორი უდიდეს რე-  
ვოლუციონერს წარმოადგენს სოფლად. და თუ ამ ტრაქ-  
ტორს უკვე უახლოეს წლებში ისეთ მანქანას მივაბამთ,  
რომელსაც კომბაინი ეწოდება და რომელიც კიდევ მკის,  
კიდევ ახარისხებს, კიდევ ანიავეებს და კიდევ. ლეწავს,  
ამასთანავე 126 კაცის მაგივრობას ეწევა, როცა პუტი-  
ლოვურ, სტალინგრადულ და უკრაინულ ტრაქტორზე  
ჩვენი საკუთარი წარმოების კომბაინს გამოვაბამთ, — ეს  
უკვე ჰეშმარიტ, საბოლოო რევოლუციას გამოიწვევს  
სოფლად. ყოველი სატრაქტორო კოლონა, რომელსაც  
მინდვრებში გაისეირნებს, გარდა იმისა, რომ იგი აფხვი-

ერებს მიწას, ტეხს ყამირს, უფრო ღრმად ხნავს ნიადაგს— იგი ათეულ და ასეულ კულაკს უდაოდ სასიკვდილო კრილობებს აყენებს ყოველდღიურად.

მიმდინარე წელს მიზნად ვისანავთ მთელს ჩვენ მრეწველობაში 25 პროცენტით გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება. გეგმის მიხედვით, 11 პროცენტით უნდა შევამციროთ ჩვენი პროდუქციის თვითღირებულება. ჩვენ ვფიქრობთ განუწყვეტელ კვირაზე გადავიყვანოთ სმუს-ის ზწყებაში შემავალი მრეწველობის მუშათა 75 პროცენტი. ყველა ეს მაჩვენებელი უდიდეს ვალდებულებებს გვაკისრებს ჩვენ: ამ მაჩვენებლების განხორციელების ხარისხზე იქნება დამოკიდებული ჩვენი ხუთწლიანი გეგმის განხორციელება.

ჩვენ ყველას კარგად გვესმის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების მნიშვნელობა და აუცილებლობა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში ჩვენ კარგ პროპაგანდისტებს წარმოვადგენთ, მაგრამ არასაკმაოდ კარგ პრაქტიკულ მუშაკებს.

ყველა ბერკეტი, რომელსაც ამჟამად ჩვენ ასე ფართოდ ვიყენებთ — სოციალისტური შეჯიბრება, ენთუზიზმის აღძვრა ჩვენი მუშაობის ხაზით, თვითკრიტიკის გაშლა — ყველაფერი უნდა იქნეს მობილიზებული იმისათვის, რომ ეს ძირითადი მაჩვენებლები შევასრულოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს.

ეს ამოცანა საკმაოდ ძნელია, იგი ძალების ახალ დაძაბვას მოითხოვს ჩვენგან, მაგრამ რომ გვერდი ავუაროთ მის გადაჭრას, ეს არასგზით არ შეგვიძლია. ჩვენს რაოდენობრივ მაჩვენებლებს რომ შევხედოთ და სასოფლო სექტორში სახალხო მეურნეობის განვითარებას, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ ათეულ პროცენტში გამოხატულ აღ-

მავლობას, და უნდა ითქვას, ვერც დავინახავთ მანამდე, სანამ ჩვენს სოფლის მეურნეობაში ნამდვილად არ მივიყვანთ მანქანების ფართო კოლონას. მაგრამ რაც ამჟამად გვაქვს, ისიც მეტყველებს იმას, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში ჩვენი პარტიის ხაზი უსათუოდ მთლიანად სწორია. მემარჯვენე ოპორტუნისტული ოპოზიციონერები განსაკუთრებით მჭერმეტყველურად ამტკიცებდნენ, რომ სოფლის მეურნეობის საკითხზე ჩვენ კარგად უნდა დავფიქრდეთ, რათა გათიშვა არ მოხდეს ინდუსტრიასა და სოფლის მეურნეობას შორის, რის შედეგადაც ჩვენ აუცილებლად დავდგებოდით გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის შესახებ ვლადიმერ ილიჩის მიერ დატოვებული ძირითადი ანდერძის ჩაშლის საფრთხის წინაშე. მიუხედავად ამისა, ყველაფერი, რაც კი ჩვენმა პარტიამ დაისახა, სრულიად სწორი აღმოჩნდა. გამოირკვა, რომ ჩვენი სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღდგენისათვის ჩვენს მიერ აღებული ხაზი და ყველაფერი ის, რაც ჩვენ დავისახეთ ამ მხრივ, ისეთ რევოლუციას ახდენს სოფლად, რომ სოფელს ახლა ვეღარ იცნობთ. სოფელში გარდაქმნის უდიდესი პროცესი მიმდინარეობს. ჩვენ, მართალია, ვერ ვხედავთ კულაკის მხრივ ცვლილებებს ჩვენი სოციალისტური ღონისძიებების მიმართ. აქ იმას, ზაზედაც რამდენიმე წლის წინათ ლაყობდა ბუხარინი, ქადაგებდა რა სოციალისტულ მემორიაში კულაკის სტიქიური შეზრდის გარდაუვალობას, ვერ ვხედავთ, და ვფიქრობ, რომ ვერც დავინახავთ. მაგრამ ჩვენ ვხედავთ იმას, რასაც განსვენებული ვლადიმერ ილიჩი ამბობდა: ჩვენს მხარეზე ჩვენ ვხედავთ არა მარტო ღარიბ გლეხობას, რომელიც ჩვენ მოგვყვება მთლიანად და სრულიად, არამედ ვხედავთ უდიდეს გადატრიალებას საშუალო გლეხობის თავშიც, გონებაშიც და პო-

ლიტიკურ განწყობილებაშია. ახლანდელი სოფლისათვის მეტად დამახასიათებელია ის, რომ სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებაში ჩვენ გვეხმარება არა მარტო ღარიბი გლეხი, არამედ, სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების საქმისაკენ მოისწრაფვის საშუალო გლეხიც. მანქანებმა, სატრაქტორო კოლონებმა, კონტრაქტაციამ, ჩვენმა საბჭოთა მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა, — ყველამ, ერთად აღებულმა, ნამდვილი რევოლუცია მოახდინა გლეხების გონებაში და აქამად 70 — 75 ათას კოლმეურნეობას ვითვლით ჩვენს სოფლებში.

ჩვენი სოფლის მეურნეობის ყველა ძირითად მწარმოებელ რაიონში, წელიწადნახევრის განმავლობაში, მაქსიმალურად ორ წელიწადში, ჩვენ მივალწევთ საგლეხო მეურნეობის სრულ განსაზოგადოებას. 5—6 წლის წინათ ეს პერსპექტივა მეტად ფანტასტიკურად მოეჩვენებოდა ძალიან ბევრს. ახლა კი ჩვენ ვადგივართ იმ გზას, რომ ჯერ კიდევ გუშინ დაქუცმაცებული სოფელი წელიწადნახევრის თუ ორი წლის შემდეგ ერთიანად განსაზოგადოებული იქნება ძირითად მაწარმოებელ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალისტური მშენებლობის საქმე ჩვენს ქვეყანაში რეალური, კონკრეტული, წარმატებითი გამოდგა არა მარტო ქალაქის ფაბრიკებსა და ქარხნებში, არამედ სოციალისტური მშენებლობის საქმე სრულიად რეალურ, პრაქტიკულ, კონკრეტულ რელსებზე დგება ჩვენს სოფელშია.

### ძირფშენიანად ვსაოგოთ კავიტალიზმის ნაოთივას

უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი პარტიის ხაზი უდიდეს შეტევებს განიცდიდა ყოველმხრივ, მაგრამ კომკავშირას საკმაოდ ენერგიული მხარდაჭერით ჩვენი

პარტია მტკიცედ და შეუწყველად იდგა ლენინურ პოზიციაზე. აქედან გასაგები უნდა იყოს ისიც, თუ რატომ ავიდა მაღლა ქალაქად და სოფლად კაპიტალისტური ელემენტების ნაშთების წინააღმდეგობის ტალღა. ეს შემთხვევითი როდია. ჩვენი ქვეყნის შიგნივ გამწვავებულ კლასთა ბრძოლის ახალ ტალღას საფუძვლად უდევს სწორედ ის მიღწევები, რომელთა შესახებაც ეხლახან ვლაპარაკობდით. თუ სოციალისტური ფაბრიკა და ქარხანა უკვე გუშინ აღარ იწვევდა არავისში ექვს, ჩვენთვის უცხო კლასთა ნაშთები იმედოვნებდნენ (ზოგი ჩვენი ოპორტუნისტთაგანი ამ იმედებს მეტად უჭერდა მხარს): სოფელში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი რამ, საიდანაც შესაძლებელია სრულიად მოულოდნელად წამოიზარდოს ყლორტები, რომლებიც ჩაახშობს სოციალისტურ აღმონაცენს სოფლადო. ირკვევა, რომ ყველაფერი ეს ამჟამად უკან მოვიტოვებთ. ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები დაიძრნენ კოლმეურნეობებისაკენ და ამით შედიან ჩვენს სოციალისტურ სისტემაში. ასეთ პირობებში ჩვენთან ჯერ კიდევ კაპიტალიზმის მატარებლებს, — კულაკსა და ნებმანს, სხვა აღარაფერი დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ დაიყვირონ გვიშველეთო და შემოიკრიბონ ძალები იმისათვის, რომ ყოველმხრივ დააბრკოლონ სოციალიზმის განვითარების საქმე ჩვენს სოფელში. სწორედ აქედან გამომდინარეობს კლასთა ბრძოლის გამწვავებაც.

ეს კულაკური გოდება ერთგვარ შეშფოთებას იწვევს, განსაკუთრებით ზოგ ჩვენგანში, რომლებსაც სოფლად მუშაობა გვიხდება. ჩვენი პარტიისა და კომკავშირის შემადგენლობაში, რა თქმა უნდა, ერთგვარობა არ არის, და როგორც პარტიის, ისე კომკავშირის ცალკეულ რგოლებზე არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს

ამ კულიკურმა დაწოლამ. მაგრამ ასეა თუ ისე, რა საფრთხესაც არ უნდა გვიქადდნენ ამ შემთხვევაში, ჩვენ თავს ვაღწევთ ჩვენს სიძნელეებს. ისეთი ძირითადი პრობლემები, როგორც პურის პრობლემაა, წელს გადავჭერით ისე, როგორაც, ალბათ, ბევრ ჩვენგანს ვერ წარმოედგინა ამის გადაჭრა. პურის მიმდინარე დამზადებებით ჩვენ არა თუ ამ წლისათვის უზრუნველვყავით ჩვენი საჭიროება, არამედ, პარტიის XV ყრილობის გადაწყვეტილებების შესასრულებლად, ათეული მილიონი ფუთიც კი გადავინახეთ მარაგად, რომელსაც ჩვენ დავხარჯავთ მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი სხვა ხარვეზი გვაქვს, სადაც ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ ძირითადად ჩვენ სრულიად სწორად ვწყვეტთ ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემას.

ჩვენი მიღწევები და სწრაფი სოციალისტური განვითარება, როგორც ქალაქად, ისევე სოფლად, ჯერ კიდევ გუშინ რომ იწვევდა ჩვენი მტრების ვესლიან ღიმილს, ახლა აღტაცებას თუ არ იწვევს მათში, სრულიად რეალურად და უზრუნველყოფილად მოჩანს მათ თვალშიაც კი. ჩვენს ხუთწლედს, მაგალითად, ისინი ადარებენ შემდეგს (ეს განსაკუთრებით გასაგებია ჩვენთვის, ლენინგრადში მცხოვრებთათვის): „აი, რუსეთის ისტორიაში, თავის დროზე, უდიდესი რევოლუცია იყო, იყო დიდი ადამიანი — პეტრე დიდი, რომელმაც ფანჯარა გაჭრა ევროპისაკენ, მოახდინა მრავალნაირი სასწაული, ახლა კიდევ ხდება დიდი რევოლუცია, რომელიც ხუთწლიან სოციალისტურ გეგმაში მდგომარეობსო!“

პირველად რომ ვიწყებდით წინსვლას, ამ საქმეს ისინი ამგვარად გამოხატავდნენ: „ბოლშევიკების ახალი სვლაა, ყველაფერი გამოიფიტა, ყველაფერი ამოიწუ-

რა“. ერთი სიტყვით, „გაკოტრდნენ“ და, აი, „მოიგონეს ახალი საკენკი და დაწერეს ხუთწლელი“. ამის შესახებ წერდა კერენსკი, ამის შესახებ ლაყობდნენ მენშევიკები, ამის შესახებ ლაპარაკობდნენ ყოველგვარი ლიბერალები. ჩვენ დამშვიდებულად ვისმენდით ამ აგიტაციას, არ ვაქცევდით ყურადღებას და ჩვენს საქმეს ვაკეთებდით. სესხი არავინ მოგვცა, ჩვენ ვატრიალებთ ნამდვილ ოქროს მილიარდებს, საკმაოდ მყარსა და შესაფერისს ჩვენი სოციალისტური მშენებლობისათვის.

პირდაპირ უნდა ითქვას, ახლა ჩვენ ნამდვილად ვიმყრფებით ჩვენი განვითარების იმგვარ საზღვარზე, რომ ექვები იმაში, დროულად დავიწყეთ თუ არა ჩვენი საზოგადოების გარდაქმნა, წარსულს ჰბარდება.

#### კადრების მომზადება დამკვირვლი ამოცანაა

ძირითადი პირობები, მთავარი გზები, რომლითაც უნდა ვიაროთ, ჩვენ არა თუ ვიპოვეთ, არამედ ეს გზები საკმაოდ შევამოწმეთ 12 წლის მუშაობის გამოცდილებით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ახლა, თქვენი კონფერენციის შემდეგ, სრულიად დამშვიდებულად, უნდა შემოვდოთ ლენინი თაროზე, ვთქვათ, რომ ყველაფერი ეს წარსულში იყო, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია, — სოციალიზმი კომკავშირულ ჯიბეებშია და ამიტომ შეიძლება ჩავეწეროთ საცეკვაო კლასში და მოვემზადოთ კომუნისტური საზოგადოებისთვისო (სიცილი). ეს ასე როდია. კომუნისტურ საზოგადოებაში გადასვლისათვის მზადება საჭიროა და აუცილებელიც, ეს ყველაფერი სწორეა, მაგრამ სწორედ ამიტომ გვაქვს, დღეიდან დაწყებული, უამრავი, უსაზღვრო, მეტად საპასუხისმგებლო სამუშაო — ეს ფაქტია.

ბევრს აღარაფერს გიამბობთ, რომ არ შეგაწუხოთ

(თუმცა არც კი შეიძლება თქვენი შეწუხება იმ სიძნე-  
ლებით, რომლებიც მოგველის), მაგრამ მე კი მინდოდა  
დღეს თქვენს წინაშე დამეყენებინა ერთი ამოცანა, რო-  
მელსაც ჩვენი პარტია აყენებს და რომლის გადაჭრაშიც  
კომკავშირს უდიდესი როლის თამაში დასჭირდება. ეს  
არის საკითხი იმის შესახებ, თუ შემდეგ როგორ, ვისი  
ხელებით, როგორი თავების დახმარებით გამოვიყენებთ  
უფრო მიზანშეწონილად იმ მილიარდებს, რომლებსაც  
გავიღებთ სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა  
ხაზით.

სწორედ აქედან წამოიჭრება ის საკითხი, რომელიც  
დააყენა ჩვენმა პარტიამ — კადრების საკითხი. გადა-  
უჭარბებლად უნდა ითქვას, რომ თუ წელს მნიშვნელო-  
ვანია შრომის ნაყოფიერების გაზრდა 25 პროცენტით და  
პროდუქციის თვითღირებულების შემცირება 11 პრო-  
ცენტით, არანაკლებ მნიშვნელოვანია და ერთგვარად  
უფრო მნიშვნელოვანიცაა — ჩვენი კადრების პრობლე-  
მის გადაჭრა.

გარღვევა თუ სადმე გვაქვს, რომლის შესახებაც ყვი-  
რილი შეჭფერით არა მარტო ოპოზიციონერებს, არამედ  
თვითეულ ჩვენგანს, — გვაქვს კადრების საკითხში. ჩვენ  
ვერ წარმოგვიდგენია, თუ რამდენად მწვავეა ეს პრობ-  
ლემა.

ავიღოთ უბრალო რამ: გაზაფხულიდან ვიწყებთ ჩე-  
ლიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის მშენებლობას, რო-  
მელმაც უნდა მოგვეცეს დიდძალიანი 50 ათასი ტრაქტო-  
რი. ქარხანას ავაგებთ სრულიად შიშველ ადგილას, იქ  
სრულიად არ მოიპოვებიან საკმარის კვალიფიციური მუ-  
შები, იქ არც ინჟინრები არიან და არც ტექნიკოსები.  
მუხედავად ამისა, 2—3 წლის განმავლობაში უნდა  
შევქმნათ ქარხანა და ავამუშაოთ კიდევ. ახლანდელ ჩვენს

ფაბრიკასა და ქარხანაშიც შეგვიძლია ბევრი რამით მოვიწონოთ თავი, მაგრამ ყველაზე ნაკლებად შეგვიძლია დავიკვივხოთ ტექნიკური კადრებით. ავიღოთ ჩვენი გიგანტი „ტრეუგოლნიკი“, სადაც 24 ათასამდე კაცი მუშაობს. „ტრეუგოლნიკში“ ტექნიკური ძალების პროცენტული შეფარდება მუშა-მოსამსახურეთა საერთო შემადგენლობასთან 0,6 პროცენტს შეადგენს: რაც არ უნდა თქვათ, როგორი დამკვირველი ბრიგადებიც არ უნდა შეადგინოთ, როგორაც არ უნდა გაშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, — თუ ყველაფერ ამასთან ერთად არ გადაწყდება ტექნიკური კადრების პრობლემა, ჩვენს განვითარებას მუქარის ქვეშ დავაყენებთ. ჩვენ ვლავარაკობთ იმის შესახებ, რომ ჩვენ არა თუ უნდა დავეწიოთ, არამედ უნდა გავუსწროთ კიდეც ევროპასა და ამერიკას, მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, რომ ჩრდილო-ამერიკას შტატებში, გარდა ყველაფრისა, ქვანახშირის მრეწველობაში ტექნიკური პერსონალი (ინჟინერები და ტექნიკოსები) მუშებთან შეფარდებით 20 პროცენტს წარმოადგენს.

აი, რატომ გვჭირდება განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა კადრების მომზადების საკითხზე, და კომკავშირის როლი აქ პირველ რიგში გამოდის.

სასწრაფოდა და ენერგიულად უნდა მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს, პარტია ახლა არ უნდა შეჩერდეს იმას წინაშეც კი, რომ გადავიდეს კადრების სასწრაფოდ მომზადების ხერხზე საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლებშიც და ჩვენს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებშიც. შეიძლება დაგვჭირდეს სასწავლო პროგრამებისა და სწავლების ვადის საკმაოდ შემცირებაც, რადგანაც დრო აღარ ითმენს, მაგრამ საკითხი მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ ავაშალოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი სას-

კოლო სწავლების სისტემა. ჩვენ უნდა მოვაშალოთ და გადავაშალოთ აგრეთვე ყველა და თვითეული: ორგანიზატორები, ადმინისტრატორები, ტექნიკოსები და ოსტატები. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ჩვენი ამოცანაა არა მარტო ქალაქის ინდუსტრიისა — ფაბრიკებისა და ქარხნების განვითარება, არამედ სოფლისაც, სადაც საჭირონი არიან აგრონომები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკოსები, მეცხოველენი და სხვ., ჩვენ გავიგებთ, რომ ჩვენი განვითარების ამ სტადიაზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს კადრების მომზადების საქმეს. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ცენტრალური კომიტეტის განვლილმა პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ საკითხს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ აქ ვერც ცენტრალური კომიტეტი, ვერც ჩვენი პარტია ცალკეულად ამ საკითხს ვერ გადაჭრიან. ეს მთელი მუშათა კლასის ამოცანაა: ჩვენ ხომ, ამხანაგებო, გარდა ყველაფრისა, გვჭირდება არა საერთოდ სპეციალისტები. თუ ამჟამად მივედით ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გადამწყვეტ სტადიამდე, ცხადია, ხელმძღვანელი საკომანდო შემადგენლობაც უნდა შევარჩიოთ, უმთავრეს შემთხვევაში მუშათა კლასის წრიდან. ამას მოითხოვენ ეკონომიურა და პოლიტიკური მოსაზრებანი. ჩვენ ვიცით, რა ძვირად და რა ბევრი გვიჯდებოდა და, დიდად სამწუხაროდ, ახლაც გვიჯდება ძველი ფორმაციის სპეციალისტების მუშაობა. ამასთან ერთად ზოგი მათგანი მავნებლობის გზას დაადგა. მაგრამ მე მწამს, რომ პარტია, კომკავშირი და მუშათა კლასი წარმატებით გადაჭრიან კადრების მომზადების ამოცანას.

## ვაშლავნოთ მამარჯვანე იდეოლოგია და მამარჯვანე საქმიანობა

ამგვარად, თქვენ ხედავთ, რომ, მიუხედავად მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენელთა (რომლების გასწორება ჩვენ დღემდე ვერ შევძელით) წინასწარმეტყველებისა, თითქოს სოფლის მეურნეობაში განვითარებას კი არ ვხედავთ, არამედ დეგრადაციას, თითქოს მრეწველობის განვითარებაში ჩვენ ისეთ ტემპებს ვიღებთ, რომელიც, ადრე თუ გვიან, კისერს მოტეხს ჩვენს პარტიას, რომ თუ განსაკუთრებით არ აეაჩქარებთ სოფლის მეურნეობაში კულაკზე თავდასხმას, თუ განსაკუთრებით არ აეჩქარდებით ჩვენს სოფელში კოლექტიური ფორმების დანერგვაში, — მაშინ, შეიძლება, უკეთ წავიდეს საქმეო. ამ წინასწარმეტყველებებს ჩვენ ყური არ ვათხოვეთ. გასული წლის გამოცდილებამ დავანახვა, რომ ჩვენი ოპოზიცია სრულიად და მთლიანად გაკოტრდა, სხვა აღარა დარჩენოდა რა, თუ არა, — თუმც ერთგვარად იეზუიტური სახით, — ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმზე მოსვლა და განცხადება: მართალია, ჩვენ ვფიქრობდით ამისა და იმის შესახებ, მაგრამ გამოდის, რომ ზოგიერთ რამეში შეეცდით, რომ პარტიამ, მიუხედავად დიდი ხარჯებისა, მიღწია იმ ამოცანების განხორციელებას, რომლებსაც იგი ისახავდა, მაგრამ პარტია რომ ჩვენი მეთოდებითა და გზებით წასულიყო, კიდევ უფრო უკეთესი გამოვიდოდაო. ეს, ამხანაგებო, ლაპარაკია ლატაკთა სასარგებლოდ. გამოიჩქვავ, რომ ცენტრალური კომიტეტი მართალია, პარტია მთლიანად მართალი გამოდგა, ხოლო მემარჯვენენი ჩვენს პარტიაში მთლიანად მტყუანი გამოვლდნენ.

მაგრამ ცენტრალური კომიტეტი სრულიად მართებუ-

ლად მოიქცა, როდესაც თქვა, რომ ჩვენი განვითარების ამ სტადიაზე უკვე დროა შევწყვიტოთ შინაგანი დისკუსიები და მემარჯვენეთა შეხედულებების ლალადი ჩვენი პარტიისა და კომკავშირის შიგნით. ამიტომ კიდევ და კიდევ დაამოწმა რა მემარჯვენეთა ძირითადი შეცდომები, ცენტრალურმა კომიტეტმა სცნო, რომ მემარჯვენეთა შეხედულებების შემდგომი ქადაგება შეუთავსებლად უნდა ჩაითვალოს ჩვენს კომუნისტურ პარტიაში ყოფნისათვის (ტა შ ი). მე ვფიქრობ, რომ ეს გადაწყვეტილება სრულიად მართებულია.

თქვენ ყველამ იცით, რომ განხორციელება იმ დავალებებისა, როპელთაც ჩვენ ვისახავთ ამჟამად, დამოკიდებული იქნება, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა და უშთავრესად ჩვენი პარტიის მდგომარეობაზე. სწორედ ამით არის ნაკარნახევი ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილება, და მემარჯვენე გადახრის იდეოლოგიის ბუხარინის მიმართ ცენტრალურ კომიტეტს სხვა არა დარჩენოდა რა, თუ არ მისი გამოყვანა პარტიის ხელმძღვანელი გენერალური შტაბიდან. პოლიტიბიუროდან. თქვენს მშვენივრად გესმით, რომ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის სიმტკიცეზე, შემჭიდროებასა და სიმაგრეზე. მე უკვე გითხარით, რომ ჩვენი გზა უთუოდ შემოწმებულია; ჩვენ ისეთი კომპასით მივდივართ, რომლითაც, გვიპყრია რა ხელში, არ ავსცდებით გზას.

მიუხედავად ამისა, ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანები ძალიან ბევრს მოითხოვს ჩვენი პარტიისა და კომკავშირისაგან. მე ვფიქრობ, რომ ახლა საჭირო იყო რამდენიმე სიტყვის თქმა იმ განსაკუთრებული როლის შესახებ, რომელიც კომკავშირმა უნდა ითამაშოს ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებაში.

## პოლიტიკური აღზრდა უმაღლეს საფეხურზე

თქვენს შექებას მე არ ვაპირებ, იმიტომ, რომ თავის ქებას თქვენც კარგად შესძლებთ (ს ი ც ი ლ ი). თქვენ მეტად შესაფერისი ხალხი ხართ. ესეც მართალია. ყოველთვის წინ მიდინხართ ყველაზე სახიფათო სადარაჯოებზე. ესეც მართალია, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, თითქოს თქვენთან 100 პროცენტით უნაკლოდაა ყველაფერი, რომ ყოველმხრივ გაჩარხულები ხართ. ეს არ არის მართალი. როლი, რომელიც კომკავშირმა ითამაშა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ისტორიაში, ყოველი ჩვენგანისათვის ცნობილია. მაგრამ მიღწევებით დაკმაყოფილება ჩვენთვისა და თქვენთვის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. მე მინდა მოგაგონოთ ის, რაც ათი წლის წინათ თქვა განსვენებულმა ვლადიმერ ილიჩმა. ის ამბობდა, რომ ის ჩვენთაგანნი, რომლებიც ამჟამად ვთქვათ, 50 წლისანი არიან, რა თქმა უნდა, ვერ იხილავენ კომუნისტურ საზოგადოებას — იმ დროისათვის ისინი დაიხოცებიან. ხოლო ისინი, რომლებიც დაახლოებით თხუთმეტის ან მეტი წლისანი არიან (ეს იყო 10 წლის წინათ), ისინი, ამბობდა ვლადიმერ ილიჩი, კომუნისტური საზოგადოების მოწმენი იქნებიანო. და ეს ალბათ ასეა, რადგანაც მას შემდეგ განვლილი 10 წელი, როცა ვლადიმერ ილიჩი ამის შესახებ ამბობდა, იმის ბრწყინვალე დამამტკიცებელია, რომ იგი მართალი იყო. და აქედან კი, ამხანაგებო, გამომდინარეობს ორმაგი ვალდებულება და პასუხისმგებლობა, რომელიც თავზე და მხრებზე აწვება კომკავშირს და აქედან, ჩემის აზრით, აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ თითქო ძველს, მაგრამ ამასთანავე მუდამ ახალ თემას, სახელდობრ — კომკავშირის ისევ იმავე პოლიტიკურ აღზრდას.

საჭიროა იმგვარად აღვზარდოთ ჩვენი კომუნისტური

მოზარდი თაობა, რომ ეს აღზრდა წარმოებდეს არა წიგნის საშუალებით, არამედ საქმით, ყოველდღიური რევოლუციური მუშაობით. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ მართლაც გამოვჭედოთ კომუნისტური საზოგადოების ნამდვილი მშენებლები.

ჩვენ ხომ ყველამ ვიცით, კომკავშირის ამ კადრებმა როდის და როგორ დაიწყეს შეგნებული პოლიტიკური ცხოვრება. ჩვენ ვიცით, რომ წარსული მხოლოდ წიგნით შეეხო მათ შეგნებას, მთელი წარსული ჩაგვრა და ექსპლოატაცია პრაქტიკულად არ შეხებია მათ. ამიტომ, თუ ჩვენ გვინდა კომუნისტური საზოგადოების ნამდვილი ხუროთმოძღვრები გამოვიმუშაოთ მათგან, საჭიროა ეს თეორიული აღზრდა ყოველ სტადიაზე, ყოველ საფეხურზე განუწყვეტლივ დავუკავშიროთ რევოლუციურ პრაქტიკას, — პრაქტიკულ მუშაობას. ამის შესახებ თავის დროზე ლაპარაკობდა ვლადიმერ ილიჩი.

სამწუხაროდ, ჩვენთან ცოტა სხვაგვარად მსჯელობს ზოგიერთი ამხანაგი — კომკავშირელი. აი, მაგალითად, კომკავშირელი, თუ არ ვცდები, ნოვგოროდის ოლქიდან, კომუნისტური აღზრდის ამოცანას სხვაგვარად აყენებს, ვიდრე ლენინი. მან დაწერა განცხადება (სხვათა შორის, ეს სასოფლო უჯრედის მდივანია) კოლმეურნეობაში შესვლაზე, მაგრამ ამასთანავე დაუმატა: უარს ვაცხადებ ყოველგვარ ფიზიკურ სამუშაოზე კოლმეურნეობაშიო (ს ი ც ი ლ ი). მე არ ვფიქრობ, რომ ბევრი იყოს ასეთი კომკავშირელი, მაგრამ, ამხანაგებო. მდივანს, რაც უნდა იყოს, არ შეჰფერის ეს. ეს ხომ უბრალო რიგითი კომკავშირელი არ არის, არამედ სასოფლო უჯრედის მდივანია. რევოლუციის მეცამეტე წელიწადს, როცა არამართო ღარიბი გლეხი, არამედ საშუალო გლეხობაც ტალღასავით აწყდება კოლმეურნეობას, ის ლაპარაკობს,

რომ წინააღმდეგი არ არის კოლმეურნეობაში შევიდეს, იმიტომ, რომ ის კომკავშირელია, მაგრამ დასძენს, რომ ყოველგვარ ფიზიკურ სამუშაოზე კოლმეურნეობაში უარს აცხადებს, რომ მას აქედან არაფერი გამოუვა. თუ ჩვენ ამგვარად შევავსებთ ჩვენს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, ჩვენი აღზრდიდან გარკვეულად არაფერი არ გამოგვივა. თეორიული მუშაობის პრაქტიკულთან, კონკრეტულ მუშაობასთან შეთავსება ძნელი საქმეა, მაგრამ აბსოლუტურად აუცილებელი.

ავიღოთ მეორე საკითხი. ჩვენ ყველამ ვიცით — ეს „ძვალსა და რბილში გაგვიჯდა“, რომ უცოდინარნი ვერავითარ კომუნისმთან ვერ მივალთ, ეს ანბანია, რომელიც მშვენივრად იცით თქვენ. სხდომის წინ ამხანაგებმა მომცეს ცნობა, რომ ლენინგრადის კომკავშირის შემადგენლობაში დღემდე ქალაქად და სოფლად ათას ხუთასი კომკავშირელია, რომელნიც თავის საკუთარ გვარს ვერ მოაწერენო. თქვენ იტყვით: ოჰ, შენც ვითომდა გაგვაკვირვე: ათას ხუთასი არც ისე ბევრიაო. მე კი ვიტყვოდი, რომ ეს სამარცხვინოდ ბევრია, თუგინდ ათას ხუთასიც იყოს. მე კი, ცოდვილ ადამიანს, ექვი შეპარება: ვითომ მხოლოდ ათას ხუთასია? ამხანაგმა, რომელმაც ეს ცნობა მომცა, გამაფრთხილა: „იქონიე მხედველობაში, რომ ესენი სრულიად უცოდინარნი არიან, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც შეუძლიათ დაწერონ თავისი სახელი, მამის სახელი, გვარი. სხვა კი — არც ანი, არც ბანიო. შეუძლიათ თქვან, ეს არც ისეთი დიდი ნაკლიაო, მაგრამ, ამხანაგებო, რევოლუციის მეცამეტე წლისთავზე ასეთი გარღვევა, როგორიცაა ათას ხუთასი უცოდინარი და საკმარად დიდი რაოდენობა ამხანაგებისა, რომლებმაც გაჭირვებით იციან ხელმოწერა, ჩემის აზრით, ძალიან დიდი ნაკლია.

მე არც კი მესმის, რატომ ხდება ეს — რაგინდ რა, მაგრამ დაწოლისა და ძალადობის უნარი თავსაყრელი გაქვთ (ს ი ც ი ლ ი). თქვენ ხომ ზოგჯერ სასწაულებს ახდენთ. აიღეთ, თუ გნებავთ, თქვენი ბრიგადები: ზოგჯერ თქვენ შეგიძლიათ ისე გამოშიგნოთ მეტად მნიშვნელოვანი დაწესებულება, რომ მისგან აღარაფერი დარჩეს, და ნუთუ, არ გყოფნით კომკავშირული უტიფრობა (ს ი ც ი ლ ი, ტ ა შ ი), რომ აიღოთ ეს ათას ხუთასი კაცი, გამოშიგნოთ მათი უცოდინარობა და ელემენტარულად მცოდნენი მაინც გახდოთ ისინი?

მე ვაკეთებ სხვა, შეიძლება თქვენთვის არასასიამოვნო, დასკვნას, რომელიც თვითონ გვეხვევა თავს. თუ ანბანის მცოდნეთა ზრდის საქმეში კიდევ გვაქვს ნაკლი, ჩემს თავს ნებას ვაძლევ დავექვდე საერთო პოლიტიკურ ცოდნაშიც და შეგეკითხოთ — აქ ყველაფერი რიგზე არის თუ არა, რადგანაც უცოდინარის გარჩევა მცოდნესაგან ადვილია, ეს უბრალო რამ არის, მაგრამ პოლიტიკურად კარგად განვითარებულის გარჩევა პოლიტიკურად არასაკმაოდ განვითარებულებისაგან კი უკვე რთულია.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვლაპარაკობთ, ვაკეთებთ მოხსენებას, ვღებულობთ რეზოლუციას, ყველა მომხრეა თითქო, ყველაფერი შეგნებულად, მოაზადებულად, მოფიქრებულად გამოდის პრაქტიკაში? პრაქტიკაში კი ასეა: მთელი სასოფლო უჯრედი, რომელიც პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას ეხმარებოდა კულაკთან ბრძოლაში, რომელმაც ჩამოართვა კულაკს ნამეტი, ხელი ააღებინა მას პურის ულუფაზე, ამის შემდეგ ასეთ ქალაქს წერს: ასეთი მუშაობის ჩატარების შემდეგ უჯრედმა ყოველგვარი ავტორიტეტი დაჰკარგა სოფლად (ამას ისინი რაიკომს სწერენ) და ამიტომ გამოგზავნეთ

კაცი, რომელიც აამაღლებს ჩვენი უჯრედის ავტორიტეტს. უჯრედმა რომ დაკარგა ავტორიტეტი კულაკის თვალში მის შემდეგ, რაც პური ჩამოართვა მას, მე მჯერა. ექვი არ მეპარება, რომ კულაკმა დაკარგა ამ უჯრედისადმი ნდობა, — დასანანებელი აქ არაფერი გვაქვს, — მაგრამ რა საჭიროა რაიკომისათვის მიწერა და უჯრედის ავტორიტეტის აწევა კულაკის თვალში? და აი, ამგვარ პრაქტიკას თქვენ ხშირად ნახავთ.

შეიძლება ძალიან ბევრი ცნობა მოვიყვანოთ, რომლებიც მეტყველებენ იმის შესახებ, რომ პოლიტიკური აღმზრდელობის მხრივ შეუთანხმებლობაა სიტყვასა და საქმეს შორის, აღზრდის თეორიასა და პრაქტიკას შორის, შეუძლიათ მითხრან, რომ ეს სოფელში ხდება, რომ ეს შორსაა, იქ წვრილბურჟუაზიული გარემოა, სტიქიააო და სხვ. მართალია, მაგრამ აი, ქალაქის შესახებაც მაქვს ცნობა, სათანადო ქალაქის — ჩვენი ლენინგრადის შესახებ. ლენინგრადში სხვადასხვაგვარი ფაბრიკა-ქარხნებია, ზოგი ჩამორჩენილია, სხვანი წინ მიდიან, მაგრამ აქ ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პუტილოვის ქარხნის კომკავშირელებზე. იქ ჩატარდა დახურული ანკეტა განწყობილების შესახებ: ამბობენ, რვაასამდე ანკეტა შეუგროვებიათ. იქ სხვადასხვაგვარი შეკითხვა იყო, და აი, 800 ანკეტის შემვსებთა 49 პროცენტს სახლში აქვს ხატი, 19 პროცენტი დადის ეკლესიაში.

რატომ ხდება ეს? ჩვენი აღზრდა, რა თქმა უნდა, ღმერთის წინააღმდეგია. იპოვეთ კომკავშირელი, რომელიც ღმერთის მომხრე იყოს — ასეთი არ არის, და აი, 49 პროცენტს კი სახლში აქვს ხატი. ის ამბავი, რომ რევოლუციის მეცამეტე წლისთავზე 49 პროცენტს უკიდია ხატი, არაფრად არ ვარგა. კიდევ ვიმეორებ, ეს საკითხი რომ ეხებოდეს უფროსებს, ხანშესულებს, რომელთაც

შესისხლხორცებული აქვთ ცრუმორწმუნეობა, ეს გასაგებია ჩემთვის, მაგრამ როცა ლაპარაკია ისეთი რაჟის შესახებ, როგორცაა ღმერთი და სარწმუნოება, კონკრეტული შირილებს შორის, — ეს აღარ მესმის.

მე ვლაპარაკობდი კადრების შესახებ. სასაცილოა მუშაობა მარტო კომკავშირით შემოვფარვლოთ, უნდა ვილაპარაკოთ ახალგაზრდობაზე საერთოდ.

ავიღოთ საშუალო და უმაღლესი სკოლა. კიდევ ვინეორებ — თქვენ გეხერხებათ დაკვირვითი მუშაობა, და უნდა იცოდეთ, რომ ცრუმორწმუნეობის განვითარების მხრივ ჩვენს საშუალო სკოლებში ძალიან ცუდი მდგომარეობაა. არის სკოლები, სადაც მორწმუნეთა პროცენტის ყოველ ზედა კლასში მატულობს. ეს არის რევოლუციის მეცამეტე წელს, როცა ეშმაკს გავატანეთ ღმერთები, მეფე, მემაულეები და კაპიტალისტები. ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს აი, რატომ უნდა მოეკიდოთ ხელი კომკავშირისათვის ჩვეული გამბედაობითა და ენერჯით.

და კიდევ ერთი რამ. მე მინდა მოგაგონოთ ის, რასაც თქვენს შესახებ ლაპარაკობდა ვლადიმერ ილიჩ ლენინი. ის ლაპარაკობდა, რომ „კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი დამკვრელი ჯგუფი უნდა იყოს“ ჩვენი მუშაობის ყოველ დარგში. ჩვენ სწორედ ასეთი მოთხოვნა უნდა წავუყენოთ კომკავშირს. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ დიდი რამეების პიონერები იყავით. თქვენ ააღორძინეთ ჩვენი მუშაობის ისეთი პრაქტიკა, როგორცაა სოციალისტური შეჯიბრება, თქვენი ბრიგადები უდიდეს მუშაობას აწარმოებდნენ, მთელ რიგ საკითხებში ფართო ინიციატივას იჩენთ ყოველ ნაბიჯზე. მაგრამ ნაკლოვანებებიც არის. უდიდესი წამოწყებები, დიადი წამოწყებები ხშირად მთლიანად ვერ მიგყავთ ბოლომდის.

ავჩქარდებით, დავისახავთ და დავისახავთ ათას რამეს, ბრტყელ-ბრტყელ ლაპარაკს ვიწყებთ, მაგრამ გაივლის გარკვეული დრო, და ახალგაზრდობის ეს ჯგუფი შენელებს, საერთო მასაში საზრდოს ველარ ლებულობს, და საქმე, რომელიც დამკვრელური იყო გუშინ, ნელდება, სწორედ იმიტომ, რომ მთელი კომკავშირი მთლიანად ჯერ კიდევ არასაკმაოდ დამკვრელაა მთელს ამ თავის ინიციატივაში. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამგვარი რამ შეიძლება გამოსწორდეს: ძირითადად ისეთ ახალგაზრდობას, როგორიც კომუნისტური ახალგაზრდობაა, ვერსად ვერ იპოვი. ჩვენ ვერ ვნახავთ უფრო მეტად თავგანწირულ ხალხს, ვიდრე ჩვენი მოზარდი თაობაა. მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას არ დავინახოთ ჩვენი ნაკლოვანებები.

### სსრკ საერთაშორისო მდგომარეობა და ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი

რამდენიმე სიტყვას ვიტყვი იმის შესახებ, თუ რამდენად ვგიწყობს ხელს ჩვენი მუშაობის საგარეო მდგომარეობა. გაკვრით ვილაპარაკე — ჩვენი კავშირისადმი დამოკიდებულება ძველი და ახალი სამყაროს ზოგიერთი ნაწილის ეგრეთწოდებული საქმიანი წრეების მხრივ იცვლება. ახლა აღარ გამოვყავართ ავანტურისტებად, ბანდიტებად, ცრუმარქველებად. ეს უიმედო საქმეა. ამისათვის შეიძლება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდე ბურჟუაზიულ სახელმწიფოშიც კი. რევოლუციის 12 წლის განმავლობაში ჩვენ ნამდვილად წამოვიზარდეთ, ჩვენ ახლა ახალგაზრდები, ბავშვები კი არა ვართ, არამედ ნამდვილი ორგანიზებული სახელმწიფო, და ყველა ხედავს, რომ ისტორია ჩვენს მხარეზეა. მაგრამ საქ-

მე ამაში კი არ არის, არამედ იმაშია, რომ ეს არის კაპიტალისტებისა და შემამულეების მიახლოება საფლავთან. ეს ფაქტია. მათაც იციან ეს. ჩვენი არსებობის ფაქტი — საუკეთესო და უდიდესი პროპაგანდისტია და, რა თქმა უნდა, როგორც არ უნდა შეეცადონ ჩვენს წინააღმდეგ ძალების შემოკრებას, მეგობრები დღითიდღე უფროდაუფრო მეტი გვყავს. აიღეთ ჩვენი კომუნისტური პარტიების მდგომარეობა დასავლეთში. რას არ აკეთებენ კაპიტალისტები იმისათვის, რომ ჩაახრჩონ ეს მოზარდი კომუნისტური მოძრაობა: ერთ ადგილზე დაახრჩობენ, ჩამოახრჩობენ, მოსპობენ, მაგრამ მეორე მხრივ გაცილებით უფრო მეტად იზრდებან, იკრებს რა თავის ძალებს.

ამგვარად, ერთი მხრივ, ჩვენი ძალა და ჩვენი სიმტკიცე, — მეორეს მხრივ — მთელი ქვეყნების მუშათა მზარდი კომპარტიები საკმაოდ მაგრად ბორკავენ ინიციატივას კაპიტალისტებისას, რომლებიც ლამობენ შეიარაღებული ხელით შეაფერხონ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საქმე. მაგრამ ჩვენ პოლიტიკოსები არ ვიქნებოდით, თუ ვიტყოდით, რომ ჩვენთან, ჩვენს გარშემო, მთელი 100%-ით წარმატებაა. ეს იქნებოდა უდიდესი შეცდომა. აქ პირდაპირ უნდა უყურო საქმეს: მიუხედავად იმისა, რომ მოდიან ჩვენთან, თითქო გვირჩევენ თავის ტექნიკას, შესაფერის სესხებსაც გვაძლევენ, ამასთან ერთად ახალ სამხედრო თავდასხმას ამზადებენ ჩვენზე. თვალსაჩინო მაგალითი: პროვოკაციული თავდასხმები ამასწინათ. ეს არის ის, რასაც ადგილი აქვს ჩვენს საზღვარზე ჩინეთთან! <sup>1</sup>

თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ჩინეთში ჩვენ საქმე გვაქვს ჩინელი გენერლების სიბრიყვესთან და სხვასთან არაფერთან, თქვენ უთუოდ ღრმად ცდებით. ჩინეთში გვაქვს

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტური სახელმწიფოების ორგანიზებული გამოსვლის კონკრეტული ცდა. ეს სავსებით გარკვეულად და ნათლად უნდა გავიგოთ. ყოველი გასროლა ჩვენს საზღვარზე არის არა ჩინეთის გასროლა, ეს უწინარეს ყოვლისა საერთაშორისო იმპერიალიზმის გასროლაა.

აი რატომ არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის, რაც ამჟამად ხდება ჩინეთში, აი რატომ აწევს დიდი პასუხისმგებლობა როგორც ჩვენს შეიარაღებულ ძალებს, აგრეთვე ჩვენს ორგანოებსაც, რომლებიც საერთაშორისო პოლიტიკას განაგებენ. ვიმეორებ, ჩვენს წინ არა მარტო ჩინეთის რეაქციონური გენერლები დგანან იქ, გამოდინან როგორც საერთაშორისო იმპერიალიზმის ავანგარდი. ჩვენთან ახლა, ერთი მხრივ, ლენინგრადის ნავსადგურით მოდის ამერიკიდან და გერმანიიდან აუარებელი ინჟენრები და ტექნიკოსი, ისინი სავსებით მზად არიან დაგვეხმარონ ჩვენი ინდუსტრიის ამაღლებაში, მეორე მხრივ კი ეს ადამიანები მეორე ხელით შეიარაღებულ თავდასხმას ამზადებენ ჩვენს საბჭოთა კავშირზე ჩინეთის მხრიდან. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ასეთი სიფხიზლით ვუცქერით ყველაფერ იმას, რაც იქ ხდება. საერთაშორისო იმპერიალიზმის ავანგარდის მოწინავე რაზმთა თავხედობას, უკანასკნელ ხანებში, პირდაპირ საზღვარი არ ჰქონდა. შეიარაღებული რაზმები სისტემატურად, ყოველდღე გადიოდნენ ჩვენს საზღვარზე, შიშის ზარს სცემდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ხელს უშლიდნენ მუშაობაში, შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებდნენ ჩვენს ნაწილებთან, რომლებიც იცავდნენ საბჭოთა კავშირის ღირსებასა და უფლებებს. ამიტომ სრულიად სწორად მოიქცა ჩვენი სარდლობა, როცა თქვა: ჩვენ საკმაოდ პატივს ვცემთ ჩვენს საზღვრებსა და

ჩვენს თავს, რათა, როგორც საჭიროა, ნამდვილად, პრო-  
ლეტარულად ვასწავლოთ ჭკუა ამ უმსგავსოებს საბჭოთა  
კავშირის საზღვრების მახლობლად. რა გავაკეთეთ ჩვენ?  
ჩვენი წითელი არმიის ნაწილებმა მთელ რიგ პუნქტებ-  
ში, არასავსებით სამხედრო ენით რომ ვთქვათ, შესაფე-  
რისად გაჩეჩეს მსოფლიო იმპერიალიზმის ეს მოწინავე  
ავანგარდი (ტ ა შ ი).

მე ვიცი, მკაცრი ბრძოლები გველოდება კაპიტალის-  
ტურ სამყაროსთან. ჩვენ არა მირტო ქვეყნის შიგნივ  
ძირფესვიანად აღმოვფხვრით კაპიტალისტურ ელემენ-  
ტებს. ჩვენ ვიცით, მოვა დრო, როდესაც ჩვენ იერიშით  
გადავალთ კაპიტალისტურ სიმაგრეებზე.

აი, რა არის ჩემი სურვილი, ამხანაგებო: ამ ბრძო-  
ლაში, დაე, ჩვენ, მოხუცები, გეყრდნობოდეთ თქვენ.  
თქვენ კაპიტალიზმის ნამდვილი მესაფლავეები ხართ.  
თქვენ კომუნიზმის ნამდვილი ხუროთმოძღვრები ხართ.  
მაშინ თქვენ მოთავე მწკრივში იქნებით. ეს უდიდესი პა-  
ტივი იქნება თქვენთვისაც და ჩვენთვისაც. (მ ქ უ ხ ა რ ე  
დ ა ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი, ო რ კ ე ს ტ რ ი  
ა ს რ უ ლ ე ბ ს ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ს“).

„სმენა“ № 272 (1680),  
1929 წ. 27 ნოემბერი.

## კომკავშირის შესახებ

მოხსენებიდან ლენინგრადის მესამე საოლქო პარტიულ  
კონფერენციაზე საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის  
მუშაობის შესახებ, 9 ივნისი 1930 წელი

ამხანაგებო, თქვენ ყველამ იცით, რომ ჩვენს მუშაობაში უდიდესი ადგილი უჭირავს ჩვენი მოზარდი თაობის ცხოვრებასა და საქმიანობას. აქედან გამომდინარეობს კომკავშირის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი. ჩვენი პარტიის XV ყრილობაზე ტყვილად კი არ ჩავწერეთ, რომ კომკავშირი უნდა იყოს ახალ წამოწყებათა ინიციატორი და გამტარებელი:

„კომკავშირი უნდა იყოს ინიციატორი და გამტარებელი ახალი წამოწყებებისა ქალაქად და სოფლად მეურნეობის, შრომისა და ყოფაცხოვრების რაციონალიზაციაში.

კომკავშირი უნდა იყოს პარტიის ერთერთი მთავარი თანამშემწე მისი პოლიტიკის გატარების საქმეში ტექნიკურ-სამეურნეო და კულტურულ ჩამორჩენილობასთან ბრძოლის ფრონტზე. კომკავშირი უნდა

წარმოადგენდეს სოციალიზმის მშენებლობისა და ყველა მტრისაგან ქვეყნის გარეთ და შიგნით მისი დაცვის სულისკვეთებით პროლეტარული და ღარიბ-საშუალო გლეხთა ახალგაზრდობის ფართო მასების ხელახლა აღზრდის მთავარ ბერკეტს“ (საკ. კ. პ. (ბ) XV ყრილობის დადგენილებებიდან).

აქ, ამხანაგებო, ცოტა სიტყვებია, მაგრამ კომკავშირელებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და გასაგები. მე მინდოდა ყურადღება მიმექცია კომკავშირის მუშაობისათვის შემდეგთან დაკავშირებითაც. როდესაც ახლოს ვუკვირდებით ლენინგრადის ფაბრიკებისა და ქარხნების მუშათა შემადგენლობას, ვხედავთ, რომ ხვედრითი წონა იმ ხნოვანების ჯგუფისა, რომელსაც კომკავშირი უნდა განაგებდეს, წლითიწლობით იზრდება. მოვიყვან პატარა ცნობას. 1928 — 29 წ. საკავშირო პროფსაბჭო მუშათა შემადგენლობის გამოკვევას აწარმოებდა, კერძოდ, ლენინგრადში, და ჩვენში ზარი კავშირი გამოარკვია: მეღითონეთა და ფეიქართა კავშირები. და აი, გამოირკვა, რომ ლენინგრადის მეღითონეთა 50 პროცენტს რევოლუციამდელი საწარმოო სტაჟი აქვს, ეს არის, ასე ვთქვათ, ჩვენი მუშათა კლასის ოქროს ფონდი. თითქმის ასევეა საქმე ფეიქრებთანაც, მაგრამ მე ამაზე როდი მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. მე მინდა იგი შევაჩერო სხვა ციფრზე, რომელიც ამბობს, რომ ლენინგრადის მეღითონეებთან 23 წლის მუშები და მუშა ქალები 21,5 პროცენტს შეადგენენ, ხოლო ფეიქრებთან — 28,5 პროცენტს. ამ ციფრებიდან ჩანს, თუ ამჟამად რა უდიდესი ამოცანა დგას კომკავშირის წინაშე. მე არა მგონია, რომ კომკავშირი ამას არ ითვალისწინებდეს. მას მშვენივრად ესმის ეს, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ იგი არასაკმაოდ სრულად,

არასაკმაო წარმატებით სწვდება თავის ამოცანას, კიდევ მეტი, უნდა ითქვას, რომ ამ ამოცანას მარტო იგი, კომკავშირი, რა თქმა უნდა, თავს ვერ გაართმევს. და აი, ყველა ნაკლი, ხარვეზი და ზადი მუშაობაში ჩვენ, რა თქმა უნდა, უნდა გავიყოთ, არა შუაზე, არამედ თითქმის ერთი მესამედი უნდა დავაკისროთ კომკავშირს, ხოლო ორი მესამედი, რადგანაც ჩვენ უფროსები ვართ, ვიკისროთ ჩვენ.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი ამ მოზარდი თაობის აღზრდას, როგორც საწარმოო, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აღზრდას. როდესაც ოქტომბრის დიდი რევოლუცია იყო, ეს ახალგაზრდები იმ დროს ხომ ჯერ კიდევ ბავშვები იყვნენ, მეფე მათ, შეიძლება ითქვას, გაუგონიათ, კაპიტალისტები არ უნახავთ, იციან მხოლოდ წიგნებითა და ნაამბობით. ეს არის თაობა, რომელიც საბჭოთა წყობილების დროს აღიზარდა, ის თაობა, რომელიც ხვალ, ისტორიულად ჩვენს ადგილს დაიკერს და განაგრძობს იმ სამუშაოს, რომელიც ჩვენ და თქვენ დავიწყეთ. პარტია ცდილობს იმგვარად აღზარდოს კომკავშირი, რომ საუკეთესოდ მოამზადოს იგი ჩვენი გრანდიოზული ამოცანების გადაჭრისათვის, ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობისათვის, ამ მშენებლობის განგრძობისათვის. კომკავშირმა გამოიტანა მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, გადმოისროლა წარმოებისაკენ<sup>20</sup> კომკავშირის მობრუნების ლოზუნგი.

მიუხედავად ამისა, მისი მუშაობიდან საკმაოდ კრეული სურათი გამოდის. კომკავშირი ზოგჯერ უთუოდ პირველ რიგებში მიდის ქალაქადაც და სოფლად. ზოგან, ეს სჩვევია მათ წლოვანებას, ისინი ავითარებენ დიდ დაწოლას და ინიციატორებს წარმოადგენენ ბევრ საქმეში, რასაც შემდგომ პარტიაც კი გააჰყვება ხოლმე. მაგ-

რამ ცუდია ის, რომ ძალიან ხშირად, როდესაც პირველი წამოწყების, პირველი დაწოლის შემდეგ გაივლის დროის პატარა მონაკვეთი, კომკავშირული დენთი დაიწვება და შემდეგ იწყება უკანდახევა, — აღარ ჰყოფნით გამძლეობა, სიმტკიცე — ბოლშევიკური ის ელემენტი, რომელიც წარმოადგენს ჩვენი კომუნისტური პარტიის განმასხვავებელ თვისებას, და რომელმაც დაწოლაც იცის და ამავე დროს ყოველი დაწყებული საქმის უთუოდ ბოლომდის მიყვანაც.

კომკავშირის მტკივნეულ ადგილს წარმოადგენს აღმზრდელობითი მუშაობა.

თუ ეს საქმე ჩვენთან ვერ არის მაინცდამაინც კარგად დაყენებული, კომკავშირს ამ შემთხვევაში ბევრი აქვს ისეთი ადგილი, რომელსაც მთელი ჩვენი პარტიული ორგანიზაციების უშუალო ყურადღება უნდა მივაქციოთ. ყოველ შემთხვევაში, ეს ისეთი რაზმია, რომელიც ჩვენს პარტიას სჭარბობს რიცხვობრივად. თუ სერიოზულად ვიტყვით, რომ ეს მთავარი თანაშემწეა ჩვენი პარტიისა, იმ შემთხვევაში, ცხადია, მუშაობა უნდა გარდავქმნათ იმგვარად, რომ ნამდვილად ვუხელმძღვანელოთ კომკავშირს. საქმე იმაში კი არ არის, რაზედაც ხშირად დაობს კომკავშირი — საჭირონი არიან თუ არა პარტმიმაგრებულნი; თუ საჭირონი არ არიან, ჩვენ მათ უარვეყოფით; თუ ათი პარტმიმაგრებულთა საჭირო — დავადგინოთ, რომ ათი იყოს — საქმე ამაში კი არ არის, არამედ იმაშია, რომ ან მიმაგრებულების საშუალებით, ან უშუალოდ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში კომკავშირს კი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ პარტორგანიზაციებმა და ნამდვილი უშუალო გავლენა იქონიონ მათზე.

ლენინგრადსკაია პრაედა,  
№ 160, 12 ივნისი, 1930 წ.

# ყველგან და ყოველთვის მივსდით ლენინის ანდეძს

გამოსვლა საკ. აღკკ 15 წლისთავისადმი მიძღვნილს  
ლენინგრადის კომკავშირის საზეიმო სხდომაზე,  
1933 წლის 28 ოქტომბერს.

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ ლენინგრადის ბოლშევიკური ორგანიზაციის სახელით იუბილარებს გადმოგცეთ მხურვალე ბოლშევიკური სალამი.

ამხანაგებო! ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ისტორია განხილულ უნდა იქნეს ჩვენი მუშათა კლასის ბრძოლის ისტორიასთან, ჩვენი კომუნისტური პარტიის ისტორიასთან ყველაზე მჭიდრო, ყველაზე უშუალო კავშირში. ჩვენი ლენინური კომკავშირი — ეს არის სისხლი სისხლთაგანი, ხორცი ხორცთაგანი ჩვენი რევოლუციური მუშებისა და ჩვენი სახელოვანი ლენინური კომუნისტური პარტიისა.

ამხანაგებო! მე ვფიქრობ, ჩვენ არც კი გვაქვს სიტყვების საჭირო ზრუნვა იმისათვის, რომ სრულად გამოვხატოთ ჩვენი კომკავშირის გმირული 15-წლიანი ისტორია. მე იმიტომ კი არ გელაპარაკებით, რომ დღეს ჩვენთან დღესასწაულია, იმიტომ კი არა, რომ მიღებულია იუბილარებს მხოლოდ კარგი ელაპარაკო, არა, —

იძიტომ, რომ მთელი თავისი ბრძოლით, მთელი თავისი არსებობით კომკავშირმა ნამდვილად ჩაწერა ისტორიაში მაღალი, გმირული, აღმდგენი, მშრომელი კაცობრიობის ამ მაღლებელი ფურცლები.

### ჩვენს კომკავშირს მაღლა უჭირავს ბოლშევიზმის დროსა

ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ფორმალურ ჩამოყალიბებამდის, ძველ მეფის რუსეთში, ჯერ კიდევ შეუკავშირებელი, რაიმე მთლიანობაში გაუფორმებელი, ჩვენი მუშათა ახალგაზრდობა თავის არსებობას აგრძნობინებდა მეფის თვითმპყრობელობას. ჯერ კიდევ ბევრად ადრე არა მარტო ოქტომბრამდის, არამედ თებერვლის რევოლუციამდისაც, ჩვენ უკვე ვხედავთ ჩვენი მუშათა ახალგაზრდობის რევოლუციურ გამოსვლებს. და ახალგაზრდობის ამ პირველდაწყებით მოძრაობაზე ახლოს თვალის გადავლებსითანავე ეჭვი არ იყო, რომ პარალელურად იმასთან, თუ როგორ ვითარდებოდა მუშათა მოძრაობა რუსეთში მთლიანად, არ შეიძლებოდა არ განვითარებულიყო მუშათა ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობაც. აი, რატომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ როგორც კი თებერვლის რევოლუციის ტყვიებმა ერთბაშად დაიგრიალა, ჩვენი მუშათა ახალგაზრდობა, თითქო რაღაც საერთო სიგნალით, ფართო ნიაღვრად გაემართა რევოლუციური ბრძოლის ველისაკენ. და მას შემდეგ, ჩვენ არ ვიცით არც ერთი რამდენადმე შესამჩნევი რევოლუციური ეტაპი, რომელშიაც რაიმე მონაწილეობა არ მიეღო მუშა ახალგაზრდობას.

და არა მარტო ქალაქად, ფაბრიკებსა და ქარხნებში, სასწავლებლებში, ჯარში, არამედ სოფლადაც ფართო ნიაღვრად გაიშალა მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის მოძრაობა. არ უნდა გავიკვირვოთ, რომ დიადი ოქტომბრის კვალდაკვალ ჩვენა გვაქვს უკვე ჩამოყალიბებული კომუნისტური ახალგაზრდული მუშათა მოძრაობა, რომელმაც თავისი ძლიერი გაქანებით მიიპყრო, გაიტაცა ახალგაზრდობა არა მარტო რუსეთში — მისი გამონმურება გაისმოდა მუშათა ყოველ ცენტრში საზღვარგარეთ.

მე არა მაქვს არც საშუალება და არც დრო გავყვე ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის განვითარებისა და ზრდის შემდგომ ეტაპებს. მაგრამ მე არ შემიძლია თუგინდ ორი სიტყვით მაინც არ შევიჩერდე იმ განსაკუთრებულ როლზე, რომელიც ჩვენმა კომკავშირმა ითამაშა სამოქალაქო ომის პერიოდში. ამას, ამხანაგებო, საჭიროა განსაკუთრებით გავუსვათ ხაზი, ვინაიდან ამჟამად ჩვენ თქვენთან ერთად განვიცდით სოციალისტური მშენებლობის ეგრეთწოდებულ მშვიდობიან პერიოდს.

მოიგონეთ, ამხანაგებო, რომ სამოქალაქო ომის ყველაზე მძიმე, ყველაზე აუტანელ პერიოდში, იმ დროს, როდესაც ფართოდ გაიშალა დენიკინის თავდასხმა, როდესაც ძალიან ბევრს ეგონა — კრემლის ზარების აკომპანიმენტი დენიკინის ლაშქარი მალე შემოვა ჩვენს სატახტო ქალაქშიო, ამ დროს იმ გუბერნიებში, რომლებიც უშუალოდ ეხებოდნენ სამხრეთის ფრონტს, ჩვენმა კომკავშირმა კომკავშირელთა საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა ფრონტზე<sup>21</sup> წასასვლელად.

და იმ ჩვენთაგანს, რომელიც მაშინ ფრონტზე იყო, ახსოვს, თუ რა უზარმაზარი, მე ვიტყვოდი, განსაკუთრებული როლი ითამაშა მაშინ კომკავშირმა. პირდაპირ

უნდა ვთქვათ, ამხანაგებო, რომ ჩვენ, ბოლშევიკები, საერთოდ რომ ვთქვათ, ისეთი ხალხი, რომელმაც იცის თავისი სიცოცხლის დაუზოგავად ბრძოლა, ზოგჯერ ჩვენც კი „შურიტ“ ვუყურებდით გმირებს, რომლებსაც კომკავშირი იძლეოდა მაშინ. საკმარისი იყო შეგებდათ კომკავშირელების ამ ახალგაზრდა პოლკებისათვის, რომ შეგმატებოდათ ახალი ძალა, ახალი რწმენა შემდგომი ბრძოლისათვის. და შემთხვევითი არ არის, ამხანაგებო, რომ სამოქალაქო ომის ამ სამწლიან პერიოდში. როგორც თქვენ გახსოვთ, კომკავშირმა, მიუხედავად უდიდესი მსხვერპლისა, რომელიც მან გაიღო ყოველ ფრონტზე, თითქმის 20-ჯერ გაიზარდა თავისი რიცხვი. მასაქეთ, სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, ყოველ ეტაპზე, სოციალიზმის აღმშენებლობის ყოველ ფრონტზე ვხედავთ ზრდასა და განმტკიცებაში მყოფ თანაშემწეთა კადრებს, ჩვენ იპარტიის ძირითად თანაშემწეებს, ლენინური კომკავშირის სახით.

სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგაც, როცა ჩვენს წინაშე გადაიშალა სოციალისტური აღმშენებლობის ფართო პროგრამა, კომკავშირის სასახელოდ მიჰქონდა თავისი ახალი სახელწოდება, სახელწოდება ლენინური კომკავშირისა.

კომკავშირის მოძრაობაში, რა თქმა უნდა, ნაკლოვანებებიც იყო, ამხანაგებო, იყო ცალკეული შეცდომები კომკავშირული ორგანიზაციის ცალკეულ რგოლებში, იყო ცალკეული გატაცებები განსაკუთრებით ფიცხი, ჯერ კიდევ განუმტკიცებელი კომკავშირული თავებისა, მაგრამ საერთოდ და მთლიანად, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი რევოლუციური ბრძოლისა და სოციალისტური აღმშენებლობის მიმართულების ძირითად ხაზს,

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი კომკავშირი ყოველთვის, ყველგან, ყოველ ეტაპზე პარტიასთან იყო და მისი დირექტივებით მუშაობდა. ამაში მდგომარეობს, ამხანაგებო. კომკავშირის ძალა. როგორც კი ლენინის დროშით, ბოლშევიზმის დროშით გამოვიდა ახალგაზრდობა, მან ყველაზე მთავარი და ძირითადი ცემენტაცია განიცადა. ერთგვარი გაფანტულობა, შერყეობა, რომლითაც ხასიათდებოდა ახალგაზრდობის მოძრაობის პირველი ნაბიჯები, წარსულს ჩაბარდა.

მაგრამ, ამხანაგებო, ვიგონებთ რა განვლილ გზას, არც ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას ამჟამად.

## კიდევ უფრო ფართოდ, კიდევ უფრო ღრმად იზლივა ბრძოლა ორ სამხაროს შორის

სოციალისტური მშენებლობის ახლანდელი ეტაპი ჩვენი რევოლუციური ისტორიის შესანიშნავ ფურცელს წარმოადგენს. ორი სამყაროს — სოციალისტურისა და კაპიტალისტურის — ყველა ძირითადი ელემენტი სწორედ ამ ეპოქაში აწარმოებს სასტიკ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას. მართალია, ამჟამად არ არის ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. შედარებით, საკმაო წლები განვიცდით ეგრეთწოდებულ მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის პერიოდს. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი ფიქრობს, რომ ჩვენ მთლიანად და სრულიად, თითქმის სამუდამოდ შევედით მშვიდობიანი განვითარების ხანაში, მაგრამ, ამხანაგებო, ეს, რა თქმა უნ-

და, სწორი არ არის. ეს შეცდომაა. სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად არის.

გადამწყვეტი გამარჯვებების შემდეგ, ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, გამარჯვებებისა, რომლებიც მოვიპოვეთ, განსაკუთრებით პირველი ხუთწლედის პერიოდში, ჩვენი სახელმწიფო — საბჭოთა კავშირი — ავიდა ისეთ სიმაღლემდის, ისეთ გიგანტურ ძალად გაიზარდა, რომ კაპიტალისტური სამყარო, რომელიც წელში წყდება წინააღმდეგობებისაგან, იძულებულია გვიცნოს, იძულებულია უფროდაუფრო მეტი ანგარიში გაუწიოს საბჭოთა კავშირს. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ უკანასკნელი ხნის განმავლობაში ბევრ სახელმწიფოსთან, რომელთა ჩამოთვლასაც მე არ დავიწყებ, დავდეთ მთელი რიგი მშვიდობიანი ხელშეკრულებები. საქმე იქამდის მივიდა, რომ, როგორც ამ დღეებში წაიკითხეთ, წერილების გაცვლა-გამოცვლა მოხდა რუზველტსა და ამხანაგ კალინინს<sup>22</sup> შორის. ეს ფრიად დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის აქტია.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რუზველტი ურჩევს მიხეილ ივანეს-ძე კალინინს წარმომადგენლები გაგზავნოს საკითხის განსახილველად უფრო ნორმალური, უფრო კულტურული, უფრო ცივილიზებული ურთიერთობის დამყარებისათვის ორ დიდ ხალხს შორის, იმ დამოკიდებულებისა, რომელიც, — სიტყვაზე რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების მიზეზით, — დღემდის არ არსებობდა. ამგვარად, ალბათ. მალე შევიძენთ ახალ მეგობარს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სახით, ამერიკის იმ შეერთებული შტატებისა, რომლებიც თანამედროვე კაპიტალისტური სისტემის ყველაზე წყეული, ყველაზე გაუტეხელი წარმომადგენლები არიან.

ამხანაგებო, ეს ყველაფერი ასეა, ყველაფერ ამას ფა-  
სი აქვს ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის საერთო ბა-  
ლანსში, მაგრამ ყველაფერი ეს სრულიადაც არ ლაპა-  
რაკობს იმის შესახებ, თითქოს ბრძოლა ორ სისტემას  
შორის — სოციალისტურ სისტემასა, რომელიც ძლი-  
ერდება, იფურჩქნება, და მომაკვდავ კაპიტალისტურ  
წყობას შორის — რამდენადმე სუსტდებოდეს. პირიქით,  
ეს ბრძოლა უფრო დრამატიკულია, უფრო  
ფართოა, უფრო მწვავეა ვიდრე იმდინ-  
არეობს. და თუ გუშინ, ომის პერიოდი იყო და  
მტრებს ვებრძოდით შეიარაღებული ხელით, ახლა იძუ-  
ლებული ვართ გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ ყვე-  
ლა ფრონტზე, იქნება ეს სამრეწველო მშენებლობის  
ფრონტი, ვაჭრობისა თუ სოფლის მეურნეობის, ჩვენი  
ქალაქების მუშაობა თუ ცხოვრება ჩვენი სკოლისა, სა-  
მეცნიერო დაწესებულებებისა, ამათუიმ კულტურული  
ორგანიზაციებისა, ჩვენი ხელოვნების ფრონტი თუ ადა-  
მიანის ცხოვრების რომელი დარგიც არ უნდა აიღოთ  
ახლა, ყველგან სასიკვდილო შეჯიბრებას ვაწარმოებთ  
მომაკვდავ კაპიტალისტურ სამყაროსთან. მე ვლაპარა-  
კობ: მომაკვდავი-თქო, მაგრამ, თქვენ, კომკავშირელებო,  
მშვენივრად გესმით, რომ აქედან ისეთი დასკვნა კი  
არ უნდა გავაკეთოთ, თითქოს, გარკვეული დრო გავა და  
ეს მომაკვდავი კაპიტალისტური წყობა თავისთავად მო-  
ქამს დროსო. არა, ეს ასე არ გამოვა. რამდენიც არ უნდა  
კვდებოდეს, რამდენადაც არ უნდა იხრწნებოდეს, რო-  
გორაც არ უნდა ყარდეს, საქმე იმგვარად ეწყობა, რომ  
თუ მსოფლიო პროლეტარულმა რევოლუციამ არ ჩაკლა,  
თუ მან საბოლოოდ არ გაანადგურა იგი, — ისე არაფერი  
გამოვა.

ამხანაგებო, მე არ ვფიქრობ თქვენს წინაშე გავშალო

ჩვენი პარტიისა და ჩვენი ლენინური კომკავშირის უახლოესი პერიოდის მუშაობის პროგრამა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ თქვენი იუბილეს დღეს უნდა მოვიგონოთ ძირითადი გადაწყვეტი ამოცანა, რომელიც იდგა, რომელიც დგას და რომელიც იდგომება ჩვენი ლენინური კომკავშირის წინაშე, ამოცანა, რომელიც ვლადიმერ ილიჩ ლენინის მიერ ძალიან კარგადაა ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ 1920 წელს.

### ვისწავლოთ ბეჯითად, მოთმინებით

ლენინი ამბობდა: საქმე იმგვარად ეწყობა, რომ კომკავშირი იქნება კომუნისტური საზოგადოების ნამდვილი, კეშმარტი, უშუალო მშენებელი. თუ ასე იყო ეს 1920 წელს, ეს დებულება მით უმეტეს სწორია 1933 წელს, აქედან, მთელი თავისი ძალითა და სისრულით რჩება ის ამოცანაც, რომელიც ლენინმა ჩამოაყალიბა. ლენინის ეს ამოცანა შეიძლება ერთ სიტყვაში მოათავსო. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ კომკავშირმა, ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს. თუ ამ უბრალო, თითქო სრულიად ჩვეულებრივ სიტყვას ჩავუფიქრდებით, თუ გავიგებთ, რა უნდოდა ეთქვა ამ სიტყვებით ლენინს, აყალიბებდა რა კომკავშირის ძირითად ამოცანებს, გასაგები გახდება, რომ დანარჩენი ყველა ამოცანა — დიდი და პატარა, დღევანდელი და ხვალისდელი, ყოველდღიური და პრინციპული — ყველა ეს ამოცანა, საბოლოო ანგარიშში, ეფარდება და ემთხვევა ერთ საერთო ამოცანას, ამოცანას, — ვისწავლოთ.

მე ვიცი, ამხანაგებო, რომ კომკავშირის ზურგს უკან დიდი გმირული ისტორიაა. მაგრამ თუ ვილაპარაკებთ

კომკავშირის მუშაობის ნაკლოვანებებსა და დაუმთავრებლობაზე, მე ვფიქრობ, რომ ჩვენი მუშაობის დიდ ნაკლს დღემდის წარმოადგენს არასაკმაოდ სრული, არასაკმაოდ თავდადებული აღქმა ამ ლოზუნგისა — ვ ი ს - წ ა ვ ლ ო თ.

ამხანაგებო, მე უკვე გითხარით, რომ ამჟამად ჩვენი სოციალისტური სისტემა სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს კაპიტალისტურ სისტემასთან. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ არა მარტო ომში, რომელშიც ჩვენ უსათუოდ გავიმარჯვებთ, თუგინდ ხვალაც რომ დაგვესხან თავს; ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ არა მარტო ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში, რასაც ჩვენ ვაკეთებდით და გავაკეთებთ, ვქმნით რა ჩვენი სამრეწველო მშენებლობის გიგანტებს; ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ ჩვენს სოფლის მეურნეობაში ახალი თანამედროვე ტექნიკის, მეცნიერების უკანასკნელ სიტყვაზე დამყარებული ტექნიკის დანერგვით, არამედ ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ ლიტერატურის დარგში, უნდა გავიმარჯვოთ ხელოვნებაში, ჩვენ გარკვეულად უნდა გავიმარჯვოთ ცოდნის ყოველ დარგში, თუ მართლია სერიოზულად, ნამდვილად ვწყვეტთ კაპიტალიზმის დასამარებას. ამაში ხომ ფიცი დავდეთ ჯერ კიდევ 16 წლის წინათ.

ამჟამად ჩვენი ამოცანა, ჩვენი ბრძოლა დღითიდღე რთულდება. აიღეთ მუშაობის რომელიც გნებავთ უბანი, აიღეთ, მაგალითად, ტექნიკის დარგი, — მე ვიცი, რომ თქვენ ამ საქმის დიდი მოყვარულნი ხართ, — მაგრამ, ამხანაგებო, თუმცა არც თუ ძალიან მეშინია ბურჟუაზიული ტექნიკისა, მაინც სინიღისქვეშ უნდა ითქვას, რომ ბურჟუაზიული ტექნიკა საკმაოდ მტკიცე, მრავალ-

საუკუნიანი რამ არის, მისი დაუფლება ერთი ხელისდაკვრით, შეტევით, კომკავშირის უჯრედის დადგენილებით არ გამოვა. უნდა ვიმეცადინოთ, და ვიმეცადინოთ ძალზე სერიოზულად, დიდი მოთმინებით. როდესაც უფრო ახლო მიხვალ ამ ტექნიკასთან, აქ შეიძლება საკმაო გულგატეხილობას არ ექნეს ადგილი, აქ შეიძლება დავკვირდეს განხეხება ერთი ბოლშევიკური პიონერის სიტყვებისა. რომელმაც განაცხადა: „ეშმაკმა იცის, რატომ არ დავიბადე მცოდნედ, ეს გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ვიდრე ახლა არითმეტიკაში მეცადინებო“ და სხვ. შეიძლება ბევრმა თქვენგანმა ინანოს, რატომ არ დავიბადე ტექნიკის მცოდნედო, მაგრამ აქ, გინდ ინანე, გინდ არა, ამ საქმის დაუფლება მოგვიხდება. და აქ კვლავ და კვლავ გვიხდება ამხანაგი ლენინის ლოზუნგის „ვისწავლოთ“ განხორციელებისა და ცხოვრებაში გატარების საკითხთან დაბრუნება.

ჩვენ უზარმაზარ, მრავალმილიონიან საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებაა, ბევრი უკულტურობა, მაგრამ მთელს ჩვენ დიად ქვეყანაში არ არის არც ერთი ადგილი, სადაც არ იყოს ახალი ყლორტები, რომლებიც ქმნის ახალ სოციალისტურ სისტემას. ჯერ კიდევ გუშინ ტიტველი ქვიშიანი ტრამალი რომ იყო. დღეს იქ ხვდებით აყვავებულ სოციალისტურ ქალაქებს; გუშინდელი უდაბნო დღეს ისერება ადამიანთა მიმოსვლის ახალი კულტურული საშუალებებით. ყველაფერი ეს ჩვენგან მოითხოვეს სწორ გამოყენებას, მთელი ამ საქმის სწორ მმართველობასა და ხელმძღვანელობას. ვიმეორებ, თქვენს წინაშე დგას ის ამოცანა, რომლის შესახებაც განსაკუთრებით ხშირად და სრულიად სწორად ლაპარაკობს ამხანაგი სტალინი, ამოცანა სოციალისტუ-

რი საზოგადოების ახალი მშენებლების, ახალი კადრების აღზრდისა და გამოქედვისა.

მაგრამ როგორ შეგვიძლია გვყავდეს ეს ახალი კადრები, ეს ახალი, საიმედო, მტკიცე რწმენის მქონე მშენებლები, თუ კიდევ და კიდევ არ გავიხსენებთ და ერთხელ კიდევ მაგრად არ დავიწერთ და, კიდევ უფრო უკეთ არ დავიწერთ კომკავშირულ, პარტიულ და რომელზეც გნებავთ, მაგრამ მაინც პატიოსან შუბლზე ამხანაგი ლენინის ლოზუნგს სწავლისა და ისევ სწავლის აუცილებლობის შესახებ. ამხანაგებო, კაპიტალისტებიც ხომ არ თვლემენ, ისინი ფხიზლად არიან; ისინი ყველადფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ორი სისტემის შეჯიბრების ვადა რაც შეიძლება მეტად გააგრძელონ, ისინი ახალ-ახალ ხერხებსა და მეთოდებს ეძებენ, რათა წინააღმდეგენ ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას, რომელიც აწვება მათ, იზრდება და ძლიერდება.

გარწმუნებთ, ამხანაგებო, რომ თუ ჩვენ დღეს, ჩვენი დღესასწაულის დღეს დავდებთ ნამდვილ კომკავშირულ ბოლშევიკურ ფიცს, რომ ყოველი ჩვენგანი, მუშაობის რა ფრონტზე, რა უბანზეც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, ყოველი ჩვენგანი ნამდვილად გაატარებს ცხოვრებაში ამ ლოზუნგს „ვისწავლოთ“, გარწმუნებთ, რომ ჩვენი მეორე ხუთწლედ გაცილებით მეტ შედეგს მოგვიტანს, გაცილებით მეტ მიღწევებს, ვიდრე ის, რაც გვქონდა პირველი ხუთი წლის პერიოდში. მე ვიცი, რომ მთელ რიგ ორგანიზაციებში და მთლიანად კომკავშირში ამ ლოზუნგის გარშემო ამჟამად ძალიან დიდი ტალღა ზვირდობდა, და ეს, ამხანაგებო, დიდ შედეგებს გვპირდება უახლოეს ხანში, რადგანაც მაშინ კაცობრიობის ისტორიაში დარჩენილი პერიოდი, ორი სისტემის, სოციალის-

ტურისა და კაპიტალისტურის ერთად არსებობის პერიო-  
ოდი, უთუოდ შემცირდება.

თუ ჩვენი არსებობის ყოველი დღე, ყოველი საათი  
იმის სულ ახალ-ახალ საბუთებს გვაძლევს, არამარტო  
ჩვენ, არამედ მთელს მშრომელსა და დაჩაგრულ კაცობ-  
რიობას, რომ საუკუნოებრივი მონობიდან ადამიანის გან-  
თავისუფლების დიადი ლენინური გზა სწორეა, იქ, მე-  
ორე მხარეს, საქმე სხვაგვარად დგას, იქ ვერ შესძლეს  
მოეძებნათ საიმედო და მტკიცე გზა, რომელსაც შეს-  
ძლებოდა კაპიტალისტური სისტემის გამოყვანა ჩიხიდან,  
რომელშიც აღმოჩნდა იგი. და აი, ჩვენი წარმატებები,  
ჩვენი გოგანტური ზრდა იწვევს მტრების გაცოფებულ  
ზიზღს, იწვევს ფაშისტური ნაშიერების ახალ ცდებს გა-  
მოსავალი ეძიონ ომში ჩვენი საბჭოთა კავშირის წინააღმ-  
დეგ.

ამასთან დაკავშირებით, ამხანაგებო, რამდენიმე სიტ-  
ყვა კომკავშირის ამოცანების შესახებ ჩვენი საბჭოთა  
კავშირის თავდაცვის დარგში. სწავლის გვერდით, რო-  
მელსაც თქვენ უნდა დაუთმოთ ძალიან თვალსაჩინო, ძა-  
ლიან დიდი ადგილი, თქვენ ყურადღება და ძალღონე  
უნდა დაუთმოთ სამხედრო საქმეს, ამ სიტყვის ფართო  
მნიშვნელობით.

ამხანაგებო, თქვენს კავშირს ხუთი მილიონიანი ადა-  
მიანი ჰყავს. მაგრამ ეს ხომ არა უბრალოდ ადამიანია,  
არამედ კომკავშირელი, და არა უბრალოდ კომკავშირე-  
ლი, არამედ კომკავშირელი-ლენინელი. და აი, ახლა  
თქვენ ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ამ ხუთმა მი-  
ლიონმა კაცმა, რომელიც სისხლიან-ხორციანად ერთგუ-  
ლია ჩვენი კომუნისტური პარტიის, მუშათა კლასისა და  
ჩვენი სოციალისტური მშენებლობისა, ამ ხუთმა მილი-  
ონმა კაცმა საკმაოდ საფუძვლიანად შეისწავლა თავ-

დაცვის ყრველი საშუალების გამოყენება, რომლის დახმარებითაც ჩვენ დავიცავთ ჩვენი საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობას, — და აი, გეკითხებით, ამხანაგებო, მ ს ო ფ ლ ი ო შ ი მ ო ი ძ ე ბ ნ ე ბ ა თ უ ა რ ა რ ა ი მ ე ძ ა ლ ა, რ ო მ ე ლ ი ც შ ე ს ძ ლ ე ბ ს გ ა დ ა ა ყ ი რ ა ო ს ე ს უ დ ი დ ე ს ი, დ ი ა დ ი ლ ე ნ ი ნ უ რ ი რ ა ზ მ ი? მე ვფიქრობ, რომ ასეთი ძალა არ მოიძებნება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სწავლისა და სამხედრო მეცნიერების საქმეს საკმაოდ სრულ ყურადღებას დავუთმობთ ნამდვილად.

მთელი ჩვენი აღზრდა, მთელი ჩვენი სწავლა ინტერნაციონალიზმის ნიშნის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს. კომკავშირელი არ არის ის ახალგაზრდა ვაჟი თუ ქალი, რომელიც თავისი ქვეყნის იქით ვერაფერს ხედავს, კომკავშირელი არ არის ის ახალგაზრდა ვაჟი თუ ქალი, რომელიც თავისი მხედველობის არეში ვერ ხედავს ძველი და ახალი სამყაროს მილიონობით მშრომელებსა და ჩაგრულებს! კომკავშირის მთელი არსებობა, მთელი მისი ბრძოლა ამ დროშით მიდიოდა. შემდგომაც ამ დროშით წავა იგი. და აი, თუ ჩვენა და თქვენ ჩვენს დღევანდელ დიად დღესასწაულზე პირობას დავდებთ, რომ ასევე მოკრძალებით, ასევე თავდადებულად გავყვებით იმ მითითებებს, რომლებიც მოცემული გვაქვს ჩვენი პარტიის ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის მიერ, თუ ჩვენ, იმისდა მიუხედავად, მუშაობის რა უბანზე ვასრულებთ ჩვენს ვალდებულებებს, კიტრებს გავმარგლავთ ჩვენს ბაღჩაში თუ სტრატოსფეროში ვიფრენთ სასწაულებრივი ბურთობით, თუ გვემახსოვრება დიდი მასწავლებლის ეს ძირითადი ანდერძი, — მაშინ ჩვენ, ამხანაგებო, შემდგომაც ასევე წარმატებით, ასევე ძლიევამოსილად განვაგრ-

ძობთ მის დიად საქმეს, რომელიც დღეს ჩვენს ისტორიულ თარიღში ჩვენთან არ იმყოფება. ლენინი, ამბანაგებო, ჩვენთან არ იმყოფება, მაგრამ ლენინი იმყოფება! იმყოფება ლენინი! ეს არის კლასობრივ სისხლიან ბრძოლაში აღზრდილ, გამოკედილ მუშათა, პარტიულთა, უპარტიოთა და კომკავშირელთა მილიონები, ისინი, რომლებსაც თან მიჰყავთ წამებულთა და ჩაგრულთა მილიონები, ისინი, რომელთა წინაშეც ისტორიამ გახსნა ერთადერთი გზა, გზა წინსვლისა.

ლენინის საქმის დიადი განმგრძობის ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ იძლევა მოსილი კომუნისტური პარტია, ჩვენს მხნე, მხიარულ, მთელს მსოფლიოში კომუნისტური რევოლუციის ზეიმისათვის მოწოდებულ ახალგაზრდობის კავშირთან ერთად ამ ერთადერთი გზით წავა წინ და ჩვენ გავიმარჯვებთ.

ს. მ. კიროვი, ლენინგრადის

ბოლშევიკები საკ. კ. პ. (ბ)

XV და XVII ყრილობებს შუა,

გვ. 407—414, ლენპარტიზდატი, 1934 წ.

## ლენინური კომკავშირის

მისაღმება საკ. აღკკ 15 წლისთავზე

ლენინურ კომკავშირს, რომელიც თავის თხუთმეტი წლის თავს დღესასწაულობს, — ლენინის ქალაქისა და ოლქისა ბოლშევიკების მხურვალე სალამი!

კომკავშირის თხუთმეტწლიანი გზა—ეს არის ლენინის საქმისათვის, მსოფლიო კომუნისტური რევოლუციის საქმისათვის ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით გამირული ბრძოლების გზა.

სამოქალაქო ომის ცეცხლში, თეთრგვარდიელთა და უცხოეთის ინტერვენტების წინააღმდეგ თავგანწირულ ბრძოლაში კომკავშირმა თავის საუკეთესო შვილთა სისხლით დაუფიქსარი გამირული ფურცლები ჩაწერა მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს ისტორიაში.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და რეკონსტრუქციისათვის ბრძოლის წლებში, ყველა ფრონტზე გამწვანებული სოციალისტური იერიშების წლებში წითელდროშოვანი კომკავშირი წინა რიგებში იდგა შრომის ახალი სოციალისტური ფორმისათვის ბრძოლაში, პირველი ხუთწლედის ოთხ წელში წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მთელი თავისი სახელოვანი ისტორიის მანძილზე; კომკავშირი პარტიის ერთგული თანაშემწე იყო მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდისათვის ბრძოლაში, მისი გენერალური ხაზის გატარებაში, ლენინიზმისაგან ყოველი განდგომილის წინააღმდეგ, პარტიისა და მუშათა კლასის ყველა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კომკავშირელო ამხანაგებო! ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელეთ მეორე ხუთწლედის გეგმა — უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების გეგმა. მშენებლობის პათოსი და ენთუზიაზმი შეაერთეთ მტკიცე, ბეჯით მუშაობასთან ახალი ტექნიკის, ახალი წარმოების დაუფლებაში.

იბრძოლეთ ჩვენი ფაბრიკებისა და ქარხნების პროდუქციის მაღალი ღირებებისათვის. მსოფლიოში ყველაზე მოკლე სამუშაო დღე ყველაზე ნაყოფიერად გადააქციეთ. ბოლშევიკურად იბრძოლეთ ჩვენი პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. დაუღალავად იბრძოლეთ ბოლშევიკური კოლმეურნეობებისათვის, მდიდარი საკოლმეურნეო ცხოვრებისათვის. კომკავშირული ყურადღებით მოეპყარით სოციალისტურ ტრანსპორტს, უზრუნველყავით მისი შეუფერხებელი, ზუსტი მუშაობა.

კიდევ უფრო ავამაღლოთ რევოლუციურ კლასობრივი, ბოლშევიკური შეურიგებლობა კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში! განამტკიცეთ სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობა! აამაღლეთ თქვენი სამხედრო მომზადება!

კომკავშირელო ამხანაგებო! გახსოვდეთ ამხანაგი ლენინის დიადი ანდერძი: „მილიონობით მშენებელთა შორის თქვენ უნდა იყოთ კომუნისტური საზოგადოების

პირველი მშენებელი“. დაეუფლეთ მუშაობის ბოლშე-  
ვიკურ სტილს — ლენინისა და სტალინის სტილს. და-  
ეუფლეთ რევოლუციურ მარქსისტულ-ლენინურ თე-  
ორიას, ვინაიდან „მას და მხოლოდ მას შეუძლია მისცეს  
მოძრაობას სიმტკიცე, ორიენტირების ძალა და გარე-  
მოცულ მოვლენათა შინაგან კავშირში გარკვევის სა-  
შუალება“.

ლენინის საბრძოლო დროშით, მსოფლიო პროლეტა-  
რიატის მასწავლებლისა და ბელადის ამხანაგი სტალინის  
ხელმძღვანელობით წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ, სა-  
ხელოვანო კომკავშირელო მოდგმავ!

„კომსომოლსკაია პრედა“, № 252  
(2633), 1933 წლის 29 ოქტომბერი

## კომკავშირი — ეს საჭიროა ყანაში ამოსუნი ჯეჯილია

საქ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის ოლქკომისა და ქალაქკომის პლენუმზე 1934 წლის 10 ოქტომბერს წარმოთქმულ სიტყვიდან

რამდენიმე სიტყვა მინდოდა მეთქვა კომკავშირის შესახებ. ყველამ სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ აღმხრდელობით მუშაობას კომკავშირში. ბოლშევიკური აღზრდის საქმე კომკავშირში, მე ვიტყვოდი (ცოდებების დამალვა აქ საჭირო არ არის), უფრო ცუდადაა დაყენებული, ვიდრე პარტიულ ორგანიზაციაში. ამავე დროს ეს საკითხი კომკავშირში გაცილებით უფრო მწვავედ დგას, ვიდრე ჩვენს პარტიაში. ახლახან დამთავრდა 1912 წ. გაწვევა ჯარში. ეს ახალწვეულნი მსოფლიო ომზე ორი წლით ადრე დაიბადნენ. დღევანდელი ახალწვეული ორწლიანი ბუთხუზა იყო, როდესაც მსოფლიო ომი დაიწყო, ხუთი წლის ბავშვი იყო, როდესაც დაიწყო რუსეთის დიდი რევოლუცია. ეს ადამიანი ახლა ჩვენი სამშობლოს დასაცავად მიდის. იგი 22 წლისაა, ეს კომკავშირის რჩეულია, ჩვენი ახალგაზრდობის რჩეული, ეს ჩვენი ქვეყნის მომავალია, ეს ყველაზე ძლიერი, ყველაზე ძვირფასია, რაც ჩვენ გაგვაჩნია ამჟამად. და აი, ეს ყველაზე ძლიერი, ყველაზე ძვირფასი

ჯერ კიდევ პატარა ბიჭები იყვნენ, როდესაც რუსეთის დიდი რევოლუცია დაიწყო. და იმისათვის, რომ ასეთი აღამიანიდან გამოვიდეს ნამდვილი, მტკიცე ბოლშევიკი, გასალკლდევებული რევოლუციონერი, რომელსაც მართლაც შესწევს უნარი ნამდვილად დაიცვას ჩვენი ქვეყანა, ფიზიკურადაც და იდეურადაც, აუცილებელია კარგად დაყენებული ლენინური აღზრდა. ჩვენ ხომ უფროსი თაობის ხალხი ვართ, ჩვენ ვცხოვრობთ, პირდაპირ უნდა ითქვას, დაე, გამისწოროს ჩემი ხნის ხალხმა, — ჩვენ ვცხოვრობთ იმ ცოდნის 90 პროცენტით, რომელიც ძველ, იატაკქვეშეთის დროში მივიღეთ. და აქ მართალს ამბობენ: არა მარტო წიგნები, არამედ საპატიმროს ყოველი ზედმეტი წელი გვაძლევდა ძალიან ბევრს — იჭიფებ, იფილოსოფოსებ, 20-ჯერ განსჯი ყველაფერს, და როდესაც ლებულობ პარტიულ რაიმე ფიცს, იცი, თუ რას გავალეხს ეს, რას ნიშნავს ეს. კომკავშირელები კი უკვე საბჭოთა ყანაში აღზრდილი ჯეჯილია, მშვენიერი ჯეჯილი, და ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ მათ. მათ უნდათ ისეთი სკოლა, რომ მათგან გამოვიდნენ სოციალიზმის ნამდვილი მშენებელნი. აქ მართალნი არიან კომკავშირელები, როცა დიდ მოთხოვნებს გვიყენებენ, მაგრამ ისინი მართალნი არ არიან იმაში, რომ თვითონ მათ ზოგჯერ არასაკმაოდ ღრმად ესმით თავისი ამოცანები ამ საქმეში. მე ვფიქრობ, რომ თუ პროპორციულად გავყოფთ იმ ყურადღებას, რომელიც ჩვენ უნდა მივაპყროთ მარქსისტულ-ლენინურ სწავლებას, იმ შემთხვევაში დიდი ნაწილი უნდა დაეთმოს ამ ახალ, მოზარდ თაობას. მე მას ძალიან პატივს ვცემ, მაგრამ ისინი მარტონი ამ საქმეს ვერ გაართმევენ თავს, მათ დიდი პარტიული დახმარება ესაჭიროებათ. ეს საქმე უნდა ავწიოთ შესაფერ დონეზე, რო-

შელზედაც უნდა იდგეს მარქსისტულ-ლენინური აღზრდა ჩვენს პარტიაში.

და ამჟამად, როდესაც „შეტევის იდეი მწიფდება მასების შეგნებაში“, როდესაც მთელს მსოფლიოში მალღდება რევოლუციური ბრძოლების ტალღა, ჩვენ კიდევ უფრო უკეთ, კიდევ უფრო ნათლად უნდა გვესმოდეს, თუ რა მძლავრი იარაღი მისცეს საერთაშორისო მუშათა მოძრაობას მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა და სტალინმა. მარქსიზმ-ლენინიზმი — ეს მართლაც ნამდვილი და ერთადერთი მეცნიერებაა, რომელიც ასწავლის მშრომელებს საკუთარ მტრებზე გამარჯვებას. თუ არ ვფლობთ მას, არ შეიძლება მსოფლიო რევოლუციის მოხდენა და მისი გამარჯვება. მაგრამ რადგანაც ჩვენა და თქვენ დავიბადეთ და აღვიზარდეთ იმ პარტიაში, რომელიც ამჟამად წარმოადგენს ხელმძღვანელ ძალას კომუნისტური ინტერნაციონალისას, იმ პარტიისას, რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინელთა შორის უდიდესი—ამხანაგი სტალინი, ჩვენ შევძლებთ შესაფერ სიმალლემდის ავიყვანოთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის საკითხები. (მ ქ უ ხ არ ე, ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი, შ ე უ ჩ ე რ ე ბ ე ლ ი ტ ა შ ი).

ს. მ. კიროვი — „1934 წ.

სტატიები და სიტყვები“, გვ. 170 —

171, საკ. კ. პ. (ბ) ცკ პარტგამომ-

ცემლობა, 1934 წ.



შენგენის კონვენტი



<sup>1</sup> ე. ი. მეორე ინტერნაციონალის და პროფკავშირთა ამსტერ-  
დამის ინტერნაციონალის ბელადები — გამტარებლები ანტი-  
პროლეტარული გამცემლური იდეებისა: კაპიტალიზმის წინააღ-  
მდეგობათა მშვიდობიანი აღმოფხვრისა, კლასთა თანამშრომლო-  
ბისა, საპარლამენტო ბრძოლის საშუალებით სოციალიზმისაკენ  
მოძრაობისა რევოლუციის გარეშე, პროლეტარიატის დიქტატუ-  
რის გარეშე და სხვ. (გვ. 18).

<sup>2</sup> შეეხო რა ამ მომენტს თავის მოხსენებაში XV პარტკონ-  
ფერენციაზე ოპოზიციური ბლოკის შესახებ, ამხანაგმა სტალინმა  
აღნიშნა:

„ახალი ოპოზიციის“ ახლანდელი ლადერების, კამენევისა  
და ზინოვიევის, უთანხმოებამ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომი-  
ტეტთან ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხში  
აშკარა ფორმა პირველად მიიღო XIV კონფერენციის წინა-  
ღლებში. მე მხედველობაში მაქვს კონფერენციის წინ ცენტრა-  
ლური კომიტეტის პოლიტბიუროს ერთერთი სხდომა, სადაც კა-  
მენევი და ზინოვიევი შეეცადნენ ამ საკითხში დაეცვათ თავი-  
სებური თვალსაზრისი, რომელსაც საერთო არა ჰქონდა რა პარ-  
ტიის ხაზთან და რომელიც ძირითადად ეთანხმებოდა სუხანოვის  
პოზიციას. („საკ. კ. პ. (ბ) XV კონფერენციის სტენოგრაფიული  
ანგარიში“, გვ. 445, სახ. გამომც., 1927 წ.). (გვ. 13).

<sup>3</sup> ასეთი წინადადება წამოაყენეს საზიზლარმა ზინოვიეველებ-  
მა. (გვ. 16).

<sup>4</sup> აღნიშნულ საკითხზე საკ. კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ თავის  
რეზოლუციაში „კომკავშირის მუშაობის შესახებ“ გამოიტანა  
შემდეგი გადაწყვეტილება:

„ამასთან საჭიროა ყველანაირად ვერიდოთ ღონისძიებებს,

რომლებსაც შეუძლიათ გასწყვიტონ კავშირი კავშირის პროლეტარულსა და გლეხურ ნაწილს შორის. ამ თვალსაზრისით ყრილობა არამიზანშეწონილად სთვლიდა ზოგიერთი ამხანაგის წინადადებას მოეწყოს რუსეთის ალკკ-საგან განცალკევებული ორგანიზაცია საშუალო გლეხური უპარტიო ახალგაზრდობისა კომკავშირის გარშემო მუდმივი სადელეგატო კრებების სახით. ასეთი ორგანიზაციები აუცილებლად განავითარებდნენ მეორე, წმინდა გლეხურ კავშირად, რუსეთის ალკკ და პარტიის წინააღმდეგობად გადაქცევის ტენდენციას. (ხაკ. კ. პ. (ბ) რეზოლუციებში... , ნაწილი II, გვ. 77, გამოც. მე-5). (გვ. 17).

ბ ნეპი — ახალი ეკონომიური პოლიტიკა, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა, გამოცხადებული საკ. კ. პ. (ბ) X ყრილობის შემდეგ 1921 წ. მარტში. ამხანაგი სტალინი ასე განსაზღვრავს ახალი ეკონომიური პოლიტიკის არსს: „ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის პროლეტარული სახელმწიფოს განსაკუთრებული პოლიტიკა, რომლის თანახმად დაშვებულია კაპიტალიზმი იმ დროს, როდესაც მზრძანებელი მწვერვალები პროლეტარული სახელმწიფოს ხელშია, პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს კაპიტალისტური და სოციალისტური ელემენტების ბრძოლას, პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს სოციალისტური ელემენტების როლის ზრდას კაპიტალისტური ელემენტების საზიანოდ, პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს სოციალისტური ელემენტების გამარჯვებას კაპიტალისტურ ელემენტებზე, რომელიც ითვალისწინებს კლასების მოსპობას, სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის ჩაყრას“. (ი. სტალინი, „ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში ხაკ. კ. პ. (ბ) XIV ყრილობას“, გვ. 73, 1926 წ.). (გვ. 24).

გ რკპ(ბ), XIV კონფერენცია სწარმოებდა 1925 წლის 27—29 აპრილს.

„ახლა მთავარი ამოცანა ისაა, რომ მკიდროდ დაეუკავშირდეთ გლეხობის ძირითად მასას, ავამაღლოთ მისი მატერიალური და კულტურული დონე და ამ ძირითად მასასთან ერთად გავსწიოთ წინ სოციალიზმისაკენ“ — ასე ჩამოაყალიბა ამხანაგმა სტალინმა პარტიის ცენტრალური ამოცანა იმ პერიოდში. (იხ. ამხანაგ სტალინის მოხსენება „რკპ (ბ) XIV კონფერენციის მუშაობის შედეგებისათვის“. „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 148, ქართ. თარგმ. მე-9 გამოც.).

კონფერენციამ განსაზღვრა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის განვითარების გზები, დასაბა მთელი რიგი სამეურნეო და პოლიტიკური ღონისძიებანი ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობის განვითარებისა და მრეწველობის განვითარების მიზნით და თავის რეზოლუციებში, კონტრრევოლუციური ტროცკიზმის საწინააღმდეგოდ, მთელი ძალით გაუსვა ხაზი ლენინურ დებულებას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

„საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკა, კოოპერაციის, პროცკავშირების გამოცოცხლების პოლიტიკა, გლეხობისათვის დათმობის პოლიტიკა იჯარისა და დაქირავებული შრომის საკითხების დაზუსტების აზრით, ღარიბი გლეხობისათვის მატერიალური დახმარება, საშუალო გლეხობასთან მტკიცე კავშირის პოლიტიკა, სამხედრო კომუნიზმის ნაშთების ლიკვიდაცია. — აი. რაში გამოიხატა, უმთავრესად, პარტიის ახალი კურსი სოფლად“ (სტალინი). („საქ. კ. პ. (ბ) XIV ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში“, გვ. 41, ხახ. გამოც., 1926 წ.). ეს კურსი განმტკიცებულ იქნა კონფერენციის გადაწყვეტილებაში. (გვ. 29).

† ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმი სწარმოებდა 1925 წლის 3 — 10 ოქტომბერს. თავის მოხსენებაში XIV პარტყრილობაზე ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა:

„ძირითადი ამოცანა, რომელაც იდგა ჩვენს წინაშე ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე, მდგომარეობდა იმაში, რომ არ ჩაგველოდა პოლიტიკა, რომელიც ჩვენ გამოვიმუშავეთ აპრილის კონფერენციაზე, საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის პოლიტიკა, არ ჩაგველოდა ეს პოლიტიკა, რადგან ჩვენს პარტიაში თავი იჩინა ისეთმა განწყობილებებმა, რომლების მიხედვითაც საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის პოლიტიკა არ არის სწორი ან მიუღებელია. დაისახა აგრეთვე განწყობილებანი, რომ საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის პოლიტიკა თითქოს ნიშნავს ღარიბი გლეხობის დაეიწყებას, რომ თათქოს ღარიბი გლეხობისათვის გვერდის ავლით ვიღაც ცდილობს მოაწყოს მტკიცე კავშირი საშუალო გლეხთან. ეს სისულელეა. ამხანაგებო, მაგრამ ეს ფაქტია, ვინაიდან ასეთი განწყობილებები იყო“. („საქ. კ. პ. (ბ) XV ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში“, გვ. 44 — 45 ხახ. გამოც., 1926 წ.). (გვ. 20).

\* XIV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო

მოსხენების (ამხანაგების სტალინისა და მოლოტოვის მოხსენებათა) გამო რეზოლუციის სახელობითი კენჭისყრის შედეგები შემდეგია: რეზოლუციას ხმა მისცა 559 კაცმა, წინააღმდეგ — 63 კაცმა. (გვ. 82).

• კიროვის მხედველობაში აქვს შემდეგი ადგილი ლენინის მოხსენებიდან პარტიის XI ყრილობაზე (1922 წლის 27 მარტი): „ჩვენ მთელი წლის განმავლობაში უკან ვიხევდით. ახლა ჩვენ უნდა ვთქვათ პარტიის სახელით: კმარა! ის მიზანი, რომელიც უკანდახევას ჰქონდა, მიღწეულია. ეს პერიოდი მთავრდება, ან დამთავრდა. ახლა ისახება სხვა მიზანი — ძალთა გადაჯგუფება“. (თხზ., ტ. XXVII, გვ. 286). (გვ. 52).

<sup>10</sup> ამხანაგ კიროვის მხედველობაში აქვს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1926 წლის 6 — 9 აპრილის პლენუმი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის წევრები და ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები. პლენუმმა განსაკუთრებით გულმოდგინედ განიხილა სამეურნეო მდგომარეობისა და სამეურნეო მშენებლობის საკითხები, XIV პარტყრილობის მიერ გამოცხადებული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გენერალური კურსის კონკრეტული განხორციელების საკითხები. (გვ. 59).

<sup>11</sup> ამხანაგმა ტელმანმა თავის გამოსვლაში კომინტერნის VI კონგრესზე 1928 წლის 28 ივლისს ასე დაახასიათა გერმანიაში არსებული მაშინდელი ვითარება, რომელიც ბურჟუაზიას აიძულებდა დამდგარიყო რეპრესიების გაძლიერებისა და კომპარტიისა და რევოლუციური მუშების დევნის გზაზე: „გერმანიაში არსებობს ახალი აღმავლობის ტენდენციები. არივნებში ჩვენმა პარტიამ მოიპოვა 550 ათასზე მეტი ახალი ხმა, აქედან 80 პროცენტი მიღებულია 13 უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ოლქში... ხმების რაოდენობა გაიზარდა განსაკუთრებით იმ ქალაქებში, სადაც მუშათა კლასს აქვს მრავალწლოვანი ტრადიციები, როგორც, მაგალითად, ბერლინში; ჰამბურგში, ლეიპციგში, დრეზდენში, მაინის ფრანკფურტში და სხვ. ეს ფაქტები გვიჩვენებენ, რომ გერმანიის პროლეტარიატის ყველაზე მოწინავე კადრები ნამდვილად მხარს უჭერენ ჩვენს პარტიას, კომინტერნს“. (კომინტერნის VI კონგრესის სტენოგრაფიული ანგარიში“, ნაკვეთი I, გვ. 838. მოსკოვი, სახ. გამოც., 1929 წ.). (გვ. 106).

<sup>12</sup> კიროვის მხედველობაში აქვს კელოგ-ბრიანის პაქტი, რომ-

ლის იდეები მდგომარეობდა ომზე, როგორც ნაციონალური პოლიტიკის იარაღზე, უარის თქმაში. სსრ კავშირი არ იყო მიწვეული ამ ხელშეკრულების განსახილველად. მაგრამ განხილვის შემდეგ საბჭოთა მთავრობას წინადადება მიეცა შეერთებოდა ამ პაქტს.

„ჩვენი მთავრობა, — ამბობდა ამხ. ლიტვინოვი თავის მოხსენებაში სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის ცაკის VI სესიაზე 1928 წ. 10 დეკემბერს, — კრიტიკულად მოეკიდა ამ პაქტს, აღნიშნა რა მისი არასაკმარისობა და შეზღუდულობა...“ „მიუხედავად ამისა, მიიჩნია რა, რომ სახელმწიფოები, რომლებიც ხელს აწერენ კელოგის პაქტს, კისრულობენ განსაზღვრულ მორალურ ვალდებულებებს საზოგადოებრივი აზრის წინაშე თავდაუსხმელობის მხრივ და რომ პაქტს ერთგვარი, თუმცაღა შეზღუდული, მნიშვნელობა აქვს, ჩვენი მთავრობა უყოყმანოდ შეუერთდა ამ პაქტს და მაშინვე საესებით გააფორმა თავისი შეერთება“. (მ. ლიტვინოვი, „ხსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა“, გვ. 14, გამოც. მე-2, 1937 წ.) (გვ. 106).

<sup>13</sup> ერთა ლიგასთან შექმნილი განიარაღების მოსამზადებელი კომისიის 1927 წ. 30 ნოემბრის სხდომაზე ამხ. ლიტვინოვმა გამოაქვეყნა საბჭოთა მთავრობის დეკლარაცია, რომელშიაც წამოყენებული იყო შემდეგი ღონისძიებანი: სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების მთელი პირადი შემადგენლობის დათხოვნა და არდაშვება მათი არსებობისა რაიმე ფარული ფორმით; იარაღისა და ყოველგვარ გამანადგურებელ საშუალებათა მოსპობა; ყველა სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ხომალდების ლიკვიდაცია; სამხედრო საქმის სწავლების შეწყვეტა, ციხე-სიმაგრეთა მოსპობა, სამხედრო ქარხნების ლიკვიდაცია და სხვ. საბჭოთა მთავრობის ეს წინადადება კომისიამ სხვადასხვა საბაბით უარპყო. მაშინ ამხ. ლიტვინოვმა აქვე შეიტანა წინადადება ნაწილობრივი განიარაღების, როგორც სრული განიარაღების პირველი ეტაპის, შესახებ. კომისიამ ეს წინადადებაც უარპყო. (გვ. 107).

<sup>14</sup> 1928 წ. 9 — 25 თებერვალს შედგა კომინტერნის აღმასკომის მე-9 პლენუმი. პლენუმის ძირითადი საკითხები იყრ:

1. ოპოზიციის შესახებ; საკ. კ. პ. (ბ)-ში... ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც სწორად სცნობდა საკ. კ. პ. (ბ) XV ყრილობის გადაწყვეტილებას პარტიიდან ტროცკისტების გარიცხვის შესახებ. 2. აბლანდელ ეტაპზე პროფესიულ მოძარობაში კო-

ქუნიტების ამოცანებისა და მუშათა კლასის ეკონომიური ბრძოლის გაძლიერების შესახებ. 3. ჩინეთის რევოლუციის შესახებ. (გვ. 10\*).

15 ამხანაგი სტალინი მოხსენებაში საკ. კ. 3. (ბ) უ. კ-ის 1928 წ. ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ ამბობდა: „რაშია პურის ფრონტზე ჩვენი სიძნელების არსი? სად არის ამ სიძნელეთა საფუძველი? განა ეს ფაქტი არ არის, რომ ჩვენ ახლა მარცვლელი პურის ნათესის ფართობი თითქმის ისეთივე გვაქვს, როგორც ომამდელ დროს იყო (სულ 5 პროცენტით ნაკლები)? განა ეს ფაქტი არ არის, რომ ჩვენ ახლა თითქმის იმდენივე პური მოგვყავს, რამდენიც ომამდელ დროს (5 მილიარდამდე, სულ 200-300 მილიონით ნაკლები)? რით აიხსნება, რომ მიუხედავად ამ გარემოებისა, ჩვენ სასაქონლო პური ორჯერ უფრო ნაკლებად მოგვყავს, ვიდრე ომამდელ დროს? ეს აიხსნება ჩვენი სოფლის მეურნეობის დაქსაქსულობით, მისი პარცელური ხასიათით. თუ ომამდე ჩვენ გვქონდა 16 მილიონამდე გლეხური მეურნეობა. ახლა გვაქვს არანაკლებ 24 მილიონისა, ამასთან გლეხურ მეურნეობათა შემდგომ დაქუცმაცებას ტენდენცია აქვს არ შესწყდეს. ხოლო რა არის წერილი გლეხური მეურნეობა? ეს არის ყველაზე ნაკლებად საქონლური. ყველაზე ნაკლებად რენტაბელური და ყველაზე მეტად ნატურალური მეურნეობა, რომელიც იძლევა საქონლურობის სულ რაღაც 12 — 15 პროცენტს. ამავე დროს კი, ჩვენში ქალაქები და მრეწველობა უდიდესი სისწრაფით იზრდებიან, მშენებლობა ვითარდება და სასაქონლო პურზე მოთხოვნილება წარმოუდგენელი სისწრაფით მატულობს. აი სად არის პურის ფრონტზე ჩვენი სიძნელების საფუძველი“ (სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 339 — 340, გამოც. მე-9) (გვ. 109).

16 1928 წელს გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებმა დონბასში შახტის ქვანახშირის რაიონში აღმოაჩინეს კონტრრევოლუციური ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია შექმნილი იყო მალაროების ყოფილი მფლობელებისა და შათი მოსამსახურეების მიერ, რომლებიც რევოლუციის შემდეგ საბჭოთა მრეწველობაში მსახურებდნენ. ისინი ამოცანად ისახავდნენ მავნებლობის გზით ჩაეფუშათ მრეწველობის გაშლა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება. მავნებლები წყლით ავსებდნენ საუკეთესო მალაროებს, ეწეოდნენ უვარგისი ნაკვეთე-

ბის დამუშავებას, ფუშავდნენ ქვანახშირის მრეწველობის მექანიზაციას, ანადგურებდნენ მანქანებს და სხვ. მავნებლები მკიდროდ დაკავშირებული იყვნენ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან და საზღვარგარეთ მყოფ თავის ბატონებთან. (გვ. 109).

<sup>17</sup> საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმი შედგა 1929 წ. 10—17 ნოემბერს. პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები და მიიღო მათზე გადაწყვეტილებანი:

1. დირექტივები სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შესახებ 1929 — 30 წლისათვის 2. საკოლმეურნეო მშენებლობის შედეგები და შემდგომი ამოცანები. 3. უკრაინის კ. პ. (ბ) ც. კ-ის მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ. 4. საკავშირო მიწ-სახკომის შესახებ და 5. ტექნიკურ კადრების მომზადებაზე ც. კ-ის ივლისის (1928 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ. პლენუმმა დასახა XVI პარტიული ყრილობის მოწვევა 1930 წ. მაისისათვის. (გვ. 115).

<sup>18</sup> სმუს-ი, ესე-იგი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მოეწყო 1917 წ. დეკემბერში. მის ფუნქციებში შედიოდა მეურნეობისა და სახელმწიფო ფინანსების ორგანიზაცია. სამხედრო კომუნიზმის პერიოდში სმუს-ის ფუნქციები შეზღუდულ იქნა, და მაშინ ის მხოლოდ მრეწველობის საკითხებზე მუშაობდა. ნების წლებში მრეწველობა გადაყვანილ იქნა სამეურნეო ანგარიშზე. მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგები ერთიანდებიან ტრესტებად, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ საწარმოებს და, თავის მხრივ, ექვემდებარებიან სმუს-ის ხელმძღვანელობას. სოციალისტური მშენებლობის პროცესში მძიმე მრეწველობის ხვედრითი წონის უდიდეს ზრდასთან და მსუბუქი ინდუსტრიის გაშლის განსაკუთრებულ მნიშვნელობასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1932 წ. 5/1-ის დადგენილებით სსრ კავშირის სმუ საბჭო გადაკეთებულ იქნა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატად, მსუბუქი და სატყეო მრეწველობის სახკომატების გამოყოფით. (გვ. 121).

<sup>19</sup> ს. მ. კიროვს მხედველობაში აქვს კონფლიქტი ჩინეთ-ალმოსავლეთის რკინისგზაზე. 1939 წ. 10 ივლისს ჩინეთის სამხედრო ხროვამ, რომელიც იაპონელი იმპერიალისტების მიერ იყო წაქეზებული, ძალადობის გზით ჩაიგდო ხელში ჩინეთ-ალმოსავლეთის რკინისგზა, რომელიც სსრ კავშირს ეკუთვნოდა, მაგრამ რომელსაც

საბჭოთა მთავრობის წინადადებით ერთად მართავენ საბჭოთა კავშირი და ჩინეთი 1924 წლის შეთანხმების საფუძველზე. სსრ კავშირმა გამოაცხადა ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა. შორეულ აღმოსავლეთის წითელი არმიის მიერ გენერალთა და თეთრგვარდიელთა ბანდების განადგურებას მოჰყვა ხაბაროვსკის 1929 წ. 22 დეკემბრის ოქმის ხელმოწერა და ჩინ.-აღმ. რკინიგზაზე იმ წესის დამყარება, რომელიც გათვალისწინებული იყო 1924 წ. შეთანხმებით. 1935 წ. 23 მარტს სსრ კავშირმა ჩინ.-აღმ. რკინიგზა მანჯოუ-გოს მიჰყიდა. (გვ. 139).

1929 წ. მარტში საკ. აღკვ. ცენტრალურმა კომიტეტმა მთელ მუშა ახალგაზრდობას, პირველ რიგში მის ავანგარდს — საკ. აღკვ წევრებს — მიმართა მოწოდებით მოეწყოთ სოციალისტური შეჯიბრება მუშათა მასებში. მიმართვაში ნათქვამია: „ახალგაზრდობის ლენინური კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა მოაწყოს კომკავშირის საწარმოო სოციალისტური შეჯიბრება სამეურნეო მშენებლობის უძნელესი და საკირბოროტო საკითხების გარშემო მუშა ახალგაზრდობის ფართო მასების ნებაყოფლობის, ინიციატივის გაშლისა და მათი დამოუკიდებელი შემოქმედების და თაოსნობის გამოჩენის საფუძველზე“.

(„კომსომოლსკაია პრავდა“, 1929 წ. 7 მარტი). (გვ. 141).

<sup>21</sup> რაკ II ყრილობამ (1919 წ. ოქტომბერი) დენიკინის წინააღმდეგ მობილიზაციის შესახებ დაადგინა:

1. „რესპუბლიკის დაცვისათვის და წითელი არმიის ფრონტისა და ზურგის მომსახურებისათვის ჩატარდეს კავშირის წევრთა მობილიზაცია 16 წლიდან. 2. მობილიზაცია ხდება შემდეგი ოდენობით:

ა) ორიოლის, ტულის, ვორონეჟის, ტამბოვის, რიაზანის, კალუგისა და მოხკოვის გუბერნიების სამხრეთის ფრონტის გამაგრებულ სექტორში არსებული ორგანიზაციები ახდენენ საყოველთაო მობილიზაციას;

ბ) დანარჩენი ორგანიზაციები ახდენენ კავშირის წევრთა 30 პროცენტის მობილიზაციას 16 წლიდან“.

„რაკ II ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში“, (გვ. 108 — 104, 1924 წ.) (გვ. 148).

<sup>22</sup> 1933 წ. 10 ოქტომბერს რუხველტმა (ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა) ამხანაგ მ. ი. კალინინს მიმართა წე-

ჩილთ, რომელშიაც, აღნიშნავდა რა იმას, რომ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არ არსებობს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა, სთხოვდა ვაგზავნა სსრ კავშირის წარმომადგენლები დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის დამყარების შესახებ მოლაპარაკების გასამართავად. 21 ოქტომბერს ამხ. კალინინმა თავის პასუხში თანხმობა განუცხადა რუზველტს მოლაპარაკების წარშობისათვის წარმომადგენლების გაგზავნაზე და მიუთითა, რომ სსრ კავშირის წარმომადგენლად დანიშნულია ამხ. ლიტვინოვი. 1933 წ. 16 ნოემბერს ამხ. ლიტვინოვის მოლაპარაკება რუზველტთან სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით დამთავრდა. (გვ. 151).

## შ ი ნ ა ა რ ს ი

უნდა ვიცოდეთ ის, რასაც გვასწავლადა ვლადიმერ ილიჩი .	5
ლენინგრადის კომკავშირი ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით ბოლშევიკურად დაიცავს ლენინის ანდერძს .	10
<b>XIV</b> ყრილობის გადაწყვეტილებების საფუძველზე მოუაწყოთ ნამდვილი ლენინური ხელმძღვანელობა კომკავშირზე	44
კომკავშირი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის აქტიური მონაწილე	69
წინ — აღმშენებლობისაკენ. სწავლისაკენ, ახალი გამარჯვებებისაკენ	105
მთელი გაქანებით მივდივართ ინდუსტრიალიზაციის გზით სოციალიზმისაკენ	115
კომკავშირის შესახებ .	142
ყველგან და ყოველთვის მივსდით ლენინის ანდერძს	146
ლენინურ კომკავშირს	160
კომკავშირი — ეს საბჭოთა ყანაში ამოსული ჯეჯილია	163
შენიშვნები	167

**е. М. Киров**

**О МОЛОДЕЖИ**

**ЦК ЛКСМ Гр.  
Детюниздат  
Тбилиси  
1939 г.**